

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ მასწავლებლის საგნის

გამოცდისა და საგნობრივი

კომპეტენციის დამადასტურებელი

ტესტირებისათვის

დამხმარე მასალათა კრებული

დაწყებითი საფეხურის პედაგოგებისთვის

I - VI

თბილისი

2021

წინამდებარე კრებულის დანიშნულებაა, გააცნოს დაწყებითი საფეხურის (I-VI) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლებს 2021 წლისათვის დაგეგმილი სიახლეები, საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებელი გამოცდის პროგრამა, საგამოცდო ტესტის ახალი ფორმატის ნიმუში და შეფასების კრიტერიუმები.

კრებული წარმოადგენს `შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის` საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით _ `საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ`. `შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის` ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	4 გვ.
I - VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება	5 გვ.
I - VI კლასების მათემატიკის საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება	16 გვ.
I - VI კლასების ბუნებისმეტყველების საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება	24 გვ.
აკადემიური უნარები	33 გვ.
2020 წლის საგამოცდო ტესტები და შეფასების სქემები	40 გვ.

შესავალი

I - VI კლასების პედაგოგთათვის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება) საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

საგნობრივი ტესტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (პროფესიაში შემომსვლელთათვის) 60%-ია. შესაბამისად, გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად აპლიკანტმა უნდა დააგროვოს ქულათა საერთო რაოდენობის 60%-ზე მეტი. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ტესტში აკადემიური უნარების ნაწილისათვის დადგენილია შიდა ზღვარი - ქულათა საერთო რაოდენობის 40%. შესაბამისად, ამ ნაწილში ზღვრის გადასალახად აპლიკანტმა უნდა დააგროვოს ქულათა საერთო რაოდენობის 40%-ზე მეტი.

ტესტის სტრუქტურა

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა ტესტში წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმატის დავალებები:

- დავალებები არჩევითი პასუხით;
- დავალებები ღია დაბოლოებით;
- შესაბამისობის დადგენის დავალებები;
- თხზულება.

არჩევითპასუხებიან დავალებებში პირობასა და შეკითხვასთან ერთად სავარაუდო პასუხებიც არის მოცემული. დავალების შესრულება გულისხმობს ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხის არჩევას. თითოეული არჩევითპასუხიანი დავალება 1 ქულით ფასდება.

დავალებები ღია დაბოლოებით პედაგოგისგან მოითხოვს დასმულ შეკითხვაზე პასუხის ჩამოყალიბებას, საკუთარი მსჯელობის გამყარებას სათანადო არგუმენტებით. თითოეული ღიადაბოლოიანი დავალება ფასდება სპეციალური სქემის მეშვეობით. შესაბამისად, დავალებები განსხვავდება მაქსიმალური ქულების მიხედვით. შესასრულებელი ნაბიჯების გათვალისწინებით, დავალება შეიძლება შეფასდეს 1, 2 ან მეტი ქულით.

გაითვალისწინეთ:

- *ღიადაბოლოიანი დავალების შემთხვევაში ქულას იმსახურებს მხოლოდ ის პასუხი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება დავალების პირობას, შეიცავს დასმული ამოცანის კონკრეტული გადაწყვეტის მცდელობას.*
- *თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.*
- *თუ პასუხის გაცემისას დაარღვევთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დაგაკლდებათ ქულა.*

შესაბამისობის დავალებებში წარმოდგენილია მონაცემთა ორი სვეტი. ერთ სვეტში მოცემულია ე. წ. პირობა (მოვლენები, ფრაზები და ა. შ.), მეორეში კი - სავარაუდო პასუხები (ცნებები, ტერმინები და ა. შ.). დავალების შესასრულებლად საჭიროა, ერთ სვეტში მოცემული ინფორმაცია შევუსაბამოთ (მივუსადაგოთ) მეორე სვეტში მოცემულ ინფორმაციას. შესაბამისობის თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

ანალიტიკური წერის ნაწილში პედაგოგმა უნდა დაწეროს თხზულება/ესე, რომელშიც გამოხატავს თავის პოზიციას, მოსაზრებებს შეთავაზებული საკითხის შესახებ. მან

კონკრეტული არგუმენტებით უნდა დაასაბუთოს თავისი სათქმელი. თხზულება ხუთი კრიტერიუმით ფასდება.

საგნობრივი ცოდნა

თითოეულ ტესტში მოცემულია დავალებები, რომლებიც ამოწმებს შესაბამის საგნობრივ ცოდნას.

აკადემიური უნარები

ტესტის ეს ნაწილი ორ ბლოკს მოიცავს: წაკითხული ტექსტის გააზრებასა და ანალიტიკურ წერას. წაკითხული ტექსტის გააზრების ბლოკის მეშვეობით მოწმდება უცნობი ტექსტის ადეკვატურად გაგებისა და გააზრების, ტექსტიდან ინფორმაციის მოპოვების, ინტერპრეტირების, გაანალიზებისა და შეფასების უნარი.

ანალიტიკური წერის მეშვეობით მოწმდება ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი თვალსაზრისის ცხადად და ნათლად ჩამოყალიბების, არგუმენტების მოხმობით მისი დასაბუთების, აგრეთვე სხვადასხვა მოსაზრების კრიტიკული ანალიზის უნარი.

2021 წელს დაწყებითი საფეხურის (I-VI) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლების საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტირების ფორმატში დაგეგმილია გარკვეული ცვლილებები. ცვლილება შეეხო ორივე ნაწილს (შემცირდა დავალებების რაოდენობა), რაც აისახა ტესტირების დროზე. კერძოდ:

2020 წლის ტესტის ფორმატი:

საგნობრივი ცოდნის ნაწილის მაქსიმალური ქულა - 47

აკადემიური უნარების ნაწილის მაქსიმალური ქულა - 18

ტესტის მაქსიმალური ქულა - 65

ტესტირებისთვის განკუთვნილი დრო: **5 საათი**

2021 წლის ტესტის ფორმატი

საგნობრივი ცოდნის ნაწილის მაქსიმალური ქულა - 39

აკადემიური უნარების ნაწილის მაქსიმალური ქულა - 14

ტესტის მაქსიმალური ქულა - 53

ტესტირებისთვის განკუთვნილი დრო: **4 საათი**

შესაბამისად, პროფესიაში შემომსვლელთათვის მთლიანი ტესტის ბარიერად (60%) განისაზღვრა **32 ქულა და მეტი**, ხოლო ანალიტიკური უნარების შიდა ბარიერად (40%) – **6 ქულა და მეტი**.

ცვლილებები აკადემიური უნარების ნაწილში:

წაკითხული ტექსტის გააზრება - არჩევითპასუხებიანი 1-ქულიანი დავალებების რიცხვს დააკლდა 2 ქულა - იყო 7 შეკითხვა, გახდა 5;

ანალიტიკური წერა - ესეს შეფასების მაქსიმალურ ქულად, ნაცვლად 11 ქულისა, განისაზღვრა - 9. თითო ქულა დააკლდა შინაარსის რელევანტურობისა და დასაბუთების კრიტერიუმებს (შინაარსის რელევანტურობა - მაქსიმალური ქულა -1 ; დასაბუთება - მაქსიმალური ქულა - 2).

საგნობრივი ცოდნის დავალებების ცვლილებებთან დაკავშირებული ინფორმაცია დეტალურადაა გაწერილი გზამკვლევის თითოეული საგნისთვის განკუთვნილ შესაბამის ნაწილში.

იმედი გვაქვს, კრებული დაეხმარება პედაგოგებს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებელი გამოცდისათვის მომზადებაში.

I - VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება

2021 წლის ტესტის ფორმატში დავალებების რაოდენობის ცვლილების დეტალური სქემა

ქართული ენა და ლიტერატურა - საგნობრივი ცოდნა

ენობრივი კომპეტენციის ნაწილს დააკლდა 4 ქულა, ლიტერატურის ნაწილსაც დააკლდა, ასევე, 4 ქულა.

დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებელი გამოცდის პროგრამა (I - VI)

პროფესიული უნარ-ჩვევები
სხვადასხვა ტიპის, სტილისა და ჟანრის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაანალიზების უნარი შინაარსობრივი, იდეური, ფუნქციური თვალსაზრისით; ტექსტის ანალიზის უნარი სტრუქტურისა და ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებების გათვალისწინებით; წერის პროცესში მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისი სტრატეგიების შერჩევისა და გამოყენების უნარი: დაგეგმვა, კომპოზიციის აგება, საკუთარი ნაწერის გადასინჯვა, რედაქტირება (ტექსტის ჩასწორება ენობრივ-სტილური თვალსაზრისით) და კორექტირება (სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება და ორთოგრაფიული შეცდომების ჩასწორება). სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისი მახასიათებლებისა და ენობრივი ნორმების დაცვით (წერილი, ბარათი, ინსტრუქცია, ინტერვიუ, ადმინისტრაციული ტექსტები, დარგობრივი ტექსტები და სხვა).

საგნობრივი ცოდნა	
ქართული ენა	
საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
ზოგადი ცნობები ენისა და დამწერლობის შესახებ	• ენის რაობა და ფუნქციები. ქართული ენის ბუნება. ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა შორის. ქართველური ენები. ქართული ენის დიალექტები. ქართული ენის როლი ქართველური ტომების ეროვნული და სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესში. • ქართული დამწერლობის წარმოშობა. ქართული დამწერლობის სახეები და განვითარების

	საფეხურები. ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები. თანამედროვე სალიტერატურო ქართული, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა.
ფონეტიკა	- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ბგერითი შედგენილობა. ბგერა და ფონემა. ქართული ანბანი. ბგერათა დახასიათება წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით. თანხმოვანთა და ხმოვანთა სისტემები. - დამარცვლის საფუძველი და გადატანის წესები. ღია და დახურული მარცვალი. - ძირითადი ფონეტიკური მოვლენები: ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა.
მორფოლოგია	- სიტყვა. ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები. გრამატიკული კატეგორიის რაობა. სიტყვის მორფოლოგიური აგებულება: ძირი, ფუძე, მორფემა, აფიქსები. - მეტყველების ნაწილები. მათი კლასიფიკაციის საფუძველი. - არსებითი სახელი. არსებით სახელთა დაჯგუფება შინაარსის მიხედვით. რიცხვი. ბრუნება. ბრუნვები და მათი ნიშნები. ბოლოთანხმოვნისა და ბოლოხმოვნის სახელთა ბრუნება. საკუთარ სახელთა ბრუნება. თანდებულისა ბრუნვები. ნაწილაკის ბრუნვები. არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. - ზედსართავი სახელი. თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელის ბრუნება. ზედსართავი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. - რიცხვითი სახელი. რიცხვითი სახელის სახეები. რიცხვითი სახელის ბრუნება. რიცხვით სახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. - ნაცვალსახელი. ნაცვალსახელთა ჯგუფები. ნაცვალსახელთა ბრუნება. ნაცვალსახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. - ზმნა. ზმნის კატეგორიები. პირისა და რიცხვის ასახვა ზმნაში. სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები. ზმნისწინი. დრო. კილო. ასპექტი. გარდამავლობა. გვარი. ქცევა. კონტაქტი. სერიები

	და მწკრივები. ზმნის ძირი, ფუძე, თემა. თემის ნიშნები. უღლება. ზმნის ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. • სახელზმნა. საწყისი და მიმდევობა. მათი წარმოება. ზმნიზედა. ზმნიზედათა დაჯგუფება. • თანდებული. ცალკე მდგომი და სახელთან შერწყმული თანდებულები. • კავშირი. კავშირის სახეები. • ნაწილაკი. ნაწილაკთა ჯგუფები. შორისდებული. შორისდებულთა ჯგუფები.
სინტაქსი	სინტაქსის საგანი. წინადადება. სიტყვათა სინტაქსური შეკავშირება. შესიტყვება. წინადადების წევრთა დაწყვილება. • წინადადების ტიპები მოდალობის მიხედვით: თხრობითი, კითხვითი, ძახილისა, ბრძანებითი და კითხვით-ძახილისა. მათი გამოხატვის საშუალებანი: ინტონაცია, სიტყვათა წყობა, დამხმარე სიტყვები და ნაწილაკები. • წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით: მარტივი, შერწყმული და რთული. • წინადადების წევრები. წინადადების მთავარი (ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი და ირიბი დამატებები) და მეორეხარისხოვანი (უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოებები) წევრები. • სიტყვათა წყობა წინადადებაში. სიტყვათა წყობის მნიშვნელობა სტილისტიკისთვის. • განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. სასვენი ნიშნების ხმარება განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან. • სასვენი ნიშნების ხმარება რთულ თანწყობილსა და ქვეწყობილ წინადადებებში. • პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. სხვათა სიტყვის ნაწილაკები. სასვენი ნიშნები. სხვათა სიტყვის მართლწერა.
ლექსიკოლოგია	• ლექსიკოლოგიის საგანი. ლექსიკური ერთეული. • სიტყვა მნიშვნელობის თვალსაზრისით. სიტყვის გამოყენება ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობით. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ისტორიულად. სიტყვის ეტიმოლოგია. სიტყვის პოლისემიურობა. პოლისემია და ომონიმია. სინონიმია, ანტონიმია. • ფრაზეოლოგიზმები და იდიომები.

	• დიალექტიზმები, პროფესიული ლექსიკა, ჟარგონი, ბარბარიზმები, ნეოლოგიზმები, არქაიზმები. • სიტყვაწარმოება, როგორც ლექსიკოლოგიის საგანი. ძირეული და წარმოქმნილი სახელები. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები მაწარმოებელი აფიქსებისა და შინაარსის მიხედვით. • კომპოზიციები. კომპოზიციების მართლწერა.
სტილისტიკა	სტილისტიკის საგანი. სტილის რაობა. • ფუნქციური სტილისტიკა. მწიგნობრული და სასაუბრო სტილი. პუბლიცისტური და მხატვრული სტილი. სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიანი სტილი. ორატორული სტილი. • ლექსიკური სტილისტიკა. სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით. თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები. სტილისტური ხარვეზები.
ლიტერატურა	
ლიტერატურისმცოდნეობითი ტერმინები	• ტროპი, მეტაფორა, ჰიპერბოლა, განმეორება, გაპიროვნება, ეპითეტი, შედარება, სიმბოლო, მხატვრული ენა, მხატვრული სახე, პეიზაჟი, პორტრეტი, პერსონაჟი, გროტესკი, ირონია, იუმორი, სატირა, ხატოვანი თქმა, ინტონაცია, ალეგორია, ალიტერაცია, პერიფრაზი; • ჟანრი, პოეზია, პროზა, რომანი, ლირიკა, ლექსი, ელეგია, ბალადა, ეპოსი, ჰიმნი, პოემა, ზღაპარი, თქმულება, იგავ-არაკი, ლეგენდა, მითი, მოთხრობა, ნოველა, ანდაზა, აფორიზმი, პიესა, ესეი, ბიოგრაფია, მემუარები, დრამა, კომედია, ტრაგედია; • სიუჟეტი, კომპოზიცია, პროლოგი, ეპილოგი, ეპიგრაფი, დიალოგი, მონოლოგი, სტროფი, ტაეპი, ფაბულა, ციტატა, შაირი, რითმა, რიტმი.
რეკომენდებულ ავტორთა ჩამონათვალი	
შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, იოსებ გრიშაშვილი, ნინო ნაკაშიძე, გიორგი შატერაშვილი, ლადო ასათიანი, გურამ რჩეულიშვილი, ირაკლი აბაშიძე, მურმან ლებანიძე, ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, გოდერძი ჩოხელი, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭილაძე, ოტია იოსელიანი, მაყვალა მრეველიშვილი, გივი ჭიჭინაძე, ცირა ქიტიაშვილი, ნინო ბეზარაშვილი, გურამ პეტრიაშვილი და სხვა ჰანს კრისტიან ანდერსენი, ძმები გრიმები, შარლ პერო, ასტრიდ ლინდგრენი, რედია რდ კიპლინგი, ალან ალექსანდრ მილნი, კარელ ჩაპეკი, ოსკარ უაილდი, ერნსტ თეოდორ ჰოფმანი,	

ქართული ენისა და ლიტერატურის ნაწილის ტესტურ დავალებათა რამდენიმე ნიმუში და განმარტებები

ენობრივი კომპეტენციის დასადასტურებელი დავალება

11. ქვემოთ მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია რამდენიმე მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომა. ამოიწერეთ დაშვებული შეცდომები, მიუთითეთ სწორი ფორმა და პასუხი დაასაბუთეთ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.

გაითვალისწინეთ, რომ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.

საკითხის მეცნიერული კვლევა ბევრი სპეციფიკური დეტალების ცოდნასა და სისტემურ მუშაობას მოითხოვს. თითქმის ყველა დამწყები მკვლევარი ზამთრს აღიარებულ სპეციალისტებს, ცდილობს, რომ შეეჭიდოს მაღალ სტანდარტებს, თუმცა ზოგჯერ ვერ უმკლავდება ამ სირთულეს. ხშირად ახალგაზრდა მკვლევარი მცირე ჯგუფებზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებს აწვდის და, შესაბამისად, მცდარ დასკვნებამდე მიდის. ამგვარი მიდგომა კი, რა თქმა უნდა, ხელს უშლის მაღალ ხარისხიანი სამეცნიერო პროდუქტის შექმნას.

მოცემული დავალების მიზანია, შეამოწმოს დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა მორფოლოგიასა და სინტაქსში.

/ბევრი დეტალების - სწორი ფორმაა ბევრი დეტალის/ შეცდომის გასწორება - 1 ქულა

დასაბუთება - 1 ქულა

ქართულ ენაში რაოდენობა განისაზღვრება როგორც გარკვეული რაოდენობითი რიცხვითი სახელებით, ისე გაურკვეველი რაოდენობითი რიცხვითი სახელებით. ბევრი სწორედ გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელია, რომელთანაც არსებითი სახელი მხოლოდობით რიცხვში უნდა იდგას.

ასევე მისაღებია ამგვარი დასაბუთება:

- ✓ რაოდენობით რიცხვით სახელთან არსებითი სახელი ყოველთვის მხოლოდობით რიცხვში დგას.
- ✓ განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვასთან შეწყობილი სახელი მხოლოდობით რიცხვში დგას;
- ✓ სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან საზღვრული სახელი მხოლოდობით რიცხვში უნდა გამოვიყენოთ. და მისთ.

აპლიკანტის დასაბუთება არ ჩაითვლება:

თუკი მხოლოდ შეცდომის ტიპი იქნება მითითებული:

წარმოდგენილ ნიმუშში დაშვებულია სინტაქსური შეცდომაა.

თუკი არასრულად იქნება ახსნილი შეცდომის დასაბუთება:

აქ დარღვეულია რიცხვში შეთანხმება / საზღვრული არასწორად ეთანხმება რიცხვში.

თუკი აღწერილია შეცდომის გასწორება, მაგრამ არ იკითხება ენობრივი კვალიფიცირება.

ბევრი უნდა იყოს მხოლოდით რიცხვში, რადგან იქით დეტალებია. და მისთ.

II

ბაძავს - სწორი ფორმაა **ჰბაძავს** - შეცდომის გასწორება - 1 ქულა

დასაბუთება - 1 ქულა

- ჰბაძავს ორპირიანი გარდაუვალი ზმნაა. შესაბამისად, მოეპოვება ირიბი ობიექტური პირი, რომლის ნიშნები როგორც მხოლოდითი, ისე მრავლობითი რიცხვის მესამე პირში არის პრეფიქსები: ჰ-, ს- და 0-. ამ შემთხვევაში ზმნას აკლია პრეფიქსი ჰ, რადგან მას მოსდევს ფუძისეული თანხმოვანი ბ. ენობრივი ნორმების მიხედვით, ირიბი ობიექტური პირის ნიშანად ჰ პრეფიქსის გამოყენება შეიძლება მხოლოდ გ, ქ, კ, ზ, ფ, პ, ყ ბგერების წინ.

ასევე მისაღებია ამგვარი დასაბუთება:

- ✓ ამ შემთხვევაში წარმოდგენილია ორპირიანი ზმნა, რომელშიც მესამე ობიექტური პირი ირიბია. შესაბამისად, მას სჭირდება მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანი ჰ;
- ✓ ჰ პრეფიქსი ირიბობიექტური პირის გამოსახატად დაერთვის გ, ქ, კ, ზ, ფ, პ, ყ თანხმოვნით დაწყებულ ზმნებს. შესაბამისად, რადგან ზმნაში **ჰბაძავს** გვაქვს ირიბობიექტური პირი, მას სჭირდება ჰ პრეფიქსით პირის ნიშნის აღნიშვნა;
- ✓ ირიბობიექტური ზმნაა და ბ ბგერის წინ იწერება ჰ ირიბობიექტური პირის ნიშანი; და მისთ.

აპლიკანტის დასაბუთება არ ჩაითვლება:

თუკი მხოლოდ შეცდომის ტიპი იქნება მითითებული:

წარმოდგენილ ნიმუშში დაშვებულია მორფოლოგიური შეცდომაა.

თუკი არასრულად იქნება ახსნილი შეცდომის დასაბუთება:

ირიბობიექტური ზმნაა და სჭირდება პრეფიქსი ჰ (არ არის იდენტიფიცირებული კონკრეტული ბგერების კონტექსტი.)

ამ ზმნაში ბ-ს წინ საჭიროა ჰ პრეფიქსი (არ არის იდენტიფიცირებული ზმნის ტიპი - ობიექტური პირი) და მისთ.

III

ანზოგადებს - სწორი ფორმაა **აზოგადებს** შეცდომის გასწორება - 1 ქულა

დასაბუთება - 1 ქულა

გან- ზმნისწინი ძველი ფორმით არის წარმოდგენილი. მისი გათიშვა დაუშვებელია - არ გადაადგილდება შემადგენელი თანხმოვნები და ხმოვნები.

მისაღები იქნებოდა შემდეგნაირი დასაბუთება:

- ✓ გან ზმნისწინისგან მომდინარე ნ ელემენტი შეცდომით ფუძისეულად არის გაგებული.
- ✓ ა ქცევის ნიშნის შემდეგ ჩასმულია მცდარად გან ზმნისწინის ელემენტი / თანხმოვანი.
- ✓ ზმნა არის აზოგადებს და მას ფუძეში არ უნდა ჰქონდეს გან ზმნისწინის თანხმოვანი ნ და მისთ.

აპლიკანტის დასაბუთება არ ჩაითვლება:

თუკი მხოლოდ შეცდომის ტიპი იქნება მითითებული:

წარმოდგენილ ნიმუშში დაშვებულია მორფოლოგიური შეცდომა.

თუკი არასრულად იქნება ახსნილი შეცდომის დასაბუთება:

ნ ბგერა არ უნდა იყოს ზმნის შუაში

თუკი აღწერილია შეცდომის გასწორება, მაგრამ არ იკითხება ენობრივი კვალიფიციერება.

სწორი ფორმა იქნება განაზოგადებს. და მისთ.

IV

მაღალ ხარისხიანი - სწორი ფორმაა მაღალხარისხიანი შეცდომის გასწორება - 1 ქულა

დასაბუთება - 1 ქულა

სიტყვა მაღალხარისხიანი წარმოდგენს ერთცნებიან კომპოზიტს, რომლის ფუძის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი ფუძეების (მაღალი და ხარისხი) მნიშვნელობათა ჯამს, შესაბამისად იწერება ერთად.

მისაღები იქნებოდა შემდეგნაირი დასაბუთება:

- ✓ ერთად იწერება სხვადასხვა ფუძის / ორი სიტყვის შერწყმის შედეგად მიღებული ერთცნებიანი კომპოზიტი.
- ✓ ერთცნებიანი კომპოზიტია და ერთად / უდეფისოდ იწერება. და მისთ.

აპლიკანტის დასაბუთება არ ჩაითვლება ა:


თუკი მხოლოდ სახელდებაა მითითებული:

წარმოდგენილი მაგალითი კომპოზიტია და ერთად იწერება.

თუკი არასრულად იქნება ახსნილი შეცდომის დასაბუთება:

იან მაწარმოებელი დაერთვის და ერთად იწერება და მისთ.

მასწავლებლის ნაშრომის ნიმუში



ამ შემთხვევაში პედაგოგს ამოცნობილი და გასწორებული აქვს 3 შეცდომა (დეტალებს - დეტალები / ანზოგადებს - განაზოგადებს / მაღალ ხარისხიანი - მაღალხარისხიანი.), ხოლო მეოთხე შეცდომას - ბაძავს - ჰბაძავს - ვერ მიაგნო, ამიტომ ამ ეტაპზე იმსახურებს 3 ქულას. აქვე აპლიკანტს ამოწერილი აქვს სწორად დაწერილი სიტყვა და გასწორებული აქვს მცდარი ფორმით (რა თქმა უნდა - რათქმაუნდა), შესაბამისად, მოგროვებულ 3 ქულას აკლდება 1 და რჩება 2 ქულა.

რაც შეეხება დავალების მეორე კომპონენტს - დასაბუთებას:

პირველ დასაბუთებაში აპლიკანტი იმსახურებს დამატებით 1 ქულას, სწორად აქვს ახსნილი შეცდომის მიზეზი;

მეორე დასაბუთებაში იგი ვერ იმსახურებს ქულას, რადგან მსჯელობა - „ძველ და ახალ ქართულში გამოიყენება ზმნისწინი გან“ - ვერ ხსნის შეცდომის მიზეზს - გან ზმნისწინის გათიშვის შეუძლებლობას და ზმნის ფუძეში ზმნისწინის თანხმოვნითი ნაწილის გაჩენის შეუძლებლობას.

მესამე დასაბუთებისას ასევე ვერ იმსახურებს აპლიკანტი ქულას, რადგან ა) ერთცნებიანი კომპოზიტი ორცნებიან კომპოზიტად აქვს დასახელებული; ბ) მის პასუხში არ იხსნება შეცდომის განმარტებული მიზეზი.

ლიტერატურული ანალიზის კომპეტენციის დასადასტურებელი დავალება

18.1 ამ ნაწყვეტის პირველი აზრადიდან ამოიწერეთ ორი მხატვრული ხერხი და ახსენით, რა ეფექტის მისაღწევად იყენებს მათ ავტორი.

(მაქსიმალური ქულა – 2)

18.2 ამ ამბის ამოსავალი, საკვანძო ფრაზა არის, ერთი შეხედვით, უჩვეულო შესიტყვება - „ლამაზი მარყუჟი“. იმსჯელეთ, რისი სიმბოლოა ის.

(მაქსიმალური ქულა – 2)

18.3 გობო საკუთარ თავს აღიქვამს ბედნიერ არსებად, წინამძღოლი კი მას „უბედურს“ უწოდებს. გამიჯნეთ და წერილობით ჩამოაყალიბეთ, რა იყო თითოეულის მოტივაცია (აღქმის საფუძველი). აზრის დასაბუთებლად მოიძიეთ არგუმენტები ტექსტიდან.

(მაქსიმალური ქულა – 2)

18.4 ტყეში დაბრუნებული გობო ყველაფერს სხვაგვარად აკეთებს. გაანალიზეთ მისი ქცევის ფსიქოლოგიური საფუძველი და ფერისცვალების შედეგები.

(მაქსიმალური ქულა – 2)


18.5 გაანალიზეთ გობოს ბოლო ფრაზა: „მან ვერ მიცნო“. იმსჯელეთ, რატომ ათქმევინებს ავტორი გობოს ამ სიტყვებს.

(მაქსიმალური ქულა – 2)

18.6 იმსჯელეთ ამ ნაწყვეტის მიხედვით, ზოგადად, ადამიანზე, მის ბუნებაზე.

(მაქსიმალური ქულა – 3)

მასწავლებლის ნაშრომის ნიმუში



18.1 დავალების პასუხში აპლიკანტი სწორად მიუთითებს (ამოწერს) ორივე მხატვრულ ხერხს, ასახელებს ტროპის სახესაც (შედარება), თუმცა ამ მხატვრული ხერხების საშუალებით ეფექტის მიღწევის დასაბუთება არასრულყოფილია. აპლიკანტს ავტორის მიერ მიღწეულ ეფექტად დასახული აქვს მშვენიერებისა და სილამაზის ხაზგასმა და უგულებელყოფს მთავარ მიმართებას - შვლების საბინადრო - „მაღალი სახურავით“ - იმდენად მყუდროა და ღრმა, რომ ოქროს ძეგლებით დილის მზის სხივები ძლივს აღწევენ მის შუაგულამდე. მზის სხივსაც უჭირს იქ შეღწევა, რაც სწორედ დაცულობის, შეუღწევლობის ეფექტს ქმნის. უღრანი ტყე შვლების სამყაროა, ბინაა, სახლია. შესაბამისად, მხოლოდ ვიზუალური ხატის ესთეტიკურ სურათის ეფექტი ამ ინტერპრეტაციაში არაზუსტია, ამიტომ იმსახურებს მხოლოდ 1 ქულას.

18.2 დავალების პასუხში აპლიკანტი მხოლოდ მარყუჟის სიმბოლოს განმარტავს და ხსნის და უგულებელყოფს მთავარ აქცენტს - ლამაზ მარყუჟს - რაც ვერგაცნობიერებული ტყვეობის იდეის მატარებელია. ამ 2-ქულიანი დავალების შეფასების სქემაში მკაფიოდ არის განმარტებული, რომ

როგორც მაქსიმალურქულიან, ისე 1-ქულიან პასუხში აუცილებლად უნდა იკითხებოდეს ტყვეობის ვერგაცნობიერების იდეა. შესაბამისად, აპლიკანტის ეს პასუხი ფასდება 0 ქულით.

18.3 დავალების პასუხში აპლიკანტი წარმოადგენს გამართულ მსჯელობას, საკითხი განხილული აქვს ორივე პოზიციიდან (გობო, წინამძღოლი) და მოხმობილი აქვს შესაბამისი დამოწმებები ტექსტიდან. შესაბამისად, ამ პასუხში აპლიკანტი ფასდება 2 ქულით.

18.4 დავალების პასუხში აპლიკანტი მსჯელობს გობოს ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძველზე, მეტ-ნაკლებად მიმოიხილავს მას, თუმცა არ აანალიზებს ფერიცვალების შედეგებს, შესაბამისად, აპლიკანტის ეს პასუხი ფასდება 1 ქულით.

18.5 დავალების პასუხში აპლიკანტი ვერ სცემს პასუხს დასმულ ამოცანას, მცდარად აანალიზებს ტექსტს - პრობლემას ადამიანის სისასტიკეში ხედავს. ამ შეკითხვის პასუხად მრავალგვარი ინტერპრეტაციაა დასაშვები:

- ✓ გობო კვდება და იმას კი არ წუხს, რომ ვერ გადარჩება, ის უფრო ადარდებს, რომ ადამიანმა ვერ იცნო. ან გულის სიღრმეში ხვდება, მაგრამ არ აღიარებს, რომ მთელი წარმოდგენები ამ სამყაროზე დაემსხვრა.
- ✓ იგი ერთი კონკრეტული ადამიანის ქცევის მიხედვით მსჯელობდა, რომელმაც „ვერ იცნო“ და ესროლა. ისიც კონკრეტული ადამიანია, რომელმაც ის გამოაზამთრა. გობოს არ შეუძლია, ზოგადად, მთლიანობაში გაიაზროს ადამიანი თავისი დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით.
- ✓ გობო სრულიად ვერ აცნობიერებს იმ დამღუპველ შედეგებს, რომლებიც ადამიანთან მისმა ყოფნამ განაპირობა.
- ✓ გობომ, სხვა შვლებისგან განსხვავებით, ბევრი რამ ნახა, ამ სამყაროზე თითქოს მას მეტი ცოდნა აქვს, მაგრამ უფრო დაბნეულია. მან მთავარი არ იცის, თავად ვინ არის. და მისთანანი

შესაბამისად, ამ პასუხში აპლიკანტი ფასდება 0 ქულით - საკითხი არ არის ან მცდარადაა წარმოდგენილი.

18.6 დავალების შეფასების სქემის მიხედვით, აპლიკანტი ვალდებული იყო, წარმოედგინა ნაწარმოების პერსონაჟი 2 ადამიანის (გამომზამთრებელი და მონადირე) შესახებ მსჯელობა, განეზოგადებინა საკითხი და ემსჯელა ადამიანის ბუნების შესახებ. პასუხში აპლიკანტი მხოლოდ ზოგადად მიმოიხილავს ადამიანის სასტიკ დამოკიდებულებას ბუნებისადმი, ისე, რომ ტექსტის მთავარი იდეა გაუხსნელი რჩება. ცხადია, ეს ტექსტი და დასმული შეკითხვები მხოლოდ ბუნებისდაცვითი დიდაქტიკის კონტექსტამდე არ დაიყვანება, შესაბამისად, აპლიკანტი ფასდება სამიდან 1 ქულით - პასუხში წარმოდგენილია სქემატური მსჯელობა ადამიანის, მისი ბუნების შესახებ, მოცემული არგუმენტები არაა დამაჯერებელია.

I - VI კლასების მათემატიკის საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება

2021 წლის ტესტის ფორმატში დავალებების რაოდენობის ცვლილების დეტალური სქემა

მათემატიკა - საგნობრივი ცოდნა - დააკლდა ჯამში 8 ქულა არჩევითპასუხიანი და ღია დავალების შემცირების ხარჯზე.

დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლების საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებელი გამოცდის პროგრამა (I - VI)

1. საგნობრივი ცოდნა	
საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
რიცხვები და მოქმედებები	
ნატურალური რიცხვები, მარტივი და შედგენილი რიცხვები, გამყოფი და ჯერადი	რიცხვის რაობა (რიცხვი, როგორც რაოდენობის აღმნიშვნელი). რიცხვის ჩაწერა ციფრებით, სიტყვებით, რიცხვის ჩაწერის რომაული სისტემა. არითმეტიკული მოქმედებები ნატურალურ რიცხვებზე. ნაშთიანი გაყოფა. ნატურალური რიცხვის დაშლა მარტივ მამრავლებად. დაშლის ერთადერთობა (არითმეტიკის ძირითადი თეორემა). რამდენიმე ნატურალური რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფისა და უმცირესი საერთო ჯერადის პოვნა. გაყოფადობის ნიშნები და მათი კავშირი ათობით პოზიციურ სისტემასთან.
მთელი და რაციონალური რიცხვები	დადებითი და უარყოფითი რიცხვები, რაციონალური რიცხვების წარმოდგენა წილადებისა და ათწილადების სახით, რიცხვის ჩაწერის ათობითი პოზიციური სისტემა. რაციონალური რიცხვების შედარება, რიცხვითი უტოლობები და მათი თვისებები. არითმეტიკული მოქმედებები რაციონალურ რიცხვებზე, არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებები. რიცხვითი გამოსახულებები, მოქმედებათა თანმიმდევრობა რიცხვით გამოსახულებებში.
რიცხვთა ღერძი, რიცხვითი შუალედები	წერტილის კოორდინატი რიცხვთა ღერძზე, რაციონალური რიცხვის შესაბამისი წერტილის გამოსახვა რიცხვთა ღერძზე.

პროპორცია	პროპორციულობა, პროპორციის თვისებები, პროპორციის უცნობი წევრის პოვნა, რიცხვის დაყოფა მოცემული შეფარდებით, პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებულება სიდიდეებს შორის.
რიცხვის ნაწილი, პროცენტი	რიცხვის ნაწილის პოვნა, რიცხვის პოვნა მისი პროცენტით/ნაწილით, რიცხვის ნაწილის ჩაწერა პროცენტის სახით.
ხარისხი	რიცხვის ხარისხი ნატურალური მაჩვენებლით.
სიდიდის ერთეულები	სიგრძის, მასის, დროის, სიჩქარის ერთეულები. ერთი და იმავე სიდიდის ერთეულებს შორის კავშირი.
კანონზომიერება და ალგებრა	
სიმრავლე, სიმრავლეებს შორის მიმართებები, მოქმედებები სასრულ სიმრავლეებზე	სიმრავლე, ქვესიმრავლე, ცარიელი სიმრავლე. ოპერაციები სიმრავლეებზე: სიმრავლეთა გაერთიანება, თანაკვეთა.
ალგებრული გამოსახულება	მოქმედებები გამოსახულებებზე, გამოსახულების გარდაქმნა, ალგებრული გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა ასოების მითითებული მნიშვნელობისათვის.
განტოლება	განტოლება და მისი ამონახსნი, ტოლფასი განტოლებები, წრფივი განტოლების ამოხსნა. ამოცანების ამოხსნა განტოლების გამოყენებით.
გეომეტრია და სივრცის აღქმა	
ძირითადი გეომეტრიული ობიექტები და ცნებები	წერტილი, წრფე, სხივი, მონაკვეთი, ტეხილი. მონაკვეთის სიგრძე, ტეხილის სიგრძე, მანძილი ორ წერტილს შორის, მანძილის თვისება. კუთხე, კუთხის გრადუსული ზომა, მართი, მახვილი, ბლაგვი და გაშლილი კუთხეები.
წრფეების ურთიერთგანლაგება სიბრტყეზე	წრფეთა თანაკვეთა, პარალელობა, მართობულობა.
მრავალკუთხედი	მრავალკუთხედის გვერდი, წვერო, კუთხე, დიაგონალი, პერიმეტრი.
გეომეტრიული გარდაქმნები სიბრტყეზე	ფიგურათა ტოლობა. ღერძული და ცენტრული სიმეტრიები.
სამკუთხედი	სამკუთხედის გვერდი, კუთხე, წვერო, მედიანა, ბისექტრისა, სიმაღლე. მართკუთხა, მახვილკუთხა, ბლაგვკუთხა, ტოლფერდა, ტოლგვერდა სამკუთხედები და მათი თვისებები.

	სამკუთხედის კუთხეების ჯამი. სამკუთხედის უტოლობა.
პარალელოგრამი	პარალელოგრამის გვერდების, კუთხეებისა და დიაგონალების თვისებები. რომბი, მართკუთხედი, კვადრატი და მათი თვისებები.
ტრაპეცია	ტრაპეციის ფუძე, ფერდი, სიმაღლე.
ბრტყელი ფიგურის ფართობი	ტოლი ფიგურების ფართობების ტოლობა, ბრტყელი ფიგურის ფართობის კავშირი მისი შემადგენელი ნაწილების ფართობებთან; კვადრატის, მართკუთხედის, სამკუთხედის ფართობის გამოთვლა.
წრეწირი და წრე	წრეწირის და წრის ცენტრი, რადიუსი, დიამეტრი, ქორდა, რკალი, სექტორი.
მართკუთხა კოორდინატთა სისტემა სიბრტყეზე	წერტილის კოორდინატები, რიცხვთა წყვილის შესაბამისი წერტილის გამოსახვა საკოორდინატო სიბრტყეზე.
სივრცითი სხეულები და მათი შლილები	მრავალწახნაგა. მრავალწახნაგას წვერო, წიბო, წახნაგი. კავშირი მრავალწახნაგას შემადგენელი ნაწილების რაოდენობებს შორის. კუბის, მართკუთხა პარალელეპიპედის, მართი პრიზმის, პირამიდის, ცილინდრის და კონუსის შლილები.
სივრცითი სხეულის მოცულობა და ზედაპირის ფართობი.	სხეულის მოცულობა, კავშირი სხეულის მოცულობასა და მისი შემადგენელი სხეულების მოცულობათა შორის. კუბის და პარალელეპიპედის გვერდითი და სრული ზედაპირის ფართობისა და მოცულობის გამოთვლა.
ზომის ერთეულები.	სიგრძის, ფართობის, მოცულობის ერთეულები და კავშირები მათ შორის.
მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა	
მონაცემთა წარმოდგენის ხერხები: სია, ცხრილი, პიქტოგრამა, დიაგრამა (წერტილოვანი, ხაზოვანი, სვეტოვანი, წრიული). მონაცემთა საშუალო.	

დაწყებითი საფეხურის მათემატიკის ტესტურ დავალებათა რამდენიმე ნიმუში და განმარტებები

1. თუ a და b ორნიშნა ნატურალური რიცხვებია, მაშინ $a - 2b$ გამოსახულების უდიდესი მნიშვნელობაა:


- ა) 77
- ბ) 78
- გ) 79
- დ) 80

მოცემული ამოცანის ამოსახსნელად შეიძლება ასე ვიმსჯელოთ: $a - 2b$ გამოსახულების მნიშვნელობა მით უფრო მეტი იქნება, რაც უფრო მეტი იქნება a -ს მნიშვნელობა და რაც უფრო ნაკლები იქნება $2b$ -ს მნიშვნელობა. რაკი a და b ორნიშნა ნატურალური რიცხვებია, ამიტომ a -ს უდიდესი შესაძლო მნიშვნელობაა 99, ხოლო $2b$ -ს უმცირესი შესაძლო მნიშვნელობაა $2 \cdot 10 = 20$. შესაბამისად, $a - 2b$ გამოსახულების უდიდესი მნიშვნელობა ტოლია $99 - 20 = 79$ -ის. სწორი პასუხია (გ).

2. ისრებიანი საათის მიხედვით 10 საათია. რამდენი გრადუსის ტოლია საათებისა და წუთების მაჩვენებელი ისრებით შედგენილი მახვილი კუთხის სიდიდე ?

- ა) 30°
- ბ) 45°
- გ) 60°
- დ) 75°

ადვილი შესამჩნევია, რომ ზუსტად 10 საათზე საათის ისრების მიერ შედგენილი მახვილი კუთხე ტოლია სრული კუთხის $\frac{2}{12} = \frac{1}{6}$ ნაწილისა. ამიტომ ამ კუთხის სიდიდე ტოლია სრული კუთხის სიდიდის $\frac{1}{6}$ ნაწილისა, ანუ $\frac{360^\circ}{6} = 60^\circ$ -ისა.



3. სკოლისათვის ფრენბურთისა და კალათბურთის ბურთები შეიძინეს, სულ 19 ცალი. ბურთებში 88 ლარი გადაიხადეს. ფრენბურთის ბურთი 4 ლარი ღირდა, ხოლო კალათბურთისა – 7 ლარი. შეძენილი ბურთებიდან რამდენი იყო კალათბურთის? ამოცანის ამოხსნა ჩაწერეთ.

(მაქსიმალური ქულა 3)

ამ ამოცანის ამოხსნა შესაძლებელია სხვადასხვა გზით. მაგალითად, განტოლების შედგენით:

კალათბურთის ბურთების რაოდენობა: x ,

ფრენბურთისა: $19 - x$,

განტოლება: $7x + 4(19 - x) = 88$.

აქედან: $x = 4$.

შესაძლებელია ამგვარად მსჯელობაც:

ცხრამეტივე ბურთი რომ კალათბურთის ყოფილიყო, მაშინ მათი ღირებულება იქნებოდა $19 \cdot 7 = 133$ ლარი, ანუ 88 ლარზე $133 - 88 = 45$ ლარით მეტი. 1 კალათბურთის ბურთის 1 ფრენბურთის ბურთით შეცვლის შემთხვევაში მათი საერთო ღირებულება $7 - 4 = 3$ ლარით მცირდება. $45 : 3 = 15$, ამიტომ საერთო ღირებულება 45 ლარით შემცირდება, თუ 15 ცალ კალათბურთის ბურთს ჩავანაცვლებთ ამდენივე ფრენბურთის ბურთით. მაშასადამე, უყიდიან $19 - 15 = 4$ კალათბურთის ბურთი.

ამოცანის ამოხსნა შესაძლებელია ყველა შესაძლო ვარიანტის განხილვითაც: თუ შეიძენდნენ კალათბურთის 1 და ფრენბურთის 18 ბურთს, გადაიხდიდნენ $7 + 72 = 79$ ლარს; თუ შეიძენდნენ კალათბურთის 2 და ფრენბურთის 17 ბურთს, გადაიხდიდნენ $14 + 68 = 82$ ლარს და ა.შ. თუ შეიძენდნენ კალათბურთის 4 და ფრენბურთის 15 ბურთს, გადაიხდიდნენ $28 + 60 = 88$ ლარს.

დავალება შეფასდა 3 ქულით:

3 ქულა: დასაბუთებულია, რომ შეძენილი ბურთებიდან 4 იყო კალათბურთის.

2 ქულა: გამოყენებულია ამოხსნის ადეკვატური გზა, მაგრამ სწორი პასუხი არ არის გაცემული ამოცანაში დასმულ შეკითხვაზე.

1 ქულა: ამოცანის ამოხსნა დაწყებულია ადეკვატური გზით, გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი, თუმცა სათანადოდ არ არის გაგრძელებული.

0 ქულა: სწორი პასუხი მოცემულია, თუმცა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე;

პასუხი არ არის სწორი;

პასუხი არ არის მოცემული.

განვიხილოთ პედაგოგების მიერ შემოთავაზებული ამოხსნის ორი ვარიანტი:

$$\begin{array}{l} \text{ფრენბურთის ღირებულება} - 4 \text{ ც.} \\ \text{კალათბურთის} \quad \quad \quad - 7 \text{ ც.} \end{array} \quad \left\{ \begin{array}{l} 19 \text{ ცალი} = 88 \text{ ლარი.} \end{array} \right.$$

ამოხსნა

$$\text{ფრენბურთის იყიდეს } 15 \text{ ც. } 15 \cdot 4 = 60 \quad 88 - 60 = 28 \text{ ლარი}$$

$$\text{კალათბურთის იყიდეს } 4 \text{ ც. , ხაზგან } 7 \cdot 4 = 28 \quad 28 : 7 = 4$$

პასუხი: კალათბურთის 4 ცალი ბურთი; ფრენბურთის 15 ცალი.

კომენტარი

აპლიკანტმა სწორი პასუხის მოძებნით და მისი შემოწმებით, რასაკვირველია, გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამოცანის ამოხსნის გზაზე, მაგრამ სათანადოდ არაა გაგრძელებული. აპლიკანტს ან უნდა წარმოედგინა ამოხსნის გზა, ან უნდა დაესაბუთებინა, რომ მის მიერ მოძებნილი პასუხის გარდა ამოცანას სხვა ამონახსნი არ აქვს. ამიტომ ეს ნაშრომი შეფასდა მხოლოდ 1 ქულით.

ვთქვათ ჯადსთბოქითაჲ პოქითი იყოს x ხათფენობა, ფხერპოქითა
 აქნება $(19-x)$ ხათფენობა. აშოცანის პიხოზობას ვაშოშინაჲ
 შეიძება დაწესითი, ხოძ $4x + 7(19-x) = 88$
 $4x + 133 - 7x = 88$
 $3x = 45$
 $x = 15$
 პასუხი: შცქენლი ბოქითეზიდან 15 ჟაჲთ. ჯადსთბოქითაჲ ბოქითეზაჲ ხათფე-
 ნობა ყოფიჲსა 15 ჟაჲთ.

კომენტარი

ეს ნაშრომი შეფასდა 2 ქულით, რადგან აპლიკანტმა გამოიყენა ამოხსნის ადეკვატური გზა, თუმცა სწორი პასუხი ვერ მიიღო, რადგან მას ერთმანეთში აერია კალათბურთისა და ფრენბურთის ბურთების ფასი.

4. მოსწავლეებს შემდეგი სამუშაო შესთავაზეს:

- 1) გამოთვალეთ: I. $417 + 241 + 183$ II. $352 - 147 - 52$
- 2) შეასრულეთ ნაშთიანი გაყოფა: $353 : 25$.
- 3) სალომემ მოცემული რიცხვი 6-ის ნაცვლად 2-ზე გაამრავლა, გამოთვლა სწორად შეასრულა და მიიღო რიცხვი 76. რა რიცხვს მიიღებდა სალომე, თუ მოცემულ რიცხვს 6-ზე გაამრავლებდა და გამოთვლასაც სწორად შეასრულებდა?
- 4) მართკუთხედი, რომლის სიგრძეა 18 სმ, სიგანე – 8 სმ, დაყვეს 2 სმ სიგრძის გვერდის მქონე კვადრატებად. რა სიგრძის მართკუთხა ზოლს მივიღებთ, თუ ამ კვადრატებს ერთმანეთის მიყოლებით სწორი ხაზის გასწვრივ დავაწყობთ?
- 5) ფრენბურთელთა გუნდების საკვალიფიკაციო ტურნირში ყოველი შეხვედრა ერთ-ერთი გუნდის გამარჯვებით მთავრდება, წაგებული გუნდი კი ტურნირს ეთიშება. რამდენი შეხვედრაა საჭირო 32 გუნდიდან ფინალური ტურნირისთვის 8 გუნდის შესარჩევად?

- 1) I. $417 + 241 + 183 = 600 + 241 = 841$;
II. $352 - 147 - 52 = 300 - 147 = 163$.
- 2) $353 : 25 = 300 : 25 + 53 : 25 = 14 + 2(\text{ნაშთი } 3) = 16(\text{ნაშთი } 3)$.
- 3) $76 \cdot 3 = 238$. სალომე მიიღებდა 238-ს.
- 4) $8 : 2 = 4$. მიიღება $4 \cdot 18 = 62$ სმ სიგრძის ზოლი.
- 5) 1 შეხვედრით 1 გუნდი ეთიშება. საჭიროა $32 - 8 = 26$ შეხვედრა.

- მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და დაწერეთ შესწორებული ვარიანტი.

(მაქსიმალური ქულა 3)

მოსწავლის ნაწერში დაშვებულია სულ 5 შეცდომა:

- 1) II. დაშვებულია შეცდომა გამოკლებისას.
უნდა იყოს: $300 - 147 = 153$.
- 2) დაშვებულია შეცდომა 300-ის 25-ზე გაყოფისას.
უნდა იყოს: $300 : 25 = 12$.
- 3) დაშვებულია შეცდომა 3-ზე გამრავლებისას.
უნდა იყოს: $76 \cdot 3 = 228$.
- 4) დაშვებულია შეცდომა გამრავლებისას.
უნდა იყოს: $18 \cdot 4 = 72$
- 5) დაშვებულია შეცდომა გამოკლებისას.
უნდა იყოს: $32 - 8 = 24$

აპლიკანტი მოსწავლის თითოეული შეცდომის აღმოჩენისა და შესწორებისათვის მიიღებს სამ-სამ „+“-ს. აპლიკანტმა შეიძლება მიიღოს მაქსიმუმ 15 „+“.

შეფასება ხდება დაგროვებული „+“-ების საერთო რაოდენობის მიხედვით:

ჯამური ქულა:	შეფასება
13-15	3 ქულა
9-12	2 ქულა
5-8	1 ქულა
0-4	0 ქულა

განვიხილოთ შემოთავაზებული ამოხსნის რამდენიმე ვარიანტი.

I-ს ნაწილი

1. $352 - 147 - 52 = 300 - 147 = \underline{153} = 153$

2) $352 : 25 = \underline{300 : 25} + 52 : 25 = 12 \text{ (ნაშთი 3)} + 2 : 25 = 12$
 მოსწავლე შეიძლება დაშვება $300 : 25 = 12$ ნაცდელ 12.
 სწორია $300 : 25 + 52 : 25 = 12 \text{ (ნაშთი 3)}$.

3) სწორი პოვნა $228 \quad 38 \cdot 6 = 228$

4. $8 : 2 = 4 \quad 4 \cdot 18 = \underline{72} = 72$

კომენტარი – აპლიკანტმა სწორადაა მოძებნა ხუთიდან ოთხი სავარჯიშო, რომელთა შესრულებისას მოსწავლეს შეცდომა ჰქონდა დაშვებული. 1), 3) და 4) სავარჯიშოების შემთხვევაში მითითებულია მოსწავლის შეცდომაც და შესწორებული ვარიანტიც. ამიტომ თითოეულ ამ შემთხვევაში აპლიკანტი მიიღებს სამ „+“-ს. მე-3 სავარჯიშოს შემთხვევაში კი

აპლიკანტმა არ მიუთითა, თუ რა შეცდომა დაუშვა მოსწავლემ (შემოთავაზებულია მოსწავლის გზისგან განსხვავებული სწორი ამოხსნა). ამიტომ ამ შემთხვევაში აპლიკანტი მიიღებს ორ „+“-ს. აპლიკანტმა დააგროვა სულ 11 „+“. ამიტომ აპლიკანტის ნამუშევარი შეფასდა 2 ქულით.

1) $\overline{11} \quad 352 - 147 - 52 = 900 - 147 = 163$ ახლ ზუსტად.
 სწორი: $352 - 147 - 52 = 300 - 147 = 153$

2) $352 : 25 = 300 : 25 + 52 : 25 = 12 + 2(\text{ნაშთი}) = 14$ ნაშთი 2.
 ზუსტად.
 სწორი: $352 : 25 = 14(\text{ნაშთი } 2)$

$$\begin{array}{r} 25 \\ \underline{103} \\ 100 \\ \underline{100} \\ 3 \end{array}$$

3) $76 \cdot 3 = 238$ ზუსტად.
 სწორი: $76 \cdot 3 = 228$

4) $8 : 2 = 4$ ზუსტად. $4 \cdot 18 = 62$ სწორი ზუსტად.
 სწორი: $8 : 2 = 4$. $4 \cdot 18 = 72$ სწორი ზუსტად.

5) $32 - 8 = 26$ ზუსტად. სწორი: $32 - 8 = 24$

კომენტარი – აპლიკანტმა სწორად მოძებნა ხუთიდან ხუთივე სავარჯიშო, რომელთა შესრულებისას მოსწავლეს შეცდომა ჰქონდა დაშვებული. 1), 3), 4) და 5) სავარჯიშოების შემთხვევაში მითითებულია მოსწავლის შეცდომაც და შესწორებული ვარიანტიც. ამიტომ თითოეულ ამ შემთხვევაში აპლიკანტი მიიღებს სამ „+“-ს. მე-2 სავარჯიშოს შემთხვევაში კი აპლიკანტმა არ მიუთითა, თუ რა შეცდომა დაუშვა მოსწავლემ (შემოთავაზებულია მოსწავლის გზისგან განსხვავებული სწორი ამოხსნა). ამიტომ ამ შემთხვევაში აპლიკანტი მიიღებს ორ „+“-ს. აპლიკანტმა დააგროვა სულ 14 „+“. ამიტომ აპლიკანტის ნამუშევარი შეფასდა 3 ქულით.

I - VI კლასების ბუნებისმეტყველების საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება

2021 წლის ტესტის ფორმატში დავალებების რაოდენობის ცვლილების დეტალური სქემა

ბუნებისმეტყველება - საგნობრივი ცოდნა - დააკლდა ჯამში 8 ქულა არჩევითპასუხიანი და ღია დავალების შემცირების ხარჯზე.

დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მასწავლებლების საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდის პროგრამა (I - VI)

1. პროფესიული ცოდნა	
საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დაზუსტება
სიცოცხლე და ცოცხალი ორგანიზმები	რა განასხვავებს ცოცხალს არაცოცხალისგან; სასიცოცხლო პროცესები: კვება, სუნთქვა, ზრდა, მოძრაობა, ექსკრეცია, გამრავლება, მგრძნობელობა; ორგანიზმთა მრავალფეროვნება და კლასიფიკაცია, ორგანიზმთა ძირითადი ჯგუფები: ვირუსები, ბაქტერიები, მცენარეები, ცხოველები, სოკოები; მცენარეებისა და ცხოველების განმასხვავებელი ძირითადი ნიშან-თვისებები; სიცოცხლის გავრცელება დედამიწაზე (სად გვხვდებიან ცოცხალი ორგანიზმები): სასიცოცხლო გარემოს მალიმიტირებელი ფაქტორები და აუცილებელი პირობები.
მიკროორგანიზმები	მიკროორგანიზმების მრავალფეროვნება, გავრცელება და სასიცოცხლო გარემო (წყალი, ჰაერი, ნიადაგი, სხვა ორგანიზმები); მიკროორგანიზმების მნიშვნელობა ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში (დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები, საკვები პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული მიკროორგანიზმები)
მცენარეთა სამყარო	მცენარეთა მრავალფეროვნება: უმდაბლესი და უმაღლესი მცენარეები (ხავსები, გვიმრები, წიწვოვანი და ყვავილოვანი მცენარეები); მცენარეთა ორგანოები (ფესვი, ღერო, ფოთოლი) და მათი ფუნქციები, ორგანოთა სახეცვლილებები და მათი ფუნქციები;

	მცენარეთა გამრავლება: ვეგეტატიური და სქესობრივი გამრავლება; გამრავლების ორგანოები (ყვავილი, ნაყოფი, თესლი); მცენარეთა გავრცელება (ნაყოფის და თესლის გავრცელების ძირითადი ფორმები); მცენარის კვება და ზრდა-განვითარება: აუცილებელი ფაქტორები და პირობები; ფოტოსინთეზი: პროცესის არსი, პროცესში მონაწილე კომპონენტები (სინათლე, ქლოროფილი, წყალი და ნახშირორჟანგი) და მათი როლი ამ პროცესში, ფოტოსინთეზის პროდუქტი და მასთან დაკავშირებული გაზთა ცვლა. კულტურულ მცენარეთა ჯიშები; ბოტანიკური ბაღები.
ცხოველთა სამყარო	უხერხემლო ცხოველების მრავალფეროვნება: ჭიები, მოლუსკები, ფეხსახსრიანები (მაგ. მწერები); უხერხემლოების გავრცელება და სასიცოცხლო გარემო; უხერხემლო ცხოველების აგებულება (გარეგანი აგებულება, მაგ. გადაადგილების ორგანოები; სხეულის ორმხრივი და რადიალური სიმეტრია), და შეგუება გარემოსთან - ადაპტაციები კონკრეტულ საარსებო გარემოში (წყალი, ნიადაგი, ჰაერი) არსებობისთვის, საკვების მოპოვებისა და თავდაცვისთვის; მწერების სასიცოცხლო ციკლის სტადიები; ხერხემლიან ცხოველთა გავრცელება და სასიცოცხლო გარემო; ხერხემლიან ცხოველთა მრავალფეროვნება - ხერხემლიანთა კლასები (თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები, ძუძუმწოვრები) და მათი შედარებითი დახასიათება (საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები, ცივისხლიანი და თბილსისხლიანი ცხოველები); ხერხემლიანების გარეგანი და შინაგანი აგებულება (ძირითადი ორგანოები და ორგანოთა სისტემები); ხერხემლიანთა კვება, ზრდა-განვითარება და გამრავლება (გამრავლების თავისებურებები კლასების მიხედვით, ნაშიერზე ზრუნვა, ცოცხალმშობიარობა და რძით კვება ძუძუმწოვრებში); სტრუქტურული და ქცევითი ადაპტაციები ხერხემლიანებში;

	გადაშენებული ცხოველები - დინოზავრები; შინაური და გარეული ცხოველები; ზოოპარკები და აკვარიუმები.
ადამიანი	ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი, სუნთქვის, გულ- სისხლძარღვთა, ნერვული, საჭმლის მომწელებელი და გამრავლების სისტემების ზოგადი დახასიათება და ფუნქციები; ჯანსაღი ცხოვრების წესი (სწორი კვება, დასვენება, სპორტი) და მავნე ჩვევების (ნიკოტინის, ნარკოტიკების, ჭარბი ალკოჰოლის მოხმარების) გავლენა ჯანმრთელობაზე; სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ფაქტორები და მათგან დაცვის წესები, შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები, უსაფრთხოება და, უსაფრთხო ქცევის წესები ბუნებრივ და ტექნოგენურ გარემოში; პირადი ჰიგიენა; ბაქტერიული და ვირუსული დაავადებები და მათი პროფილაქტიკა.
ეკოლოგია და გარემოს დაცვა	ეკოსისტემა და მისი ბიოტური და აბიოტური კომპონენტები; საპროფიტები, პროდუცენტები და კონსუმენტები, მათი როლი ეკოსისტემაში; კვებითი კავშირები ეკოსისტემაში; ბალახისმჭამელი, მტაცებელი და ნაირმჭამელი ცხოველები; ადამიანის ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე (დაბინძურება, რესურსების ჭარბი მოხმარება, ბუნებრივი ეკოსისტემების მოდიფიკაცია და განადგურება) და მისი უარყოფითი შედეგები; ბუნების დაცვა: საფრთხეში მყოფი სახეობების წითელი ნუსხა (წითელი წიგნი), დაცული ტერიტორიები; მდგრადი განვითარების პრინციპები.
მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტები და მათი ნაწილები	დედამიწის ფორმა და სიდიდე, ხმელეთი და წყალი (კონტინენტები და ოკეანეები). რელიეფის მნიშვნელოვანი ფორმები (მთა, მთათა სისტემა, ქედი, ზეგანი, ბორცვი, ვაკე, დაბლობი, ქვაბული და სხვ.). ჰიდროსფეროს შემადგენელი ნაწილები (ოკეანე, ზღვა, ტბა, მდინარე და სხვ.) და მათი გამოყენება. გეოგრაფიული ობიექტების მახასიათებლები (ფორმა, სიმაღლე, სიღრმე, ჩქარი, მდორე, ციცაბო, დამრეცი და

	სხვ.), ნიადაგი და მისი თვისებები (ფერი, გამტარიანობა). დასახლებული პუნქტები (ქალაქი, დედაქალაქი, დაბა, სოფელი). მსოფლიოსა და საქართველოს მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ობიექტთა ნომენკლატურა.
ბუნებრივი რესურსები	ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, კლასიფიკაცია. საქართველოს ძირითადი წიაღისეულის გეოგრაფია (ქვანახშირი, ნავთობი, მანგანუმი).
ბუნებრივი მოვლენები, გარემოს ცვლილება	ბუნებრივი და ანთროპოგენული (ხელოვნური) გარემო. ეროზია და გამოფიტვა. სტიქიური მოვლენები (ვულკანი, მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი და სხვ.).
სივრცეში ორიენტაცია	გლობუსი, ადგილის გეგმა, რუკა (სასწავლო რუკები, ატლასი), რუკის ლეგენდა (გამოყენებული სიმბოლოები, პირობითი ნიშნები). ჰორიზონტის მხარეები, ადგილის გაგნება, კომპასი, მასშტაბი. ძველი ხალხების (ბერძნების, ინდოელებისა და ფინიკიელების) წარმოდგენები დედამიწის შესახებ. გეოგრაფიულ აღმოჩენათა მნიშვნელობა და შედეგები (დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა XV-XVII სს.).
პერიოდული მოვლენები და ამინდი	დედამიწის ბრუნვა ღერძისა და მზის გარშემო და მისი შედეგები (დღე-ღამის ცვლა, წელიწადის დროები). ამინდის კომპონენტები (ჰაერის ტემპერატურა, ნალექები, ქარი, მოღრუბულობა) და პროგნოზი (ტრადიციული ხალხური მეთოდები). მეტეოროლოგიური ხელსაწყოების (თერმომეტრი, ფლუგერი) გამოყენების პრინციპები.
კოსმოსური სხეულები და ასტრონომიული მოვლენები	მზის სისტემის პლანეტები და მათი თანამგზავრები, ვარსკვლავები, კომეტები, ასტეროიდები, მეტეორები, მეტეორიტები, გალაქტიკა (ირმის ნახტომი). კოსმოსის შესწავლის ისტორია და ტექნიკის განვითარება.
ძირითადი ფიზიკური სიდიდეები	დრო, სიგრძე, ფართობი, მოცულობა, მასა, სიმკვრივე, ტემპერატურა.

	კავშირი ერთეულებს შორის. მათი განზომილებები, გაზომვა და გამოყენება. სიმკვრივის გამოსათვლელი ფორმულა.
ენერგია	სითბოს და სინათლის ბუნებრივი და ხელოვნური წყაროები. ერთი სახის ენერგიის მეორეში გადასვლა. ენერგიის მუდმივობის კანონი.
ნივთიერება, აგრეგატული მდგომარეობები, სითბური მოვლენები	ნივთიერებათა ფიზიკური თვისებები (ფერი, სუნი, გემო). ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობები, ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა: გამყარება-დნობა; აორთქლება-კონდენსაცია.
მასალები და მათი თვისებები	მასალა და ნედლეული. ბუნებრივი და ხელოვნური მასალები. ფართოდ გამოყენებული მასალების თვისებები (ფერი, თბოგამტარობა, დრეკადობა, გამჭვირვალობა და სხვ.), მათი გამოყენება. თბოგამტარები და თბოიზოლატორები.
სხეულთა მოძრაობა და ურთიერთქმედება	სხეულის მოძრაობაზე მოქმედი ფაქტორები (ფორმა, ზომა, სიმძიმე, ზედაპირი და ა. შ.); მოძრაობის სახეები (წრფივი, მრუდწირული, რხევითი, ბრუნვითი). ტრაექტორია. გავლილი მანძილი და გადაადგილება. წრფივი თანაბარი მოძრაობის სიჩქარე და მისი გამოთვლა, სიჩქარის ერთეულები. გავლილი მანძილის ფორმულა. მსოფლიო მიზიდულობის მოვლენა. სხეულთა ურთიერთქმედება და ძალა. ერთი წრფის გასწვრივ მიმართული ძალების შეკრება. სიმძიმის ცენტრი, წონასწორობა და მისი სახეები. მარტივი მექანიზმების (ბერკეტი, პინეზიანი სასწორი) მოქმედების პრინციპები.
მექანიკური რხევები და ტალღები	ბგერა, ბგერის წყაროები, ბგერის წარმოქმნა, გავრცელება და აღქმა; ბგერის გავრცელების სიჩქარე სხვადასხვა გარემოში. ბგერითი სიგნალების გადაცემა და მიღება ორგანიზმებში; სმენის ორგანოები. ექოს წარმოქმნა. ბგერის ხმამაღლობა - ამპლიტუდა, სიმაღლე - სიხშირე.
მაგნიტი	მაგნიტი, მაგნიტური პოლუსები, მაგნიტების ურთიერთქმედება და გამოყენება.

დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მასწავლებლების საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტის დავალებათა რამდენიმე ნიმუში და განმარტებები

1. ჩამოთვლილთაგან რომელ ორგანიზმს ახასიათებს გარეგანი განაყოფიერება?

- (ა) თევზებს
- (ბ) ქვეწარმავლებს
- (გ) ფრინველებს
- (დ) ძუძუმწოვრებს

სწორი პასუხი: (ა).

2.1. ყლაპვის დროს სუნთქვა:

- (ა) შეკავდება
- (ბ) არ იცვლება
- (გ) გააქტიურდება
- (დ) შენელებს

სწორი პასუხი: (ა).

2.2. ახსენით ამ მოვლენის მიზეზი.

მოცემული დავალება ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში აპლიკანტმა უნდა აირჩიოს სწორი პასუხი.

მეორე ნაწილის შესრულება გულისხმობს ამ პროცესის მექანიზმის მითითებას. ნერწყვის ან ლუკმის გადაყლაპვისას ხრტილოვანი, ელასტიური ხორხსარქველი ხორხს ხურავს და ნერწყვსა და საკვების ნაწილაკებს სასუნთქ გზებში მოხვედრის საშუალებას არ აძლევს.

აპლიკანტი ამ დავალებაში ქულას ორივე ნაწილის წარმატებით შესრულების შედეგად მოიპოვებს.

3. რა მიზნით ქმნიან ადამიანები დაცულ ტერიტორიებს - ეროვნულ პარკებს, ნაკრძალებს, აღკვეთილებს და სხვ.?

თანამედროვე ადამიანი ძალზე სერიოზული ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დგას. ამ პრობლემებში აუცილებელია, ბავშვებს, მოსწავლეებს ხშირად ვესაუბროთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ, ვასწავლოთ მათ ბუნებაზე ზრუნვა, მისი დაცვა. სასერტიფიკაციო ტესტის ბუნებისმეტყველების ნაწილის რამდენიმე დავალება სწორედ ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გარემოს დაბინძურების საკითხებს შეეხება.

მოსწავლეებისთვის დაცული ტერიტორიების ფუნქციის, ასევე, ისეთი ტერმინების გაცნობა, როგორებიცაა ბიომრავალფეროვნება, გადაშენების საფრთხე, წითელი წიგნი, ძალზე მნიშვნელოვანია, რათა ხელი შევუწყოთ მათ ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

დავალება ფასდებოდა 1 ქულით.

1 ქულა - დაცული ტერიტორიები იქმნება ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად, ცოცხალი ორგანიზმების იმ სახეობათა გადასარჩენად, რომლებსაც გადაშენების საფრთხე ემუქრებათ ან რომლებიც წითელ წიგნშია შეტანილი.

4. ადამიანის საქმიანობის შედეგად მუდმივად ხდება საცხოვრებელი გარემოს დაბინძურება, მაგალითად, ზღვებსა და ოკეანეებში ძალიან ხშირია ნავთობის ჩაღვრა, რაც წყლის ბინადარი ორგანიზმების დაღუპვის მიზეზი ხდება.

რატომ იწვევს ნავთობით წყლის დაბინძურება ცოცხალი ორგანიზმების დაღუპვას?

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ასპექტი, რომლებიც უნდა ასახულიყო აპლიკანტის პასუხში:

1. ნავთობი წყალზე მსუბუქია და ამიტომ, დაღვრის შემთხვევაში, წყლის ზედაპირზე მოექცევა. ზღვის ცხოველებისათვის იქმნება ჟანგბადის დეფიციტი (წყლის ცხოველებს უჭირთ სუნთქვა).
2. ზოგჯერ წყალს ჩაღვრილი ნავთობი ნაპირზე გამოაქვს, რაც საფრთხეს უქმნის ნაპირზე მცხოვრებ ორგანიზმებს, მაგ., ფრინველებს ბუმბულისა და ფრთების ნავთობით დაფარვის გამო აღარ შეუძლიათ ფრენა.
3. ნავთობის მოხვედრა საჭმლის მომწელებელ ან სასუნთქ სისტემაში შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს როგორც წყლის ბინადარი, ასევე ნაპირზე მცხოვრები ორგანიზმებისთვის.

დავალება 2 ქულით შეფასდა.

2 ქულა - აპლიკანტი მიუთითებს ორ ან მეტ ფაქტორს, რომლებიც ნავთობით წყლის დაბინძურებისას ცოცხალი ორგანიზმების დაღუპვის მიზეზი ხდება და განმარტავს თითოეულის მოქმედების მექანიზმს.

1 ქულა - აპლიკანტი მიუთითებს ერთ ფაქტორს, რომელიც ნავთობით წყლის დაბინძურებისას ცოცხალი ორგანიზმების დაღუპვის მიზეზი ხდება და განმარტავს მისი მოქმედების მექანიზმს.

0 ქულა - მოცემულია მხოლოდ დავალების პერიფრაზი; მოცემულია არასწორი პასუხი; პასუხი არ არის მოცემული.

გთავაზობთ პედაგოგთა მიერ შესრულებული დავალების ნიმუშებს:

ნავთობი ზეთოვანი სითხეა და წყალში ის იხსნება, ამიტომ ზემოთაა ეკვჩის ჭყალის თხე
ფენად. ამის შედეგად, ველის აღზევს ჭრავალი წყალში და ცოცხალი ორგანიზმები ეჭ-
იოდ ილუტებოდ. ასევე ნავთობ წყალში ცხოველს, ფრინველს უჭირს გადაადგილება, ფე-
ნა და ხდება მცხერების მსხვერპლი ან კვდება.

კომენტარი


ეს პასუხი 2 ქულით შეფასდა, რადგან მიუთითებული და განმარტებულია ნავთობით წყლის დაბინძურებისას ცოცხალი ორგანიზმების დაღუპვის განმარტებული ორი ფაქტორი.

ნათობი აჩიხ წყადზე მსებუჩი ნივთიეჩედა, ჩოტეღო წყადში
ჩაღვჩის ჭეშინვევაში გადაეცვჩება ჭეშოჩან და ალჩი ზედა წყადში
ქანგბადის მიწოჩება, ჩის გაჩოჩ ილეუჩეჩიან წყად სხოვედეჩი

კომენტარი

წარმოდგენილი პასუხი 1 ქულით შეფასდა, რადგან მოცემულია მხოლოდ ერთი ფაქტორი და ახსნილია მისი მოქმედების მექანიზმი.

5. ფოტოსურათების მიხედვით ამოიცანით მზის სისტემის პლანეტები:



ა

ბ

გ

დ

(ა) _____ (ბ) _____ (გ) _____ (დ) _____

დავალების შესრულების პრინციპები:

- ვაკვირდებით პლანეტების ზედაპირს. ორი პლანეტის (გ, დ) ზედაპირი აბსოლუტურად გლუვია, ხოლო ორ (ა, ბ) პლანეტაზე შეინიშნება მეტეორიტული კრატერების კვალი. შესაბამისად, (ა) და (ბ) პლანეტები მყარი პლანეტებია, ხოლო დანარჩენი - გაზოვანი.
- ამის შემდეგ უნდა განვსაზღვროთ, მზის სისტემაში არსებული 4 მყარი პლანეტიდან (დედამიწა, მერკური, ვენერა და მარსი) რომელია გამოსახული (ა) სურათზე და რომელი (ბ)-ზე. დედამიწა იმთავითვე გამოირიცხება, რადგან მასზე მკაფიოდ იქნებოდა გამოსახული კონტინენტები და ოკეანეები. როგორც ვიცით, დარჩენილი სამი მყარი პლანეტიდან ვენერას საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული ატმოსფერო აქვს, რის გამოც მისი რელიეფის გარჩევა კოსმოსიდან საკმაოდ ჭირს, ე. ი. ვენერაც გამოირიცხა. ასევე ცნობილია, რომ მარსზე დიდი რაოდენობის რკინის შემცველობაა და ამის გამო იგი კოსმოსიდან წითლად მოჩანს. მაშასადამე, (ბ) სურათზე გამოსახულია მარსი, ხოლო (ა)-ზე - მერკური.
- იუპიტერს გაზოვან გიგანტებს შორის გამოარჩევს ე.წ. “გიგანტური წითელი ლაქა”. გარდა ამისა, ფოტოზე ნაჩვენებია მისი 4 თანამგზავრი ე.წ. “გალილეოს მთვარეები”, რაც კიდევ ერთი მინიშნებაა იმაზე, რომ (დ) სურათზე იუპიტერია გამოსახული.
- ურანს გაზოვან გიგანტებს შორის გამოარჩევს მისი წარმოსახვითი ღერძის უცნაური დახრილობა. იგი თითქოს „წამოწოლილია“ და ისე მოძრაობს ორბიტაზე მზის გარშემო. ამაზე მიგვანიშნებს (გ) სურათზე გამოსახული პლანეტის რგოლების მდებარეობა. მაშასადამე, (გ) სურათზე გამოსახულია პლანეტა ურანი.

ამრიგად, სწორი პასუხია:

(ა) მერკური


(ბ) მარსი

(გ) ურანი

(დ) იუპიტერი

დავალება 1 ქულით ფასდება.

6. საქართველოს კონტურულ რუკაზე ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება არასწორადაა დატანილი. იპოვეთ დაშვებული შეცდომები და გაასწორეთ.



დავალება ამოწმებს რუკაზე ორიენტირების, რუკის კითხვის უნარს. აპლიკანტმა უნდა იპოვოს რუკაზე შეცდომით დატანილი გეოგრაფიული ობიექტი და დაასახელოს ის გეოგრაფიული ობიექტი, რომელიც სინამდვილეში მდებარეობს ამ ადგილას. აპლიკანტებს დავალების შესასრულებლად დაურიგდებათ საქართველოს ფიზიკური რუკები.

პასუხები უნდა ჩაიწეროს პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. თითოეული შეცდომის აღმოჩენა-გასწორება 1 ქულით ფასდება.

შეცდომა	უნდა იყოს
ქ. ქუთაისი	ქ. სამტრედია
ხარულის ქედი	რაჭის ქედი
მდ. ყვირილა	მდ. ცხენისწყალი

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

ტექსტის ეს ბლოკი ამოწმებს წაკითხული ტექსტიდან ინფორმაციის მოპოვების, ინტერპრეტირების, გაანალიზებისა და შეფასების უნარს.

2021 წლის ტექსტის ფორმატში ტექსტს ახლავს 5 შეკითხვა. თითოეული შეკითხვა ფასდება 1 ქულით.

ყოველ შეკითხვას ერთვის 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული შეკითხვის/დავალეების მეშვეობით მოწმდება წაკითხული ტექსტის გასაზრებლად აუცილებელი რომელიმე უნარი.

აპლიკანტმა უნდა შეძლოს:

- ტექსტის თემისა და ძირითადი იდეის გამოკვეთა;
- მიღებულ ინფორმაციაში ძირითადის (არსებითისა) და მეორეხარისხოვანის გარჩევა;
- ტექსტის სხვადასხვა ნაწილს (წინადადებებსა და აზრებს) შორის მიმართების დადგენა;
- მთელი ტექსტიდან ან მისი ცალკეული ნაწილებიდან დასკვნის გამოტანა;
- ცალკეული აზრების ფუნქციის განსაზღვრა;
- ცალკეული სიტყვისა თუ გამოთქმის მნიშვნელობის ახსნა ან მათი მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტის მიხედვით;
- ტექსტის საკვანძო სიტყვებისა და ფრაზების მოძიება;
- ტექსტში მოცემული პოლემიკური მონაკვეთის გააზრება-შეფასება;
- ვარაუდისა და ფაქტის ერთმანეთისაგან გარჩევა;
- ტექსტში წარმოდგენილ მოვლენათა შორის არსებული კავშირების დადგენა;
- ცალკეული ფრაგმენტების პერიფრაზირება;
- ქვეტექსტის ამოცნობა;
- ტექსტში წარმოდგენილსა და სხვა (ჰიპოთეზურ) სიტუაციებს შორის მიმართების დადგენა;
- ტექსტიდან მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება ახალი პრობლემის გადასაწყვეტად.

ტექსტები თემატურად მრავალფეროვანია და მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს უკავშირდება. თუმცა, დავალებათა შესრულება, ანუ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, არ მოითხოვს ამა თუ იმ სფეროსთან დაკავშირებულ სპეციალურ ცოდნას. ტექსტები შეიძლება იყოს თხრობითი, პოლემიკური თუ განმარტებითი ხასიათისა. ისინი ნაირგვარია სტილის მიხედვითაც. მოცემული ბლოკის დავალებებს ახლავს ამგვარი ინსტრუქცია:

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

გაითვალისწინეთ:

ტექსტის შემდეგ მოცემული თითოეული შეკითხვა ტექსტის დამოუკიდებელი დავალებაა. ამიტომ ყოველ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას იხელმძღვანელოთ ტექსტით და არა წინა შეკითხვაზე გაცემული პასუხით, რათა თავიდან აიცილოთ არასწორ პასუხთა ჯაჭვი.

ანალიტიკური წერა

ტესტის ამ ნაწილში მოცემულია ერთი დავალება. დავალების შესრულება გულისხმობს გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით აზრის წერილობით გამოთქმას, მსჯელობას, საკუთარი პოზიციის გამყარებას არგუმენტებითა და მაგალითებით.

ანალიტიკური წერის ნაწილი ძალზე მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რამდენად წარმატებით შეძლებს პედაგოგი, ასწავლოს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს ლექსიკურად და სტილისტურად გამართული ტექსტის შექმნა, წერისას ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა, აზრის მწყობრად გადმოცემა, ტექსტის მონაკვეთების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება, არგუმენტირებული მსჯელობა. წერის კულტურის განვითარებას სწორედ დაწყებით საფეხურზე უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

დავალების მაქსიმალური ქულაა 9.

2020 წლის ტესტის ანალიტიკური წერის შეფასების კრიტერიუმები შეგიძლიათ იხილოთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე.

<https://naec.ge/uploads/postData/PED->

[2020/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20I%20-%20VI.pdf](https://naec.ge/uploads/postData/PED-2020/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20I%20-%20VI.pdf)

2021 წლის ანალიტიკური წერის განახლებული შეფასების სქემის ნიმუში.
ყურადღება მიაქციეთ შინაარსის რელევანტურობისა და დასაბუთების კომპონენტებს.

მაქსიმალური ქულა: 9
I. შინაარსის რელევანტურობა* <i>ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს და უპასუხებს დასმულ ამოცანებს.</i> 1 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • ნაშრომი უპასუხებს დავალების მოთხოვნებს, არ შეეხება არარელევანტურ საკითხებს; • ნაშრომი უპასუხებს დავალების მოთხოვნებს, თუმცა მოცემულია არარელევანტური ინფორმაცია. 0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • ნაშრომი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს; • ნაშრომი შეეხება სრულიად განსხვავებულ საკითხს; • ნაშრომი წარმოადგენს დავალების პერიფრაზს. • <u>ნაშრომის მხოლოდ მცირე ნაწილი შეეხება მოცემულ თემას, მაგრამ არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.</u> <i>*თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.</i>

II. დასაბუთება *

ნაშრომში ავტორის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.

2 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მოცემულია დავალების ყველა მოთხოვნის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, ორიგინალური არგუმენტები თუ მაგალითები მოყვანილია მოსაზრებათა უმეტესობისათვის;
- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესახებ თანმიმდევრული, დამაჯერებელი მსჯელობა, არგუმენტითა თუ მაგალითით გამყარებულია ყველა მოსაზრება.

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესახებ მსჯელობა, არგუმენტითა თუ მაგალითით გამყარებულია მოსაზრებათა მცირე ნაწილი.
- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესახებ მსჯელობის მცდელობა, თუმცა, არგუმენტები თუ მაგალითები ზედაპირული, ერთფეროვანი და არადამაჯერებელია;

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესახებ მსჯელობის მცდელობა, არ ფიქსირდება არგუმენტები და მაგალითები.
- მსჯელობა არ არის ლოგიკური, თანმიმდევრული. მაგალითები თუ არგუმენტები არაადეკვატურია;
- მსჯელობა არ არის მოცემული.

* მსჯელობისას ფაქტობრივი შეცდომის დაშვების შემთხვევაში აპლიკანტს მეორე კომპონენტში დააკლდება 1 ქულა.

III. თხრობის ორგანიზება

ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.

2 ქულა:

- ტექსტი სტრუქტურულად გამართულია - ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს;

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი სტრუქტურული ნაწილი;
- ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთი;
- წარმოდგენილი დასკვნა არ გამომდინარეობს მსჯელობიდან;
- ნაშრომში აზრაცები არ არის გამოყოფილი ან არაადეკვატურადაა გამოყოფილი.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერის მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას (რამდენიმე წინადადება, პატარა აზრაცი ა. შ.);
- მოსაზრებები, ტექსტის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული;
- ნაწერში არ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ნაწილები - საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა.

IV. სტილი, ლექსიკა

აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.

2 ქულა:

- ნაშრომში გვხვდება ერთი-ორი უმნიშვნელო სტილური ხარვეზი, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაშრომში გვხვდება რამდენიმე სტილური ხარვეზი. გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს.
- ნაწერი ლექსიკურად მწირია, თუმცა, გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერი ლექსიკურად ღარიბია;
- დაშვებულია სტილური ხარვეზები;
- ნაშრომში გარკვეული მონაკვეთი სტილურად გაუმართავია;
- გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა / სტილი.

V. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია

ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

2 ქულა:

- დაშვებულია ერთი-ორი უმნიშვნელო ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომა, არ არის დაშვებული სინტაქსური შეცდომა, დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

1 ქულა:

- დაშვებულია რამდენიმე სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომა, ძირითადად დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

0 ქულა:

- დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები; ნაშრომში დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი არ გასწორდება, თუ:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- შეიცავს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება - სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.
- შესრულებულია ისეთი ხელწერით, როგორის წაკითხვაც შეუძლებელია.

ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით.

გაითვალისწინეთ!

- თუ სწორ პასუხთან ერთად აპლიკანტი არასწორ პასუხსაც მიუთითებს, შეფასდება 0 ქულით;
- თუ დავალებებზე პასუხის გაცემისას დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, აპლიკანტს დავალების შეფასებისას დააკლდება 1 ქულა.

ანალიტიკური წერა

ჭაშვის პატიმარი განვითარებისათვის ეხიოთ ნაღვალად ჩაიხსნა სამართალი-
ნობის შეხედნა, განსაზღვრება - იქნება და სჯობს. მთელი გზის მიხედვით
ნათელი მუცლით მოყვანილი წყალი, სერე ხაზგასმული, თუ სხვისი უზრუნველ
მსწავლელი მოსწავლე ჭეცმობის დამკვეთს უფროს და მთელი შეხედნით
მსოფლიო მს, იმის მფარვე, რომ ჭეცმობის გამოწვევის საშუალება

მოკლე. ან მოსწავლელისგან განსხვავებით, ჩნს, რომ მსწავლელს ავად ედ-
ლავ უკანაღის ჭეცმობის ჭეცმობის დამკვეთს და მთელი გამოწვევის უფროს.

ჭეცმობის დამკვეთს შინა მუშა შეიძლება ეხიოდეს, ეხიოდეს პირდაპირ ჩამოყალიბ-
დეს, რომელიც მან ჩამოყალიბდა ავად ავად. შიშისა და პირდაპირ - დამკვეთი ადამიანი
განვითარეს, რომელიც მდებარე უკანაღის განსაზღვრება ნაღვალად ჩაიხსნა ავად.
მე ბედნიერად უზრუნველ მსოფლიო, რომელიც მთელი მსწავლელი მთელი უზრუნველ
შეხედვითი და შემოღობვით, მთელი ვიზუალური და დამკვეთს ბოლო მუშა
რომელიც ჭეცმობს დამკვეთს. ანა მოსწავლე მთელი წლის წინაშე ჭეცმობს, სერე,
ბოლო მს ავადმყოფობს უკანაღის გზის ეხიოდეს, რომ არსავე
ვაჩიო მთელი უფროსის დამკვეთს და ვიზუალური დამკვეთს.

ჭეცმობის დამკვეთს ჭეცმობს რომ მთელიც და წინაშე მოსწავლეს ეხიოდეს
თუ ვიზუალური განვითარება, ავადმყოფი, მს მსწავლელს ავად, მთელიც ჭეცმობს
განვითარების საშუალება და, სწავლაში შემოღობვით, ავადმყოფი მსწავლელს წინა
გზის/ ვიზუალური, ან სწავლაში მოსწავლე უფროსი ჭეცმობს დამკვეთს. ან
განვითარების ეხიოდეს ეხიოდეს - "ადამიანი სწავლის ჭეცმობს სწავლაში." მთელი,
ავადმყოფი სწავლაში "ავადმყოფი" ("Swits") მთელი პირდაპირ ავად მოსწავლე
სწავლელს ავად, ავადმყოფი მთელიც დამკვეთს დამკვეთი ჭეცმობს ავად
განვითარების, შემოღობვით მთელიც ეხიოდეს. ანა ის მოსწავლე ეხიოდეს სწავლაში
ავადმყოფი ჩამოყალიბდება ეხიოდეს.

სწავლაში, ავადმყოფი, ყველა მსწავლელს ეხიოდეს, რომ მოსწავლელის
ჭეცმობის დამკვეთს შემოღობვით მოკლე და რომ სწავლაში ან ჭეცმობის დამკვეთი ეხიოდეს
განვითარების სწავლაში მსწავლელს მსწავლელს ან ჭეცმობის სწავლაში და მსწავლელს ეხიოდეს.

კომენტარი

წარმოდგენილი ნაშრომი უპასუხებს დავალებას, არ არის მოცემული შეუსაბამო, არარელევანტური
ინფორმაცია. პედაგოგი საუბრობს შეცდომის დამკვეთისა და მისი ფუნქციის საკითხზე დავალების
ორივე საილუსტრაციო ნიმუშის მიხედვით (შინაარსის რელევანტურობა -1 ქულა), თავისი
ქსელობის გასამყარებლად მოჰყავს დამკვეთები, მაგალითები, მსჯელობა ლოგიკურია
პირობაში მოცემული სამივე დებულების მიხედვით (დასაბუთება - 2 ქულა). ტექსტი
სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად არის გადმოცემული და მონაკვეთები
ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს (თხრობის ორგანიზება - 2 ქულა). ნაწერი ლექსიკურად და
სტილისტურად მეტ-ნაკლებად გამართულია, შეინიშნება რამდენიმე სტილური ხარვეზი, მაგ.,
„დაჩაგრული ადამიანად განვითარდეს“, „არათუ ვერბალური შეურაცხყოფით არ

შემოიფარგლებოდა..“ და სხვა. შესაბამისად, ამ კომპონენტში აპლიკანტი იმსახურებს 1 ქულას. პედაგოგი ავლენს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების ცოდნას, არ არის დაშვებული უხეში სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები (სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია – 2 ქულა). შესაბამისად, ნაწერი შეფასებულია 8 ქულით.

2020 წლის დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლების საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტები და შეფასების სქემები

ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის ქართული ენა და ლიტერატურა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 65.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.
- თუ პასუხის გაცემისას დაარღვევთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დაგაკლდებათ ქულა.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

საგნობრივი ცოდნა

1. ქართული ანბანის რეფორმა უკავშირდება:

- ა) ფარნავაზის მმართველობის პერიოდს.
- ბ) თერგდალეულთა მოღვაწეობის პერიოდს.
- გ) მთაწმინდელთა მოღვაწეობის პერიოდს.
- დ) ვახტანგ VI-ის მმართველობის პერიოდს.

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებებშია დაცული ნაცვალსახელის მართლწერის წესები?

I. ჩვენს ამბავს თუ იკითხავ, ძველებურად ვართ, არაფერი შეცვლილა.

II. ჩემ და შენ შორის მოციქული ტყვიაა მხოლოდ.

III. ვანოს მეგობრებმა დასტაცეს ხელი თავიანთ ბარგს და ოთახიდან გაცვივდნენ.

IV. ჩვენსკენ ყველაფერი კარგადაა, არ ინაღვლო, შვილო.

ა) პირველსა და მეოთხეში;

ბ) მეორესა და მესამეში;

გ) პირველსა და მესამეში;

დ) მესამესა და მეოთხეში.

3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადების ზმნა-შემასმენელს შეესაბამება შემდეგი აღწერილობა: გარდამავალი, სრული ასპექტი, თხრობითი კილო.

ა) ძალი შესასვლელ კარს სდარაჯობს.

ბ) იქნებ დამაწერინოს მასწავლებელმა.

გ) უკ, როგორ მწყურია!

დ) ხვალ აუცილებლად მოგაწვდი წიგნს.

4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაშია დაშვებული პუნქტუაციური შეცდომა?

ა) ვეთანხმები და, თქვენ წარმოიდგინეთ, მხარსაც ვუჭერ.

ბ) პაპას ბაღში აყვავდა: ტყემალი, ალუჩა, ალუბალი და ნუში.

გ) ლუკა ამტკიცებდა, ეს ჩემი ბრალი არ არის, მომიგონესო.

დ) მისაღებ ოთახში შორენა შემოსულიყო, გიორგის მდივანი.

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი თანდებული არ დაერთვის ნათესაობით ბრუნვას?

ა) - თანავე

ბ) - ებრ

გ) გარდა

დ) შორის

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ზმნას აქვს ბრუნვაცვალებადი სუბიექტი, მაგრამ არ მოეპოვება პირდაპირი ობიექტი?

ა) ტირის

ბ) მიჰყვება

გ) დგას

დ) ეგებება

7. დაადგინეთ შესაბამისობა საბავშვო ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და მათს ავტორებს შორის. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში ნაწარმოების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ მისი ავტორის შესაბამისი ნომერი (შესაძლებელია პასუხის გამეორება).

ა. „ჩვენც სალტკროკელები ვართ“

ბ. „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“

გ. „პინოქიოს თავგადასავალი“

დ. „თოვლის დედოფალი“

ე. „ყველაფერი ყირამალა“

ვ. „ბულერბიელი ბავშვები“

1. ასტრიდ ლინდგრენი

2. დონალდ ბისეტი

3. ჯანი როდარი

4. კარლო კოლოდი

5. ჰანს ქრისტიან ანდერსენი

8. დაადგინეთ შესაბამისობა მოცემულ წინადადებებსა და მათს ტიპებს შორის. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში წინადადების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი ტიპის ნომერი. გაითვალისწინეთ, ზოგიერთი პასუხი (წინადადების ტიპი) მეორდება.

ა. შენ ხარ ის ქალი, რომელიც მიყვარს!

ბ. ჩუმად ვკითხულობ შენს ძველ წერილს, ყვითელს, დახეულს.

გ. – კონიაკს დალეე? – მანგოს წვენს!

დ. დაიჭირა სუსხიანი ამინდები იანვრის.

ე. პეტრემ თოხი და ბარი ფარდულში დააწყო.

1. უსრული

2. უქვემდებარო

3. რთული ქვეწყობილი

4. შერწყმული

9. მიმართებითი ზედსართავი სახელი სხვადასხვა მეტყველების ნაწილისგან იწარმოება. პასუხების ფურცელზე ჩაწერეთ ქვემოთ მოცემული მეტყველების ნაწილებისგან წარმოებული ორი მიმართებითი ზედსართავი სახელი – თითო ნიმუში.

ა) ჩვენი ბ) უხდება

ა) -----

ბ) -----

(მაქსიმალური ქულა – 2)

10. ამოიცანით, ჩამოთვლილ სიტყვათაგან რომელშია დაშვებული შეცდომა, გაასწორეთ და ახსენით შეცდომის მიზეზი:

დანიური
ტიპიური
სერიული

(მაქსიმალური ქულა – 2)

11. ქვემოთ მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია რამდენიმე მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომა. ამოიწერეთ დაშვებული შეცდომები, მიუთითეთ სწორი ფორმა და პასუხი დაასაბუთეთ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.

გაითვალისწინეთ, რომ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.

საკითხის მეცნიერული კვლევა ბევრი სპეციფიკური დეტალების ცოდნასა და სისტემურ მუშაობას მოითხოვს. თითქმის ყველა დამწყები მკვლევარი ბაძავს აღიარებულ სპეციალისტებს, ცდილობს, რომ შეეჭიდოს მაღალ სტანდარტებს, თუმცა ზოგჯერ ვერ უმკლავდება ამ სირთულეს. ხშირად ახალგაზრდა მკვლევარი მცირე ჯგუფებზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებს ანზოგადებს და, შესაბამისად, მცდარ დასკვნებამდე მიდის. ამგვარი მიდგომა კი, რა თქმა უნდა, ხელს უშლის მაღალ ხარისხიანი სამეცნიერო პროდუქტის შექმნას.

12. ქვემოთ მოცემული წინადადებები შეცვალეთ ისე, რომ ხაზგასმულმა ფრაზებმა გადატანითი მნიშვნელობა შეიძინოს.

ა) შეცვებული მგზავრი ხელს ითხოვს.

ბ) ლუკამ ძუა ხელზე დაიხვია.

(მაქსიმალური ქულა – 2)

13. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია დაცული სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერის წესები:

I. ჩემს ძმას დავპირდი, ამას არასდროს მოგიყვები-თქო, მაგრამ ცდუნებას ველარ გავუძელი.

II. მზემ საშინლად დააცხუნა, ვიფიქრეთ, იქნებ არ ღირდეს მუშაობის გაგრძელება-მეთქი.

III. მეფეს უთხარი, შენს მტრებს არ დაინდობს, აუცილებლად მოჰკითხავს პასუხს-თქო.

ა) მხოლოდ I-ში;

ბ) მხოლოდ III-ში;

გ) I-სა და II-ში;

დ) I-სა და III-ში;

14. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაში არ გვხვდება სტილისტური ხარვეზი?

- ა) დასახელებული თეორიები ერთმანეთთან შესაბამისობაშია.
- ბ) მძაფრი ნოსტალგიით ენატრებოდა ზურას სამშობლო.
- გ) წამყვანმა ამინდის წინასწარი პროგნოზი გააცნო მაყურებელს.
- დ) დედას არ სცალია, ტელეფონით ლაპარაკობს.

15. ქვემოთ მოცემული შეცდომებიდან რომელს განაპირობებს ქართული ენის ფონეტიკური პროცესი?

- ა) აუცილებლად შევასრულებიერ პირობას.
- ბ) გულწრფელად გითანაგრძნობ, მეგობარო.
- გ) მაკედონელმა მსოფლიო დაიბყრო.
- დ) მამის შარვალი ჩავიცვი.

16. ქვემოთ მოცემულთაგან „ვეფხისტყაოსნის“ რომელი ტაეპი გამოდგება ჰიპერბოლის საილუსტრაციოდ?

ა) „სახლ-სამყოფი არა ჰმართებს, ცამცა გაიდარბაზესა!“

ბ) „მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია.“

გ) „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა.“

დ) „ცრემლსა, ვითა მარგალიტსა, ჰყრის ვარდისა დასანაზოდ.“

17. რემინისცენცია მწერლის მიერ თავის ნაწარმოებში სხვა მწერლის ნაწარმოების, მხატვრული ფრაზისა თუ კონსტრუქციის აღდგენა-გამეორებაა.

ქვემოთ მოცემულია ოთხი სტროფი. მათგან რომელი გამოდგება რემინისცენციის საილუსტრაციოდ?

ა) „ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გაიმბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავესო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ღამაზო...
„სხვა საქართველო სად არი?“

ბ) „მზემ აიწია ფეხის წვერებზე,
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა,
იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული ნარის ციხესთან.“

გ) „და მე ვიგონებ ჩახლართულ ღობეს,
სერებს თოვლიანს....
ხმოზდა ქათამი გურიის სოფელს,
ყეფდა თოლია....“

დ) „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის თავზე გადამისვას ხელი...
დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი...“

18. წაიკითხეთ ნაწყვეტი ფელიქს ზალტენის მოთხრობიდან „ბემბი“ და შეასრულეთ 18.1 – 18.6 დავალებები:

ბემბი პატარა შვლის ნუკრია. ის უღრან ტყეში დაიბადა. ტყეს ზემოდან სახურავივით ედგა მაღალი ნეკერჩხლის, მუხისა და წიფლის ხეები. ფოთლებში ოქროს ძაფებივით გაბმული დილის მზის სხივები ძლივს აღწევდა ტყის სიღრმემდე. ამ ტყეში დაიწყო ბემბის ბავშვობა.

ბემბი მორჩილად მისდევდა დედას ხეებს შორის გამავალ ვიწრო ბილიკებზე. მოულოდნელად მზის სხივებით გაკაშკაშებულ მინდორზე გავიდნენ. დედას სახე გაუმკაცრდა და სმენა გაამახვილა. ბემბიც დაიძაბა.

– ძირს დაცემულიც რომ მნახო, მაინც უკანმოუხედავად გაიქეცი! მინდორზე ყოფნა ძალიან საშიშია... გასაგებია?!

– დიახ, – თქვა ბემბიმ ჩურჩულით. დედას თვალს არ აშორებდა...

წინა ზამთარს, შვლები მონადირეს რომ გაურბოდნენ, ბემბის ბიძაშვილი, სუსტი და მოუხერხებელი გობო, თოვლში ჩაეფლო და მეორე დღეს ვეღარ იპოვეს. ამ ზაფხულს კი, ბემბიმ მინდორზე აღმოაჩინა თავისი საყვარელი გობო, უფრო გაზრდილი, გათამამებული და გაყოჩაღებული. ტყის ბინადარნი შეიკრიბნენ გობოს ამბის მოსასმენად. გობომ დაიწყო:

თოვლში ჩაფლული ძაღლებმა მიპოვეს, დაგლეჯას მიპირებდნენ, მაგრამ მოვიდა ადამიანი, ხელში ამიტაცა, მკერდზე მიმიკრა და წამიყვანა. მასთან თბილოდა. მაჭმევდა წაბლს, კარტოფილს, თაღგამს, ტკბილ თივასაც კი.

– არ გემინოდა? – ჰკითხეს აქეთ-იქიდან.

– არა, ადამიანი კეთილია! სულ მეფერებოდნენ ისიც და მისი შვილებიც.

– გობო, ეს რა ზოლი გაქვს კისერზე? – ჰკითხა ჯოგის ხნიერმა წინამძღოლმა.

ყველამ შეამჩნია გობოს კისერზე არშიისმაგვარი ზოლი. ამ ადგილას შველს ბალანი მოსთელვოდა.

– ეს? კისერზე ლამაზი მარყუჟი მეკეთა და იმის ნაკვალევია, – უპასუხა მან.

– უბედური! – ჩაილაპარაკა წინამძღოლმა და იქაურობას გაეცალა.

– რად ვარ მე უბედური? – იკითხა გაოცებულმა გობომ, – ძალიანაც ბედნიერი ვარ. მე გაცილებით მეტი მინახავს, ვიდრე თქვენ ყველას ერთად. მე უკეთ ვიცნობ ქვეყანას და ცხოვრებას, ვიდრე ტყის რომელიმე მკვიდრი.

შეკითხვებზე გადასვლა: [18.1](#) [18.2](#) [18.3](#) [18.4](#) [18.5](#) [18.6](#)

ბემბის იმ დღის შემდეგ არ ასვენებდა ფიქრი იმაზე, თუ რატომ უწოდა წინამძღოლმა გობოს უბედური. ბემბიმ მუხნარში იპოვა ის და ჰკითხა:

- გობო ხომ ბედნიერია? მითხარით, რატომ თქვით მასზე უბედური? არა, მე კი ვგრძნობ, რომ მართალი ხართ, მაგრამ ვერ ვხვდები – რატომ?
- ისიც საკმარისია, რომ გრძნობ. მოვა დრო და ყველაფერს მიხვდები, – უპასუხა წინამძღოლმა და დაემშვიდობა ბემბის...

მალე ყველამ შენიშნა, რომ გობო უცნაურად იქცეოდა. ღამით, როცა ჩვეულებისამებრ ყველა ფხიზლობდა და ტყეში სეირნობდა, გობოს ეძინა. ხოლო დღისით, როცა სხვა შვლები თავშესაფარში ისვენებდნენ, გობო არხეინად მიდი-მოდიოდა მზით გაკაშკაშებულ ველზე.

- შენ რა, სულ დაივიწყე საფრთხე? – ჰკითხა გაოცებულმა ბემბიმ.
- ჩემთვის საფრთხე არ არსებობს. ადამიანი ჩემი მეგობარია, – უპასუხა გობომ ამაყად, – ვერ გაიგეთ, რომ ადამიანს კეთილი გული აქვს?!

ერთ დილას, ბემბი და მისი მეგობრები სეირნობიდან რომ ბრუნდებოდნენ, მინდვრისკენ მიმავალი გობო შენიშნეს.

- სადაცაა მზე ამოვა. გობო, ამ დროს არავინ გადის ველზე! – დაუძახეს მეგობრებმა.
- გაიგონე ჩხიკვის შემზარავი ხმა? ეს საფრთხის ნიშანია! – შესძახა ბემბიმ.

მართლაც, მალე თხმელასთან ადამიანიც შენიშნეს. შვლები დაიმაღლნენ.

- მე კი მას მივესალმები! – თქვა გობომ და შუა მინდორში გავიდა. მან მხიარულად დაუქნია თავი ვიღაცას. სწორედ ამ დროს დაიქუხა. გობო წაიქცა. სწრაფად წამოხტა და ფეხარეული ტყისკენ გამოქანდა. ფერდში იყო დაჭრილი. ბემბიმ და მისმა მეგობრებმა ის შუაში ჩაიყენეს და გაიქცნენ.

ბებერ მუხასთან გობო დაეცა.

- მან ვერ მიცნო, – ძლივს წარმოთქვა დაჭრილმა.

შეკითხვებზე გადასვლა: [18.1](#) [18.2](#) [18.3](#) [18.4](#) [18.5](#) [18.6](#)

18.1 ამ ნაწყვეტის პირველი აბზაციდან ამოიწერეთ ორი მხატვრული ხერხი და ახსენით, რა ეფექტის მისაღწევად იყენებს მათ ავტორი.

(მაქსიმალური ქულა – 2)

18.2 ამ ამბის ამოსავალი, საკვანძო ფრაზა არის, ერთი შეხედვით, უჩვეულო შესიტყვება - „ლამაზი მარყუჟი“. იმსჯელეთ, რისი სიმბოლოა ის.

(მაქსიმალური ქულა – 2)

18.3 გობო საკუთარ თავს აღიქვამს ბედნიერ არსებად, წინამძღოლი კი მას „უბედურს“ უწოდებს. გამიჯნეთ და წერილობით ჩამოაყალიბეთ, რა იყო თითოეულის მოტივაცია (აღქმის საფუძველი). აზრის დასასაბუთებლად მოიძიეთ არგუმენტები ტექსტიდან.

(მაქსიმალური ქულა – 2)

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

18.4 ტყეში დაბრუნებული გობო ყველაფერს სხვაგვარად აკეთებს. გაანალიზეთ მისი ქცევის ფსიქოლოგიური საფუძველი და ფერისცვალების შედეგები.

(მაქსიმალური ქულა – 2)

18.5 გაანალიზეთ გობოს ბოლო ფრაზა: „მან ვერ მიცნო“. იმსჯელეთ, რატომ ათქმევინებს ავტორი გობოს ამ სიტყვებს.

(მაქსიმალური ქულა – 2)

18.6 იმსჯელეთ ამ ნაწყვეტის მიხედვით, ზოგადად, ადამიანზე, მის ბუნებაზე.

(მაქსიმალური ქულა – 3)

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

19. წაიკითხეთ ბესიკ ხარანაულის ლექსი და შეასრულეთ 19.1 – 19.3 დავალებები:

ღმერთო, როგორი წუთიერი არის ცხოვრება,
შეყვარებულნი სიყვარულსაც ვერ მოასწრებენ.
მაგრამ როგორი ხანგრძლივია იგი ჩვენი ტკივილებისთვის,
როგორ არ ჰყოფნის დიდ საქმეებს ერთი ცხოვრება,
მაგრამ როგორი ხანგრძლივია იგი ჩვენი წვრილმანებისთვის.
რაც კი ვიცხოვრე, იმდენ ხანს რომ მგლებში მეცხოვრა,
ხომ ძმად ჩამთვლიდნენ,
ხომ აღარასდროს მიმტყუნებდნენ, არ გამწირავდნენ.
მე მგელს კაცს როგორ შევადარებ,

მაგრამ განა მხოლოდ იმიტომ, რომ ორივესი მეშინია და
ვეკრძალები,
უფრო იმიტომ, რომ ამ არსებებს
მეტი ასხვავებს, ვიდრე არის შედარების მათის მიზეზი.
მგელი თავის ზნეს არასოდეს არ გამოიცვლის
და ის, ზნეს თავისას ვინც ერთგულებს, ხომ მართალია,
და მართალი ხომ მშვენიერიც არის და სანდოც...
დამნაშავეა, თავის ზნეს მალიმალ იცვლის
და დამნაშავე მართალს, აბა, ვით შევადარო!

19.1 ახსენით, პოეტის აზრით, რატომ არის ცხოვრება „ხანგრძლივი ჩვენი ტკივილებისთვის“ და რატომ „არ ჰყოფნის დიდ საქმეებს ერთი ცხოვრება“.

(მაქსიმალური ქულა – 2)

19.2 იმსჯელეთ, რა ნიშნით განასხვავებს პოეტი მგელს ადამიანისგან. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ავტორის ამგვარი დამოკიდებულება?

(მაქსიმალური ქულა – 2)

19.3 იმსჯელეთ, რა არის ლექსის მთავარი სათქმელი. განაზოგადეთ პოეტის მიერ წამოჭრილი პრობლემა.

(მაქსიმალური ქულა – 3)

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ, მასზე პასუხის გასაცემად, შესაძლებელია, დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

ტექნოლოგიურ ეპოქაში ხელით წერა დიდწილად ჩაანაცვლა კომპიუტერულ მოწყობილობებზე ბეჭდვამ. მეცნიერები დაინტერესდნენ, ახდენს თუ არა აღნიშნული ცვლილება გავლენას ბავშვის განვითარებაზე. ივარაუდეს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელით წერის სიხშირის შემცირება დაკავშირებულია ხელით ზუსტი მოძრაობების შესრულების უნარის გაუარესებასთან. გერმანიაში ჩატარებული ერთ-ერთი ბოლოდროინდელი კვლევის მიხედვით, უკანასკნელ წლებში გაუარესდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ხელით წერისთვის აუცილებელი ფაქიზი მოტორული უნარების განვითარების დონე.

საინტერესოა, რა გავლენას ახდენს აღნიშნული ცვლილება საწყის ეტაპზე კითხვის უნარის ათვისებაზე? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უდიდეს მნიშვნელობას იძენს დღეს, რადგან მთელ მსოფლიოში შესამჩნევია საბავშვო ბაღებსა და დაწყებით კლასებში კომპიუტერული მოწყობილობების შეტანის ტენდენცია. ზოგიერთ ქვეყანაში დაწყებით კლასებში უკვე მთლიანად ჩაანაცვლა ბეჭდვამ ხელით წერა.

ხელით წერისა თუ ბეჭდვის უპირატესობის დასასაბუთებლად ორი თეორიული მიდგომა შეგვიძლია განვიხილოთ. პირველი მიდგომის მიხედვით, მოტორული პროგრამა, რომელიც დაკავშირებულია ბეჭდვასთან, გაცილებით მარტივია, ვიდრე ხელით წერის შემთხვევაში. მცირეწლოვანი ბავშვებიც კი, რომელთაც ჯერ ანბანის ცნობაც არ იციან, ინტუიციურად ახერხებენ კომპიუტერულ მოწყობილობებზე ბეჭდვისთვის საჭირო მოძრაობების შესრულებას. ბეჭდვის დროს შესასრულებელი მოძრაობების სიმარტივეა სწორედ მცირეწლოვან ბავშვებში კომპიუტერზე წერის უნარის აქსელერაციის სასარგებლო არგუმენტი. ასევე, ბეჭდვის გზით წერის ათვისება გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვს ასაკთან შეუსაბამოდ აქვს განვითარებული მოტორული უნარები. საინტერესოა ერთი კვლევის შედეგი, რომლის მიხედვითაც, 4 წლის ასაკის ბავშვებში დადგინდა დადებითი კავშირი ასოების ცნობის უნარსა და კომპიუტერის გამოყენების სიხშირეს შორის.

შეკითხვებზე გადასვლა: [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#)

ალტერნატიული თეორიული მიდგომის მიხედვით, ბეჭდვისგან განსხვავებით, ხელით წერა მოითხოვს თითოეული ასოს მოყვანილობის ზუსტ რეპროდუქციას, რომლის შესრულებისთვის აუცილებელი პროგრამა მოიცავს შეხების, მოტორული და ვიზუალური აღქმის შედეგად მიღებულ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მეხსიერებაში ტოვებს კვალს, რომელიც ხელახალი ცდის შემთხვევაში აქტიურდება და ხელს უწყობს ასოს მოყვანილობის გახსენებას. ნეიროფსიქოლოგიური კვლევებით დადგენილია, რომ ნაცნობი ვიზუალური სიმბოლოების ამოკითხვისას თავის ტვინში აქტიურდება არა მარტო ვიზუალურ აღქმაზე, არამედ შეხებით აღქმასა და მოტორულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი უბნები.

გერმანელმა მკვლევრებმა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ჩაატარეს შემდეგი ექსპერიმენტი: ბავშვების ორ ჯგუფს რამდენიმე კვირის განმავლობაში ასწავლიდნენ ასოებს, ერთ ჯგუფს ხელით წერის მეთოდის გამოყენებით, მეორე ჯგუფს კი – იმავე ასოებს ბეჭდვის დახმარებით. სწავლების შემდეგ შეაფასეს ორივე ჯგუფის ბავშვების რამდენიმე უნარი: 1. ასოების ცნობა (შეკითხვაზე მაჩვენე, მაგალითად, ასო ბ, ბავშვს უნდა მიეთითებინა სწორი ასო); 2. ასოების წაკითხვა; 3. სიტყვების წაკითხვა; 4. ასოების წერა; 5. სიტყვების წერა. ბავშვების ჯგუფმა, რომელმაც ხელით წერის მეთოდით ისწავლა ასოები, ყველა უნარის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უკეთესი შედეგები აჩვენა. ორ ჯგუფს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა მხოლოდ ასოების ცნობის უნარის მიხედვით.

შეკითხვებზე გადასვლა: [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#)

20. რა მიმართებაა I აზზაჯის მესამე და მეოთხე წინადადებებს შორის?

- ა) მეოთხე წინადადებაში მოცემულია ვარაუდი, რომლის ილუსტრაცია არის წარმოდგენილი მესამე წინადადებაში;
- ბ) მესამე წინადადებაში მოცემულია ვარაუდი, ხოლო მეოთხე წინადადებაში წარმოდგენილია ფაქტი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ამ ვარაუდს;
- გ) მესამე წინადადებაში წარმოდგენილია მოსაზრება, ხოლო მეოთხე წინადადებაში მოცემულია ფაქტი, რომელიც განამტკიცებს ამ მოსაზრებას;
- დ) მეოთხე წინადადებაში მოცემულია კვლევის შედეგი, რომლის განმაპირობებელი ფაქტორი წარმოდგენილია მესამე წინადადებაში.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

21. ტექნოლოგიურ ეპოქაში ბეჭდვის მეთოდით წერის სწავლა გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე. ამ გავლენის შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან:

- ა) ხელით წერა განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს;
- ბ) ხელით წერის მთლიანად ბეჭდვით ჩანაცვლების საფრთხე არსებობს;
- გ) ბეჭდვის უპირატესობები კვლევებით უკვე ცალსახად დადასტურებულია;
- დ) მცირეწლოვანი ბავშვებისთვის ტექნოლოგიებთან ურთიერთობა უფრო მარტივია.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

22. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოდგება ბექდვით წერის სწავლის სასარგებლო არგუმენტად?

- ა) უკანასკნელ წლებში გაუარესდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ხელით წერისთვის აუცილებელი ფაქიზი მოტორული უნარების განვითარების დონე;
- ბ) 4 წლის ასაკის ბავშვებში დადგინდა დადებითი კავშირი ასოების ცნობის უნარსა და კომპიუტერის გამოყენების სიხშირეს შორის;
- გ) მთელ მსოფლიოში შესამჩნევია საბავშვო ბაღებსა და დაწყებით კლასებში კომპიუტერული მოწყობილობების შეტანის ტენდენცია;
- დ) ნაცნობი ვიზუალური სიმბოლოების ამოკითხვისას თავის ტვინში აქტიურდება არა მარტო ვიზუალურ აღქმაზე, არამედ შეხებით აღქმასა და მოტორულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი უბნები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

23. რა შემთხვევაშია გამართლებული კითხვის სწავლების საწყის ეტაპზე წერის სწავლებისას ბეჭდვის მეთოდის გამოყენება?

I. თუკი ბავშვმა ჯერ კიდევ არ იცის ასოების ცნობა.

II. თუკი ბავშვისთვის წერის სწავლება ადრეულ ასაკში გვსურს.

III. თუკი ბავშვს მოტორული უნარები ასაკთან შეუსაბამოდ აქვს განვითარებული.

ა) მხოლოდ I შემთხვევაში;

ბ) I-სა და II შემთხვევებში;

გ) მხოლოდ III შემთხვევაში;

დ) II-სა და III შემთხვევებში.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

24. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია ზუსტად ახსნილი მექანიზმი, რომელიც საფუძვლად უდევს ხელით წერის დადებით გავლენას კითხვის უნარზე?

- ა) ხელით წერისას ასოს მოყვანილობის რეპროდუქციის შედეგად ხდება მხედველობით, შეხებით და მოძრაობით მიღებული ინფორმაციის დამახსოვრება. ეს ინფორმაცია იმავე ასოს ამოკითხვისას აქტიურდება და ეხმარება ბავშვს ასოს ამოცნობაში;
- ბ) ბეჭდვით წერისგან განსხვავებით, ხელით წერისას შესასრულებელი მოძრაობის დამახსოვრება უფრო რთულია. თუმცა, ასოს ხელით ხელმეორედ ჩაწერისას ამ მოძრაობის გახსენება უფრო ადვილია, ვიდრე ბეჭდვისას;
- გ) ასოების ბეჭდვისას თავის ტვინში აქტიურდება როგორც ვიზუალურ აღქმაზე, ასევე მოტორულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი უბნები. ეს პროცესი კი აადვილებს ასოების ამოკითხვას;
- დ) ასოების ბეჭდვისას შესასრულებელი მოძრაობა იმდენად მარტივია, რომ მცირეწლოვანი ბავშვიც კი ინტუიციურად ახერხებს ამ მოძრაობის შესრულებას. შესაბამისად, ეს პროცესი ასოების ცნობის უნარს არ ავითარებს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

25. V აბზაცში აღწერილი ექსპერიმენტის შედეგის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ კითხვის სწავლის საწყის ეტაპზე უმჯობესია ბავშვებს ასოები ვასწავლოთ:

ა) ბეჭდვის მეთოდით;

ბ) ხელით წერის მეთოდით;

გ) შერეული – როგორც ხელით წერის, ასევე ბეჭდვის მეთოდით;

დ) ჯერ მხოლოდ ბეჭდვის, ხოლო მოგვიანებით ხელით წერის მეთოდით.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

26. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია წარმოდგენილი ტექსტის მიხედვით გამოტანილი მთავარი დასკვნა?

- ა) მხოლოდ ბეჭდვის მეთოდით წერის სწავლების მომხრე არგუმენტები ეფუძნება კვლევებს;
- ბ) მხოლოდ ხელით წერის მეთოდით წერის სწავლების მომხრე არგუმენტებია დამაჯერებელი;
- გ) ბეჭდვის მეთოდით წერის სწავლების მომხრე არგუმენტები ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს;
- დ) შეგვიძლია მოვიყვანოთ როგორც ბეჭდვით, ასევე ხელით წერის მეთოდით წერის სწავლების უპირატესობის მომხრე და საწინააღმდეგო არგუმენტები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

27. ანალიტიკური წერა

გაეცანით 2 სიტუაციას საგაკვეთილო პროცესიდან:

მასწავლებელი: შეცდომაა, უკვე მეორედ მიპასუხე არასწორად, დაჯექი.

მოსწავლე: მას, ეს საკითხი გუშინ ახსენით და, ეტყობა, რაღაც ვერ გავიგე.

მასწავლებელი: გაკვეთილზე ყურადღებით რომ მისმენდე, ამდენ შეცდომას არ დაუშვებდი!

მასწავლებელი: დააკვირდი შენს ნაწერს, რამდენი წითელი ხაზი მაქვს გასმული, თითქმის არც ერთი ასო არ დაგიწერია სწორად.

მოსწავლე: მას, ის სამი ცალი ხომ მიწერია კარგად?

მასწავლებელი: კი, მაგრამ რამდენი ასო გიწერია არასწორად?! მეტი დრო უნდა დაუთმო ასოების გამოწერას!

ამონარიდი მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის წარმოების წესიდან:

„მასწავლებლის მიერ ჟურნალში დაშვებული შეცდომა უნდა გასწორდეს შესაბამისი გვერდის ბოლოს შეცდომის დაშვების თაობაზე მინიშნების გაკეთებით, რასაც შეცდომის დამშვები პირი შენიშვნების გვერდზე სწორი მონაცემების ასახვით ადასტურებს ხელმოწერითა და თარიღის მითითებით.“

გაიაზრეთ წარმოდგენილი ნიმუშები და იმსჯელეთ:

- რა პრობლემა იკვეთება მოცემულ საილუსტრაციო მასალაში?
- რა გამოწვევების წინაშე გვაყენებს ეს პრობლემა სწავლა-სწავლების პროცესში?
- რა შეიძლება დავსახოთ პრობლემის გადაჭრის გზად? განაზოგადეთ სათქმელი.

მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები. თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. (მაქსიმალური ქულა 11)

**2020 წლის საგნის გამოცდის შეფასების სქემა ქართულ ენასა და
ლიტერატურაში (დაწყებითი საფეხური)**

1	ბ
2	ბ
3	დ
4	ბ
5	დ
6	ა

7.

ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1	3	4	5	2	1

* 1 ქულით ფასდება მხოლოდ ის პასუხი, რომელშიც ყველა აღნიშვნა სწორია.

8.

ა	ბ	გ	დ	ე
3	4	1	2	4

* 1 ქულით ფასდება მხოლოდ ის პასუხი, რომელშიც ყველა აღნიშვნა სწორია.

9	მაქსიმალური ქულა: 2 2 ქულა: აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ორივე ნიმუში დავალებებში მოცემული მეტყველების ნაწილებისგან წარმოებული მიმართებითი ზედსართავი სახელია. 1 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ორი ნიმუშიდან მხოლოდ ერთია მართებული; • აპლიკანტის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მართებული ნიმუში. 0 ქულა: პასუხი არასწორია ან არ არის მოცემული.
10	მაქსიმალური ქულა: 2 2 ქულა: ამოცნობილი და გასწორებულია შეცდომა. ახსნილია შეცდომის განმაპირობებელი მიზეზი. 1 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: ➤ ამოცნობილი და გასწორებულია შეცდომა. არამართებულად არის ახსნილი შეცდომის განმაპირობებელი მიზეზი. ➤ ამოცნობილი და გასწორებულია შეცდომა. არ არის ახსნილი შეცდომის

	განმაპირობებელი მიზეზი. 0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: ➤ ამოცნობილია შეცდომა, მაგრამ არ არის მართებული ფორმით გასწორებული. ➤ არ არის ამოცნობილი და გასწორებული შეცდომა. არამართებულად არის ახსნილი შეცდომის განმაპირობებელი მიზეზი. ➤ პასუხი არ არის მოცემული.	
11	მაქსიმალური ქულა: 8	
	შეცდომა	უნდა იყოს
	ბევრი დეტალების	ბევრი დეტალის / დეტალების
	ბაძავს	ჰბაძავს
	აზოგადებს	აზოგადებს / განაზოგადებს
	მაღალ ხარისხიანი	მაღალხარისხიანი
	• თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით; • მხოლოდ შეცდომის გასწორება, სათანადო დასაბუთების გარეშე, ფასდება 1 ქულით; • სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში შეფასებას აკლდება 1 ქულა.	
12	მაქსიმალური ქულა: 2	
	2 ქულა: პასუხში მოცემულ ორივე წინადადებაში ხაზგასმულ ფრაზებს გადატანითი მნიშვნელობა აქვს. წინადადებები აზრობრივად გამართულია.	
	1 ქულა: პასუხში მოცემულ მხოლოდ ერთ წინადადებაში იძენს ხაზგასმული ფრაზა გადატანით მნიშვნელობას და წინადადება აზრობრივად გამართულია.	
	0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • პასუხში მოცემულ არც ერთ წინადადებაში ხაზგასმულ ფრაზებს არ აქვს გადატანითი მნიშვნელობა; • პასუხში მოცემულ წინადადებაში / წინადადებებში ხაზგასმულ ფრაზებს აქვს გადატანითი მნიშვნელობა, მაგრამ აზრობრივად გაუმართავია; • პასუხი არ არის მოცემული.	

13	ბ
14	დ
15	გ
16	ა
17	ა

18.1	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: სწორად არის ამოცნობილი და ამოწერილი შესაბამისი 2 მხატვრული ხერხი (ტყეს სახურავივით ედგა / ოქროს ძაფებივით გაბმული) და წარმოდგენილია დამაჯერებელი ახსნა - რა ეფექტის მისაღწევად იყენებს მათ ავტორი. 1 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • სწორად არის ამოცნობილი და ამოწერილი შესაბამისი მხატვრული ხერხები ტექსტიდან, თუმცა მსჯელობა სქემატურია ან არაა წარმოდგენილი; • სწორად არის ამოცნობილი და ამოწერილი შესაბამისი 1 მხატვრული ხერხი ტექსტიდან და წარმოდგენილია დამაჯერებელი ახსნა - რა ეფექტის მისაღწევად იყენებს მათ ავტორი. 0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • ამოწერილია მხოლოდ ერთი მხატვრული ხერხი; • შეცდომითაა / არ არის ამოწერილი მხატვრული ხერხები; • მოცემულია მხოლოდ მხატვრული ხერხის ზოგადი განმარტება.
18.2	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: წარმოდგენილია დამაჯერებელი, გააზრებული მსჯელობა. სიმბოლოს ახსნისას მკაფიოდ იკვეთება ტყვეობის ვერგაცნობიერების იდეა. 1 ქულა: სიმბოლოს ახსნისას იკითხება ტყვეობის ვერგაცნობიერების იდეა, თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია. 0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • არ არის ან არასწორად არის გააზრებული სიმბოლო; • მოყვანილია ფრაგმენტები ტექსტიდან ახსნის გარეშე; • პასუხში იკითხება მხოლოდ თავისუფლების დაკარგვის იდეა; • პასუხი არ არის მოცემული.
18.3	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; საკითხი განხილულია ორივე პოზიციიდან (გობო, წინამძღოლი). მოხმობილია შესაბამისი დამოწმებები ტექსტიდან. 1 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • საკითხი განხილულია ორივე პოზიციიდან (გობო, წინამძღოლი), თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია; • საკითხი განხილულია მხოლოდ ერთი პოზიციიდან (გობო ან წინამძღოლი). არის ან არ არის მოხმობილი შესაბამისი დამოწმებები ტექსტიდან.

	0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • არ არის ან არასწორად არის იდენტიფიცირებული საკითხი; • მოყვანილია მხოლოდ ფრაგმენტები ტექსტიდან ახსნის გარეშე; • პასუხი არ არის მოცემული.
18.4	მაქსიმალური ქულა: 2 2 ქულა: • წარმოდგენილია დამაჯერებელი, გააზრებული მსჯელობა დავალების ორივე კომპონენტის შესახებ - განხილულია გობოს ქცევის ფსიქოლოგიური საფუძველი (ბუნებრივი ინსტინქტების დაკარგვა / ცხოველური ზნის გადასხვაფერება / ქცევითი მოდელების აღრევა და სხვა) და, ასევე, ფერისცვალების შედეგები (გარდაუვალი დაღუპვა / განწირულობა / სამყაროს კანონზომიერების წინააღმდეგ წასვლა და სხვა). 1 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • წარმოდგენილია მართებული მსჯელობა დავალების ორივე კომპონენტის შესახებ, თუმცა პასუხი ზედაპირული და სქემატურია; • პასუხში განხილულია დავალების მხოლოდ ერთი კომპონენტი, მაგრამ წარმოდგენილია დამაჯერებელი, გააზრებული მსჯელობა. 0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • პასუხში განხილულია დავალების მხოლოდ ერთი კომპონენტი, მაგრამ მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია, აპლიკანტი შემოიფარგლება 2-3 სიტყვით. • აპლიკანტი ტექსტზე დაყრდნობით აღწერს გობოს ქცევასა და მოქმედებებს; • პასუხში წარმოდგენილია შესაბამისი ეპიზოდის პერიფრაზი; • საკითხი არ არის ან მცდარადაა წარმოდგენილი.
18.5	მაქსიმალური ქულა: 2 2 ქულა: სწორად, დამაჯერებლად არის გააზრებული, რატომ ათქმევინებს ავტორი გობოს ბოლო ფრაზას - „მან ვერ მიცნო“. პასუხი სრულია, მსჯელობა ლოგიკური და ადეკვატურია. 1 ქულა: სწორად არის იდენტიფიცირებული იდეა / ავტორის მოტივაცია, თუმცა პასუხი ზედაპირული და სქემატურია, აპლიკანტი შემოიფარგლება 2-3 სიტყვით. 0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • მსჯელობის გარეშეა დასახელებული გობოს განცდა - იმედგაცრუება, ტრაგიზმი, გაოცება და სხვა; • პასუხი არაადეკვატურია, არასწორია; • პასუხი არ არის მოცემული.
18.6	მაქსიმალური ქულა: 3

	3 ქულა: პასუხში ორივე ტიპის (გამომზამთრებელი და მონადირე) ადამიანის მიმართულებით არის წარმოდგენილი დამაჯერებელი, გააზრებული, თანმიმდევრული მსჯელობა. იმავდროულად, განზოგადებულია საკითხი ადამიანის, ადამიანისა და ბუნების ურთიერთმიმართების შესახებ. მსჯელობის გასამყარებლად მოყვანილია არგუმენტები; 2 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • პასუხში ორივე ტიპის (გამომზამთრებელი და მონადირე) ადამიანის შესახებ არის წარმოდგენილი დამაჯერებელი, გააზრებული მსჯელობა, თუმცა საკითხი არ არის განზოგადებული; • პასუხში წარმოდგენილია დამაჯერებელი, თანმიმდევრული მსჯელობა გობოს გამომზამთრებელი ადამიანის შესახებ, საკითხი განზოგადებულია, მაგრამ მონადირის შესახებ მსჯელობა კი ზედაპირულია ან არ ფიქსირდება; 1 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • პასუხში წარმოდგენილია სქემატური, ზედაპირული მსჯელობა გობოს გამომზამთრებელი ადამიანისა და მონადირის შესახებ; • პასუხში წარმოდგენილია სქემატური მსჯელობა ადამიანის, მისი ბუნების შესახებ, მოცემული არგუმენტები არადაამაჯერებელია. 0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • აპლიკანტის მსჯელობა ადამიანის ბუნების შესახებ არარელევანტურია / არაადეკვატურია; • ძალიან ზოგადად, 1-2 სიტყვით არის იდენტიფიცირებული სათქმელი, არ არის წარმოდგენილი მსჯელობა; • მსჯელობა ძალიან ზედაპირულია (მაგ.: პირველი ადამიანი კეთილია - გობო გადაარჩინა, მეორე - ბოროტი - მოკლა. და მისთ.). • პასუხი არ არის მოცემული.
19.1	მაქსიმალური ქულა: 2 2 ქულა: წარმოდგენილია დამაჯერებელი მსჯელობა. საკითხი გააზრებულია ორივე თვალსაზრისით - რატომ არის ცხოვრება „ხანგრძლივი ჩვენი ტკივილებისთვის“ და რატომ „არ ჰყოფნის დიდ საქმეებს ერთი ცხოვრება.“ აპლიკანტის პასუხში მკაფიოდ იკითხება რეალობის / სინამდვილის სუბიექტური აღქმის თავისებურება. 1 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • საკითხი გააზრებულია ორივე თვალსაზრისით, პასუხში იკითხება რეალობის / სინამდვილის სუბიექტური აღქმის თავისებურება, თუმცა პასუხი სქემატურია, დასაბუთება არ არის დამაჯერებელი; • წარმოდგენილია მსჯელობა მხოლოდ ერთ-ერთი თვალსაზრისის შესახებ. პასუხში იკითხება რეალობის / სინამდვილის სუბიექტური აღქმის თავისებურება. 0 ქულა: • პასუხი არაადეკვატურია, არასწორია - არ იკითხება სინამდვილის

	სუბიექტური აღქმის თავისებურება. • პასუხი არ არის მოცემული.
19.2	მაქსიმალური ქულა: 2 2 ქულა: წარმოდგენილია დამაჯერებელი მსჯელობა. საკითხი გააზრებულია ორივე თვალსაზრისით - მგელსა და ადამიანს შორის სხვაობა და ავტორის დამოკიდებულების განმაპირობებელი ფაქტორი. 1 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • პასუხი შეეხება ორივე თვალსაზრისს, მაგრამ ერთი თვალსაზრისის მიხედვით წარმოდგენილია დამაჯერებელი მსჯელობა, ხოლო მეორე თვალსაზრისის დასაბუთება სქემატურია / არადამაჯერებელია / 2-3 სიტყვით შემოიფარგლება; • საკითხი გააზრებულია ორივე თვალსაზრისით, თუმცა პასუხი სქემატურია / დასაბუთება არ არის დამაჯერებელი / 2-3 სიტყვით შემოიფარგლება; • წარმოდგენილია მსჯელობა მხოლოდ ერთ-ერთი თვალსაზრისის შესახებ. 0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • წარმოდგენილია დავალების ერთ-ერთ კომპონენტზე პასუხის მცდელობა - აპლიკანტი შემოიფარგლება 2-3 სიტყვით; • წარმოდგენილია მხოლოდ პერიფრაზი (მგლები უფრო ერთგულები არიან, შესაბამისად, უფრო მშვენიერნი და მისთ. ...); • საკითხი არ არის ან მცდარადაა წარმოდგენილი.
19.3	მაქსიმალური ქულა: 3 3 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა. თანმიმდევრულად განმარტებულია ლექსის მთავარი სათქმელი და განზოგადებულია პოეტის მიერ წამოჭრილი პრობლემა. 2 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • პასუხში ორივე მიმართულებით არის წარმოდგენილი მსჯელობა - ლექსის მთავარი სათქმელი და პოეტის მიერ წამოჭრილი პრობლემის განზოგადება; • პასუხში მხოლოდ ერთი მიმართულებით არის წარმოდგენილი დამაჯერებელი, გააზრებული მსჯელობა, ხოლო მეორე კომპონენტის დასაბუთება სქემატურია, შემოიფარგლება 2-3 სიტყვით • პასუხში მხოლოდ ერთი მიმართულებით არის წარმოდგენილი დამაჯერებელი, გააზრებული მსჯელობა. 1 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • პასუხი ორივე მიმართულებით არის წარმოდგენილი - ლექსის მთავარი სათქმელი და პოეტის მიერ წამოჭრილი პრობლემის განზოგადება - თუმცა პასუხი სქემატურია / დასაბუთება ზედაპირული. • პასუხში მხოლოდ ერთი მიმართულებით არის წარმოდგენილი მსჯელობა, თუმცა აზრი სქემატურად, ზედაპირულად არის გადმოცემული.

	0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • მსჯელობა არაადეკვატურია - პასუხში არ არის განხილული დავალების არც ერთი საკითხი; • ძალიან ზოგადად, 1-2 სიტყვით არის იდენტიფიცირებული სათქმელი, თუმცა მსჯელობა არ არის წარმოდგენილი; • პასუხი არ არის მოცემული.
--	---

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

20	ბ
21	ბ
22	ბ
23	დ
24	ა
25	ბ
26	დ

ანალიტიკური წერა

27.

მაქსიმალური ქულა: 11
I. შინაარსის რელევანტურობა* ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს და უპასუხებს დასმულ ამოცანებს. 2 ქულა: • ნაშრომი უპასუხებს დავალების ყველა მოთხოვნას, არ შეეხება არარელევანტურ საკითხებს. 1 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • ნაშრომი მხოლოდ ნაწილობრივ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს; • ნაშრომი უპასუხებს დავალების მოთხოვნებს, თუმცა მოცემულია არარელევანტური ინფორმაციაც. 0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: • ნაშრომი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს; • ნაშრომი შეეხება სხვა საკითხს; • ნაშრომი წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.

- ნაშრომის მხოლოდ მცირე ნაწილი შეეხება მოცემულ თემას, მაგრამ არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.

*თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.

II. დასაბუთება *

ნაშრომში ავტორის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.

3 ქულა:

- მოცემულია დავალების ყველა მოთხოვნის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, მოყვანილია დამაჯერებელი, მრავალფეროვანი, ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები;

2 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მოცემულია დავალების ყველა მოთხოვნის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, არგუმენტები თუ მაგალითები მოყვანილია ყველა მოსაზრებისთვის;
- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, არგუმენტი თუ მაგალითით გამყარებულია მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება;

1 ქულა:

- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესახებ მსჯელობის მცდელობა, თუმცა, არგუმენტები თუ მაგალითები ზედაპირული, ერთფეროვანი და არადამაჯერებელია;

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მსჯელობა არ არის ლოგიკური, თანმიმდევრული, მოსაზრებები არ არის გამყარებული მაგალითებითა და არგუმენტებით ან მაგალითები თუ არგუმენტები არაადეკვატურია;
- მსჯელობა არ არის მოცემული.

* მსჯელობისას ფაქტობრივი შეცდომის დაშვების შემთხვევაში აპლიკანტს მეორე - დასაბუთების - კომპონენტში დააკლდება 1 ქულა.

III. თხრობის ორგანიზება

ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.

2 ქულა:

- ტექსტი სტრუქტურულად გამართულია - ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს;

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი სტრუქტურული ნაწილი;
- ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთი;
- წარმოდგენილი დასკვნა არ გამომდინარეობს მსჯელობიდან;
- ნაშრომში აბზაცები არ არის ან არაადეკვატურადაა გამოყოფილი.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერის მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას (რამდენიმე წინადადება, პატარა აბზაცი ა. შ.);
- მოსაზრებები, ტექსტის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული;
- ნაწერში არ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ნაწილები - საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა.

IV. სტილი, ლექსიკა

აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.

2 ქულა:

- ნაშრომში გვხვდება ერთი-ორი უმნიშვნელო სტილური ხარვეზი, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაშრომში გვხვდება რამდენიმე სტილური ხარვეზი. გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს.
- ნაწერი ლექსიკურად მწირია, თუმცა, გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერი ლექსიკურად ღარიბია;
- დაშვებულია სტილური ხარვეზები;
- ნაშრომში გარკვეული მონაკვეთი სტილურად გაუმართავია;
- გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა / სტილი.

V. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია

ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

2 ქულა:

- დაშვებულია ერთი-ორი უმნიშვნელო ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომა, არ არის დაშვებული სინტაქსური შეცდომა, დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

1 ქულა:

- დაშვებულია რამდენიმე სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომა, ძირითადად დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

0 ქულა:

- დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები; ნაშრომში დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი არ გასწორდება, თუ:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- შეიცავს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება - სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.
- შესრულებულია ისეთი ხელწერით, როგორის წაკითხვაც შეუძლებელია.

ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით.

გაითვალისწინეთ!

- თუ სწორ პასუხთან ერთად აპლიკანტი არასწორ პასუხსაც მიუთითებს, შეფასდება 0 ქულით;
- თუ დავალებებზე პასუხის გაცემისას დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, აპლიკანტს დავალების შეფასებისას დააკლდება 1 ქულა.

ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის მათემატიკა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - პროფესიული ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 65.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

საგნობრივი ცოდნა

1. რიცხვთა ღერძზე, რომლის ერთეულოვანი მონაკვეთის სიგრძეა 1 სმ, მონიშნულია $A(a)$ და $B(b)$ წერტილები. ცნობილია, რომ $-2,5 < a < 2,7$ და $3 \leq b \leq 5,6$. ამასთან, a მთელი რიცხვია. მაქსიმუმ რამდენი სანტიმეტრის ტოლი შეიძლება იყოს AB მონაკვეთის სიგრძე?

- ა) 7,5-ის;
- ბ) 7,6-ის;
- გ) 8,1-ის;
- დ) 8,3-ის.

2. တၢ် $\frac{a}{b} = \frac{3}{7}$, ပံးပိၣ် $\frac{4a-b}{a+2b} =$


၁) $\frac{4}{7}$

၂) $\frac{11}{27}$

၃) $\frac{9}{14}$

၄) $\frac{5}{17}$

3. ABC მართკუთხა სამკუთხედის AB ჰიპოტენუზისა და CB კათეტის გაგრძელებებზე მონიშნულია ისეთი M და D წერტილები, რომ $|BM| = |MD|$. რის ტოლია CAB კუთხის სიდიდის შეფარდება BMD კუთხის სიდიდესთან?




ა) $\frac{1}{3}$ -ის;

ბ) $\frac{1}{2}$ -ის;

გ) $\frac{2}{3}$ -ის;

დ) $\frac{2}{5}$ -ის.

4. A პუნქტიდან გამოსული ტურისტი 4 საათის განმავლობაში სწორხაზოვან ბილიკზე მოძრაობდა. დიაგრამაზე მოცემულია, რა მანძილით იყო დაშორებული ტურისტი A პუნქტიდან მოძრაობის განმავლობაში. სულ რამდენი კილომეტრი გაუვლია ტურისტს?



- ა) 8
- ბ) 12
- გ) 14
- დ) 16

5. ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელია მართებული?

- ა) თუ ნატურალური რიცხვი 6-ისა და 8-ის ჯერადია, მაშინ ის 12-ის ჯერადიცაა;
- ბ) თუ ნატურალური რიცხვი 9-ისა და 6-ის ჯერადია, მაშინ ის 36-ის ჯერადიცაა;
- გ) თუ ნატურალური რიცხვი 4-ისა და 6-ის ჯერადია, მაშინ ის 24-ის ჯერადიცაა;
- დ) თუ ნატურალური რიცხვი 4-ისა და 12-ის ჯერადია, მაშინ ის 16-ის ჯერადიცაა.

6. მოცემულია ორი წინადადება:

I. სირბილის მოყვარულ ადამიანთა უმეტესობა ჯანმრთელია.

II. ყველა სპორტსმენს უყვარს სირბილი.

წინადადება „ყველა სპორტსმენი ჯანმრთელია“:

ა) გამომდინარეობს მხოლოდ I წინადადებიდან;

ბ) გამომდინარეობს მხოლოდ II წინადადებიდან;

გ) გამომდინარეობს ორივე წინადადებიდან ერთად;

დ) არ გამომდინარეობს მოცემული წინადადებებიდან.

7. ერთობლივი ფირმის დასაფუძნებლად დათომ 16,5 ათასი ლარი შეიტანა, ნინომ – 11 ათასი ლარი. ფირმის მოგებას ისინი თავიანთი შენატანის პროპორციულად ინაწილებენ. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ფირმის მოგების განაწილების შედეგად დათოსა და ნინოს მიერ მიღებული თანხები?

ა) 5 ათასი ლარი და 3 ათასი ლარი;

ბ) 6 ათასი ლარი და 4 ათასი ლარი;

გ) 8 ათასი ლარი და 6 ათასი ლარი;

დ) 9 ათასი ლარი და 8 ათასი ლარი.

8. ოთხკუთხედის პერიმეტრია 12 სმ. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი არ შეიძლება იყოს ამ ოთხკუთხედის დიაგონალის სიგრძე?

- ა) 1 სმ-ის;
- ბ) 3 სმ-ის;
- გ) 5 სმ-ის;
- დ) 7 სმ-ის.

9. კვადრატის გვერდის სიგრძე მართკუთხედის სიგანის ტოლია, ფართობი კი მართკუთხედის ფართობის 0,4 ნაწილს შეადგენს. კვადრატის პერიმეტრი შეადგენს მართკუთხედის პერიმეტრის:

ა) $\frac{5}{12}$ -ს;

ბ) $\frac{7}{12}$ -ს;

გ) $\frac{4}{7}$ -ს;

დ) $\frac{8}{13}$ -ს.

10. $\frac{1}{2}$ -ზე მეტი წილადებიდან რამდენია ისეთი, რომლის მრიცხველი 3-ზე მეტია და 8-ზე ნაკლები, ხოლო მნიშვნელი 6-ზე მეტია და 11-ზე ნაკლები?

- ა) 5
- ბ) 9
- გ) 12
- დ) 16


11. ანას, ნინოს, სალომეს და თამარს ღურჯი, წითელი, მწვანე და ყვითელი კაბები აცვიათ (არა აუცილებლად ამ თანმიმდევრობით). ანა წითელკაბიან გოგონაზე მაღალია, ნინო – მწვანეკაბიანზე, ხოლო სალომე – ღურჯკაბიანზე. ჩამოთვლილთაგან რომელია შეუძლებელი?

- ა) ანას აცვია მწვანე კაბა, ნინოს – ყვითელი;
- ბ) სალომეს აცვია მწვანე კაბა, თამარს – ღურჯი;
- გ) თამარს აცვია წითელი კაბა, ანას – ღურჯი;
- დ) ნინოს აცვია წითელი კაბა, თამარს – ყვითელი.

12. ისრებიანი საათი ყოველ საათში წინ მიდის 20 წუთით. ახლა საათი გასწორებულია და აჩვენებს 12 საათს. მინიმუმ რამდენი საათის შემდეგ აჩვენებს ეს საათი ისევ სწორ დროს?

- ა) 24
- ბ) 28
- გ) 32
- დ) 36

13. სიბრტყეზე მოცემულია მართკუთხა კოორდინატთა სისტემა. ამ სიბრტყეზე მდებარე BC მონაკვეთი A წერტილით ორ ისეთ მონაკვეთად იყოფა, რომ BA მონაკვეთის სიგრძე 2-ჯერ ნაკლებია AC მონაკვეთის სიგრძეზე. B და C წერტილების კოორდინატები მითითებულია ნახაზზე. A წერტილის კოორდინატები $(x, y) =$



- ა) (5; 6)
- ბ) (6; 5)
- გ) (5; 4)
- დ) (4; 5)

14. გამოსახულებაში $\frac{2ab^2}{3c^2d^3}$ ცვლადების ნაცვლად რაღაც დადებითი რიცხვების ჩასმით მიღებული რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობა 4-ის ტოლია. თუ ცვლადების ნაცვლად ჩასმულ თითოეულ რიცხვს გავადიდებთ ორჯერ, მაშინ მიღებული რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობა ტოლი იქნება:

ა) 1-ის;


ბ) 2-ის;

გ) 4-ის;

დ) 8-ის.

მონაცემთა ანალიზი

მარცვლეული კულტურებიდან ერთ-ერთ ქვეყანაში მხოლოდ ხორბალი, სიმინდი, ქერი და ჭვავი მოჰყავთ. დიაგრამაზე მოცემულია 2010 წელს ქვეყანაში წარმოებული მარცვლეულის საერთო წონის რამდენ პროცენტს შეადგენდა ხორბლის, სიმინდის, ქერისა და ჭვავის წონა. ცხრილში კი მოცემულია 2009-2010 წლებში ქვეყანაში წარმოებული ხორბლიდან და სიმინდიდან რამდენი ათასი ტონა იქნა ექსპორტირებული ქვეყნის გარეთ და რამდენი ათასი ტონა დარჩა ქვეყნის შიდა მოხმარებისთვის.



	ექსპორტირებული		შიდა მოხმარებისთვის	
	ხორბალი	სიმინდი	ხორბალი	სიმინდი
2009 წ.	24	32	62	15
2010 წ.	18	24	54	12

მომდევნო ორ შეკითხვას უპასუხეთ ამ დიაგრამისა და ცხრილის მიხედვით.

შეკითხვებზე გადასვლა: [15](#) [16](#)

15. რამდენი პროცენტით ნაკლები იყო ქვეყანაში შიდა მოხმარებისთვის წარმოებული სიმინდის რაოდენობა 2010 წელს 2009 წელთან შედარებით?

- ა) 10%-ით;
- ბ) 15%-ით;
- გ) 20%-ით;
- დ) 25%-ით.

[დიაგრამისა და ცხრილის ნახვა](#)

16. სულ რამდენი ათასი ტონა ქერი მოუყვანიათ ქვეყანაში 2010 წელს?

ა) 10

ბ) 12

გ) 14

დ) 16

[დიაგრამისა და ცხრილის ნახვა](#)

17. მოცემულია:

- საწარმოს ზოგიერთი თანამშრომელი მეზობელ ქალაქში ცხოვრობს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, თუკი მოცემული დებულება ჭეშმარიტია?

- ა) არ არსებობს ამ საწარმოს თანამშრომელი, რომელიც მეზობელ ქალაქში ცხოვრობს;
- ბ) არ არსებობს ამ საწარმოს თანამშრომელი, რომელიც მეზობელ ქალაქში არ ცხოვრობს;
- გ) მეზობელ ქალაქში მცხოვრები ყველა ადამიანი ამ საწარმოში მუშაობს;
- დ) მეზობელ ქალაქში მცხოვრები ზოგიერთი ადამიანი ამ საწარმოში არ მუშაობს.

18. m და n ისეთი ნატურალური რიცხვებია, რომ $m < 200$ და m -ის n -ზე გაყოფისას მიღებული განაყოფი ტოლია 8-ის, ხოლო ნაშთი – 21-ის. რის ტოლია m ?

ა) 196-ის;

ბ) 197-ის;

გ) 198-ის;

დ) 199-ის.

19. ერთ მუშას კედლის შესაღებად 3 საათი სჭირდება, მეორეს – 4 საათი. ორივე მუშამ ერთდროულად დაიწყო კედლის შეღებვა და 1,5 სთ-ის განმავლობაში მუშაობდა. ამის შემდეგ კედლის შეღებვა მხოლოდ მეორე მუშამ გააგრძელა. რამდენი საათი დასჭირდება მას სამუშაოს დასასრულებლად?

- ა) 0,5
- ბ) 0,75
- გ) 1
- დ) 1,25

20. a და b ისეთი რიცხვებია, რომ $2x + 4 = a$ და $3x - b = 1$ ტოლფასი განტოლებებია. რის ტოლია $3a - 2b$ გამოსახულების მნიშვნელობა?

ა) 14-ის;


ბ) 16-ის;

გ) 18-ის;

დ) გამოსახულების მნიშვნელობა დამოკიდებულია a და b ასოების რიცხვით მნიშვნელობებზე.

21. მოცემულია დიაგრამა და სამი დებულება:

- არც ერთი პრაგმატული ადამიანი არ არის მეოცნებე.
- ზოგიერთი პოეტი მეოცნებეა.
- ზოგიერთი მუსიკოსი პრაგმატული ადამიანია.



ქვემოთ მოცემულია დიაგრამის არეებისა და სიმრავლეების შესაბამისობის რამდენიმე შესაძლო ვარიანტი. რომელ შემთხვევაშია სამივე დებულება ჭეშმარიტი დიაგრამის მიხედვით?

- ა) A – მეოცნებე ადამიანები, B – პოეტები, C – მუსიკოსები, E – პრაგმატული ადამიანები;
- ბ) A – მუსიკოსები, B – პრაგმატული ადამიანები, C – მეოცნებე ადამიანები, D – პოეტები;
- გ) A – მუსიკოსები, B – პოეტები, C – მეოცნებე ადამიანები, D – პრაგმატული ადამიანები;
- დ) A – პოეტები, B – მეოცნებე ადამიანები, D – მუსიკოსები, E – პრაგმატული ადამიანები.

მონაცემთა საკმარისობა

22. ABC სამკუთხედის BC გვერდისადმი გავლებული AD ბისექტრისა AC გვერდთან 30° -იან კუთხეს ადგენს.

მოცემულია ორი პირობა:

I. $|AB| = |BC|$.

II. $|AB| = |AC|$.

იმის გასარკვევად, თუ რის ტოლია ABC სამკუთხედის B წვეროსთან მდებარე კუთხის სიდიდე:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი.

23. რიცხვთა მიმდევრობის ყოველი წევრისა და მისი მომდევნო ორი წევრის ჯამი 20-ის ტოლია.

მოცემულია ორი პირობა:

I. მიმდევრობის პირველი წევრი 7-ის ტოლია.

II. მიმდევრობის მეექვსე წევრი 4-ის ტოლია.

იმის გასარკვევად, თუ რის ტოლია მიმდევრობის მერვე წევრი:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი.

24. k და n ერთმანეთისგან განსხვავებული ნატურალური რიცხვებია.

მოცემულია ორი პირობა:

I. k მარტივი რიცხვია.

II. n ლუწი რიცხვია.

იმის გასარკვევად, არის თუ არა $\frac{k}{n}$ მთელი რიცხვის ტოლი:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი.

25. m სამნიშნა რიცხვია.

მოცემულია ორი პირობა:

I. m -ის ჩანაწერში ასეულების ციფრი სამჯერ მეტია ერთეულების ციფრზე.

II. m -ის ჩანაწერში ათეულების ციფრი ორჯერ მეტია ერთეულების ციფრზე.

იმის გასარკვევად, თუ რის ტოლია m -ის ჩანაწერში ერთეულების ციფრი:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი.

26. a და b ისეთი რიცხვებია, რომ $ab < 0$.

მოცემულია ორი პირობა:

I. $a + b < 0$.

II. $a < b$.

იმის გასარკვევად, უარყოფითია თუ არა a :

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი.

27. კარადაში წიგნების $\frac{3}{4}$ ნაწილი ქართულენოვანია, $\frac{1}{6}$ ნაწილი – ინგლისურენოვანი. მათ გარდა კარადაში მხოლოდ გერმანულენოვანი წიგნებია.

მოცემულია ორი პირობა:

I. გერმანულენოვანი წიგნების რაოდენობა 2-ით ნაკლებია ინგლისურენოვანი წიგნების რაოდენობაზე.

II. გერმანულენოვანი წიგნების რაოდენობა 2-ჯერ ნაკლებია ინგლისურენოვანი წიგნების რაოდენობაზე.

იმის გასარკვევად, თუ რის ტოლია კარადაში გერმანულენოვანი წიგნების რაოდენობა:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი.

28. რომელი ციფრით ბოლოვდება $4^{2020} - 3^{2020}$ გამოსახულების მნიშვნელობის ციფრული ჩანაწერი?

პასუხი დაასაბუთეთ.


(მაქსიმალური ქულა - 2)

29. სკოლაში ვაჟების რაოდენობა გოგონების რაოდენობის მესამედს შეადგენდა. მას შემდეგ, რაც სკოლაში კიდევ 40 ვაჟი გადმოვიდა, სკოლაში ვაჟთა რაოდენობა გოგონების რაოდენობის ნახევარი გახდა. სულ რამდენი ვაჟი იყო სკოლაში?

პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 3)

30. ABCD მართკუთხედის CD და AD გვერდებზე მონიშნულია ისეთი E და F წერტილები, რომ $|CE| : |ED| = 2 : 1$, $|AF| : |FD| = 1 : 3$. BEF სამკუთხედის ფართობი 35 სმ^2 -ის ტოლია. რის ტოლია ABCD მართკუთხედის ფართობი?



პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 3)

31. საწარმოში ხილის წვენი ყოველდღიური წარმოება ივნისის მეორე მესამედში პირველთან შედარებით 25%-ით შემცირდა, ხოლო მესამე მესამედში – 40%-ით გაიზარდა (მეორესთან შედარებით). თვის განმავლობაში სულ 56 ათასი ლიტრი ხილის წვენი აწარმოეს. რამდენი ლიტრის ტოლი იყო ხილის წვენის ყოველდღიური წარმოება ივნისის პირველ მესამედში?

პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 3)

32. მიკროავტობუსში, რომელშიც მაქსიმუმ 15 მგზავრი ეტევა, იმყოფებიან იაპონელი და ფრანგი ტურისტები. მათი საშუალო ასაკი 27 წელია. სულ რამდენი ტურისტია მიკროავტობუსში, თუ იაპონელი ტურისტების საშუალო ასაკია 48 წელი, ხოლო ფრანგებისა – 21?

პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 3)

33. A პუნქტიდან B-ს მიმართულებით გამოვიდა მიკროავტობუსი, რომელიც თანაბარი სიჩქარით მოძრაობს და B-ში ჩასვლას 4 საათს ანდომებს. 30 წუთის შემდეგ B პუნქტიდან A-ს მიმართულებით იმავე გზით გამოვიდა ავტობუსი, რომელიც ასევე თანაბარი სიჩქარით მოძრაობს და A-ში ჩასვლას 5 საათს ანდომებს. მიკროავტობუსი და ავტობუსი ერთმანეთს C პუნქტში შეხვდნენ. რის ტოლია A პუნქტიდან C-მდე მანძილის შეფარდება C პუნქტიდან B-მდე მანძილთან?

პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 3)

34. მეექვსეკლასელ მოსწავლეებს შემდეგი სამუშაო შესთავაზეს:

- 1) გამოთვალეთ: I. $41,7 + 24,1 + 18,3$ II. $35,2 - 14,7 - 5,2$
- 2) შეასრულეთ ნაშთიანი გაყოფა: $2896 : 14$.
- 3) სალომემ მოცემული რიცხვი 4-ის ნაცვლად 6-ზე გაამრავლა, გამოთვლა სწორად შეასრულა და მიიღო რიცხვი 258. რა რიცხვს მიიღებდა სალომე, თუ მოცემულ რიცხვს 4-ზე გაამრავლებდა და გამოთვლასაც სწორად შეასრულებდა?
- 4) კუბი, რომლის წიბოს სიგრძეა 6 სმ, დაყვეს ტოლ კუბებად, რომელთაგან თითოეულის წიბოს სიგრძე 2 სმ-ის ტოლია. რა სიგრძის მწკრივს მივიღებთ, თუ ამ კუბებს ერთმანეთის მიყოლებით კედლის გასწვრივ ერთ მწკრივად დავაწყობთ?
- 5) ჩოგბურთელთა საკვალიფიკაციო ტურნირში ყოველი შეხვედრა ერთ-ერთი ჩოგბურთელის გამარჯვებით მთავრდება, წაგებული კი ტურნირს ეთიშება. რამდენი შეხვედრაა საჭირო 64 ჩოგბურთელიდან ფინალური ტურნირისთვის 16 ჩოგბურთელის შესარჩევად?

მომდევნო გვერდზე მოცემულია ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი:

1) I. $41,7 + 24,1 + 18,3 = 60 + 24,1 = 84,1$

II. $35,2 - 14,7 - 5,2 = 30 - 14,7 = 16,3$

2) $2896 : 14 = 2800 : 14 + 96 : 14 = 200 + 7$ (ნაშთი 12) = 207(ნაშთი 12)

3) $258 \cdot \frac{2}{3} = 86 \cdot 2 = 162$. სალომე მიიღებდა 162-ს.

4) მიიღება $6 : 2 = 3$ ფენა, ერთ ფენაში $6 : 2 = 3$ მწკრივი. სულ $3 \cdot 3 \cdot 6 = 48$ სმ სიგრძის მწკრივი.

5) 1 შეხვედრით ეთიშება 1 ჩოგბურთელი, საჭიროა $64 - 16 = 38$ შეხვედრა.

- მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და ჩაწერეთ შესწორებული სახით.

(მაქსიმალური ქულა - 3)

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ, მასზე პასუხის გასაცემად, შესაძლებელია, დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

ტექნოლოგიურ ეპოქაში ხელით წერა დიდწილად ჩაანაცვლა კომპიუტერულ მოწყობილობებზე ბეჭდვამ. მეცნიერები დაინტერესდნენ, ახდენს თუ არა აღნიშნული ცვლილება გავლენას ბავშვის განვითარებაზე. ივარაუდეს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელით წერის სიხშირის შემცირება დაკავშირებულია ხელით ზუსტი მოძრაობების შესრულების უნარის გაუარესებასთან. გერმანიაში ჩატარებული ერთ-ერთი ბოლოდროინდელი კვლევის მიხედვით, უკანასკნელ წლებში გაუარესდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ხელით წერისთვის აუცილებელი ფაქიზი მოტორული უნარების განვითარების დონე.

საინტერესოა, რა გავლენას ახდენს აღნიშნული ცვლილება საწყის ეტაპზე კითხვის უნარის ათვისებაზე? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უდიდეს მნიშვნელობას იძენს დღეს, რადგან მთელ მსოფლიოში შესამჩნევია საბავშვო ბაღებსა და დაწყებით კლასებში კომპიუტერული მოწყობილობების შეტანის ტენდენცია. ზოგიერთ ქვეყანაში დაწყებით კლასებში უკვე მთლიანად ჩაანაცვლა ბეჭდვამ ხელით წერა.

ხელით წერისა თუ ბეჭდვის უპირატესობის დასასაბუთებლად ორი თეორიული მიდგომა შეგვიძლია განვიხილოთ. პირველი მიდგომის მიხედვით, მოტორული პროგრამა, რომელიც დაკავშირებულია ბეჭდვასთან, გაცილებით მარტივია, ვიდრე ხელით წერის შემთხვევაში. მცირეწლოვანი ბავშვებიც კი, რომელთაც ჯერ ანბანის ცნობაც არ იციან, ინტუიციურად ახერხებენ კომპიუტერულ მოწყობილობებზე ბეჭდვისთვის საჭირო მოძრაობების შესრულებას. ბეჭდვის დროს შესასრულებელი მოძრაობების სიმარტივეა სწორედ მცირეწლოვან ბავშვებში კომპიუტერზე წერის უნარის აქსელერაციის სასარგებლო არგუმენტი. ასევე, ბეჭდვის გზით წერის ათვისება გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვს ასაკთან შეუსაბამოდ აქვს განვითარებული მოტორული უნარები. საინტერესოა ერთი კვლევის შედეგი, რომლის მიხედვითაც, 4 წლის ასაკის ბავშვებში დადგინდა დადებითი კავშირი ასოების ცნობის უნარსა და კომპიუტერის გამოყენების სიხშირეს შორის.

შეკითხვებზე გადასვლა: [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#)

ალტერნატიული თეორიული მიდგომის მიხედვით, ბეჭდვისგან განსხვავებით, ხელით წერა მოითხოვს თითოეული ასოს მოყვანილობის ზუსტ რეპროდუქციას, რომლის შესრულებისთვის აუცილებელი პროგრამა მოიცავს შეხების, მოტორული და ვიზუალური აღქმის შედეგად მიღებულ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მეხსიერებაში ტოვებს კვალს, რომელიც ხელახალი ცდის შემთხვევაში აქტიურდება და ხელს უწყობს ასოს მოყვანილობის გახსენებას. ნეიროფსიქოლოგიური კვლევებით დადგენილია, რომ ნაცნობი ვიზუალური სიმბოლოების ამოკითხვისას თავის ტვინში აქტიურდება არა მარტო ვიზუალურ აღქმაზე, არამედ შეხებით აღქმასა და მოტორულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი უბნები.

გერმანელმა მკვლევრებმა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ჩაატარეს შემდეგი ექსპერიმენტი: ბავშვების ორ ჯგუფს რამდენიმე კვირის განმავლობაში ასწავლიდნენ ასოებს, ერთ ჯგუფს ხელით წერის მეთოდის გამოყენებით, მეორე ჯგუფს კი – იმავე ასოებს ბეჭდვის დახმარებით. სწავლების შემდეგ შეაფასეს ორივე ჯგუფის ბავშვების რამდენიმე უნარი: 1. ასოების ცნობა (შეკითხვაზე მაჩვენე, მაგალითად, ასო ბ, ბავშვს უნდა მიეთითებინა სწორი ასო); 2. ასოების წაკითხვა; 3. სიტყვების წაკითხვა; 4. ასოების წერა; 5. სიტყვების წერა. ბავშვების ჯგუფმა, რომელმაც ხელით წერის მეთოდით ისწავლა ასოები, ყველა უნარის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უკეთესი შედეგები აჩვენა. ორ ჯგუფს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა მხოლოდ ასოების ცნობის უნარის მიხედვით.

შეკითხვებზე გადასვლა: [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#)

35. რა მიმართებაა I აზნაცის მესამე და მეოთხე წინადადებას შორის?

- ა) მეოთხე წინადადებაში მოცემულია ვარაუდი, რომლის ილუსტრაცია არის წარმოდგენილი მესამე წინადადებაში;
- ბ) მესამე წინადადებაში მოცემულია ვარაუდი, ხოლო მეოთხე წინადადებაში წარმოდგენილია ფაქტი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ამ ვარაუდს;
- გ) მესამე წინადადებაში წარმოდგენილია მოსაზრება, ხოლო მეოთხე წინადადებაში მოცემულია ფაქტი, რომელიც განამტკიცებს ამ მოსაზრებას;
- დ) მეოთხე წინადადებაში მოცემულია კვლევის შედეგი, რომლის განმარტობებელი ფაქტორი წარმოდგენილია მესამე წინადადებაში.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

36. ტექნოლოგიურ ეპოქაში ბეჭდვის მეთოდით წერის სწავლა გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე. ამ გავლენის შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან:

- ა) ხელით წერა განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს;
- ბ) ხელით წერის მთლიანად ბეჭდვით ჩანაცვლების საფრთხე არსებობს;
- გ) ბეჭდვის უპირატესობები კვლევებით უკვე ცალსახად დადასტურებულია;
- დ) მცირეწლოვანი ბავშვებისთვის ტექნოლოგიებთან ურთიერთობა უფრო მარტივია.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

37. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოდგება ბეჭდვით წერის სწავლის სასარგებლო არგუმენტად?

- ა) უკანასკნელ წლებში გაუარესდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ხელით წერისთვის აუცილებელი ფაქიზი მოტორული უნარების განვითარების დონე;
- ბ) 4 წლის ასაკის ბავშვებში დადგინდა დადებითი კავშირი ასოების ცნობის უნარსა და კომპიუტერის გამოყენების სიხშირეს შორის;
- გ) მთელ მსოფლიოში შესამჩნევია საბავშვო ბაღებსა და დაწყებით კლასებში კომპიუტერული მოწყობილობების შეტანის ტენდენცია;
- დ) ნაცნობი ვიზუალური სიმბოლოების ამოკითხვისას თავის ტვინში აქტიურდება არა მარტო ვიზუალურ აღქმაზე, არამედ შეხებით აღქმასა და მოტორულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი უბნები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

38. რა შემთხვევაშია გამართლებული კითხვის სწავლის საწყის ეტაპზე წერის ბეჭდვის მეთოდით სწავლება?

I. თუკი ბავშვმა ჯერ კიდევ არ იცის ასოების ცნობა;

II. თუკი ბავშვისთვის წერის სწავლება ადრეულ ასაკში გვსურს;

III. თუკი ბავშვს მოტორული უნარები ასაკთან შეუსაბამოდ აქვს განვითარებული.

ა) მხოლოდ I შემთხვევაში;

ბ) I და II შემთხვევებში;

გ) მხოლოდ III შემთხვევაში;

დ) II და III შემთხვევებში.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

39. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია ზუსტად ახსნილი მექანიზმი, რომელიც საფუძვლად უდევს ხელით წერის დადებით გავლენას კითხვის უნარზე?

- ა) ხელით წერისას ასოს მოყვანილობის რეპროდუქციის შედეგად ხდება მხედველობით, შეხებით და მოძრაობით მიღებული ინფორმაციის დამახსოვრება. ეს ინფორმაცია იმავე ასოს ამოკითხვისას აქტიურდება და ეხმარება ბავშვს ასოს ამოცნობაში;
- ბ) ბეჭდვით წერისგან განსხვავებით, ხელით წერისას შესასრულებელი მოძრაობის დამახსოვრება უფრო რთულია. თუმცა, ასოს ხელით ხელმეორედ ჩაწერისას ამ მოძრაობის გახსენება უფრო ადვილია, ვიდრე ბეჭდვისას;
- გ) ასოების ბეჭდვისას თავის ტვინში აქტიურდება როგორც ვიზუალურ აღქმაზე, ასევე მოტორულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი უბნები. ეს პროცესი კი აადვილებს ასოების ამოკითხვას;
- დ) ასოების ბეჭდვისას შესასრულებელი მოძრაობა იმდენად მარტივია, რომ მცირეწლოვანი ბავშვიც კი ინტუიციურად ახერხებს ამ მოძრაობის შესრულებას. შესაბამისად, ეს პროცესი ასოების ცნობის უნარს არ ავითარებს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

40. V აბზაცში აღწერილი ექსპერიმენტის შედეგის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ კითხვის სწავლის საწყის ეტაპზე უმჯობესია ბავშვებს ასოები ვასწავლოთ:

- ა) ბეჭდვის მეთოდით;
- ბ) ხელით წერის მეთოდით;
- გ) შერეული – როგორც ხელით წერის, ასევე ბეჭდვის მეთოდით;
- დ) ჯერ მხოლოდ ბეჭდვის, ხოლო მოგვიანებით ხელით წერის მეთოდით.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

41. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია წარმოდგენილი ტექსტის მიხედვით გამოტანილი მთავარი დასკვნა?

- ა) მხოლოდ ბეჭდვის მეთოდით წერის სწავლების მომხრე არგუმენტები ეფუძნება კვლევებს;
- ბ) მხოლოდ ხელით წერის მეთოდით წერის სწავლების მომხრე არგუმენტებია დამაჯერებელი;
- გ) ბეჭდვის მეთოდით წერის სწავლების მომხრე არგუმენტები ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს;
- დ) შეგვიძლია მოვიყვანოთ როგორც ბეჭდვით, ასევე ხელით წერის მეთოდით წერის სწავლების უპირატესობის მომხრე და საწინააღმდეგო არგუმენტები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

42. ანალიტიკური წერა

გაეცანით 2 სიტუაციას საგაკვეთილო პროცესიდან:

მასწავლებელი: შეცდომაა, უკვე მეორედ მიპასუხე არასწორად, დაჯექი.

მოსწავლე: მას, ეს საკითხი გუშინ ახსენით და, ეტყობა, რაღაც ვერ გავიგე.

მასწავლებელი: გაკვეთილზე ყურადღებით რომ მისმენდე, ამდენ შეცდომას არ დაუშვებდი!

მასწავლებელი: დააკვირდი შენს ნაწერს, რამდენი წითელი ხაზი მაქვს გასმული, თითქმის არც ერთი ასო არ დაგიწერია სწორად.

მოსწავლე: მას, ის სამი ცალი ხომ მიწერია კარგად?

მასწავლებელი: კი, მაგრამ რამდენი ასო გიწერია არასწორად?! მეტი დრო უნდა დაუთმო ასოების გამოწერას!

ამონარიდი მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის წარმოების წესიდან:

„მასწავლებლის მიერ ჟურნალში დაშვებული შეცდომა უნდა გასწორდეს შესაბამისი გვერდის ბოლოს შეცდომის დაშვების თაობაზე მინიშნების გაკეთებით, რასაც შეცდომის დამშვები პირი შენიშვნების გვერდზე სწორი მონაცემების ასახვით ადასტურებს ხელმოწერითა და თარიღის მითითებით.“

გაიაზრეთ წარმოდგენილი ნიმუშები და იმსჯელეთ:

- რა პრობლემა იკვეთება მოცემულ საილუსტრაციო მასალაში?
- რა გამოწვევების წინაშე გვაყენებს ეს პრობლემა სწავლა-სწავლების პროცესში?
- რა შეიძლება დავსახოთ პრობლემის გადაჭრის გზად? განაზოგადეთ სათქმელი.

მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.


(მაქსიმალური ქულა 11)

2020 წლის საგნის გამოცდის შეფასების სქემა მათემატიკაში
(დაწყებითი საფეხური)

1	ბ
2	დ
3	ბ
4	ბ
5	ა
6	დ
7	ბ
8	დ
9	ბ
10	ბ
11	დ
12	დ
13	ბ
14	ა
15	ბ
16	ბ
17	ა
18	ბ
19	ა
20	ა
21	დ
22	დ
23	ბ
24	ბ
25	ე
26	ბ
27	ა

28	მაქსიმალური ქულა: 2
	რომელი ციფრით ბოლოვდება $4^{2020} - 3^{2020}$ გამოსახულების მნიშვნელობის ციფრული ჩანაწერი? პასუხი დაასაბუთეთ.
	2 ქულა: დასაბუთებულია, რომ $4^{2020} - 3^{2020}$ გამოსახულების მნიშვნელობის ციფრული

	ჩანაწერი ბოლოვდება 5-ით. 1 ქულა: ამოცანის ამოხსნა დაწყებულია ადეკვატური გზით, გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი, მაგრამ სათანადოდ არ არის გაგრძელებული. 0 ქულა: • მოცემულია სწორი პასუხი, მაგრამ დასაბუთების გარეშე; • პასუხი არ არის სწორი; • პასუხი არ არის მოცემული.
29	მაქსიმალური ქულა: 3 სკოლაში ვაჟების რაოდენობა გოგონების რაოდენობის მესამედს შეადგენდა. მას შემდეგ, რაც სკოლაში კიდევ 40 ვაჟი გადმოვიდა, სკოლაში ვაჟთა რაოდენობა გოგონების რაოდენობის ნახევარი გახდა. სულ რამდენი ვაჟი იყო სკოლაში? პასუხი დაასაბუთეთ. 3 ქულა: დასაბუთებულია, რომ სკოლაში სულ 80 ვაჟი იყო. 2 ქულა: დასაბუთების გზა ადეკვატურია, მაგრამ ამოცანის ამოხსნა არ არის დასრულებული. 1 ქულა: დასაბუთებისთვის გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი, მაგრამ სათანადოდ არ არის გაგრძელებული. 0 ქულა: • მოცემულია სწორი პასუხი, მაგრამ დასაბუთების გარეშე; • პასუხი არ არის სწორი; • პასუხი არ არის მოცემული.
30	მაქსიმალური ქულა: 3 $ABCD$ მართკუთხედის CD და AD გვერდებზე მონიშნულია ისეთი E და F წერტილები, რომ $CE : ED = 2 : 1$, $AF : FD = 1 : 3$. BEF სამკუთხედის ფართობი 35 სმ^2-ის ტოლია. რის ტოლია $ABCD$ მართკუთხედის ფართობი? პასუხი დაასაბუთეთ. 3 ქულა: დასაბუთებულია, რომ $ABCD$ მართკუთხედის ფართობი ტოლია 84 სმ^2-ის. 2 ქულა: გამოყენებულია ამოხსნის ადეკვატური გზა, მაგრამ არ არის გაცემული სწორი



	პასუხი ამოცანაში დასმულ შეკითხვაზე. 1 ქულა: ამოცანის ამოხსნა დაწყებულია ადეკვატური გზით, გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი, მაგრამ სათანადოდ არ არის გაგრძელებული. 0 ქულა: • მოცემულია სწორი პასუხი, მაგრამ დასაბუთების გარეშე; • პასუხი არ არის სწორი; • პასუხი არ არის მოცემული.
31	მაქსიმალური ქულა: 3 საწარმოში ხილის წვენი ყოველდღიური წარმოება ივნისის მეორე მესამედში პირველთან შედარებით 25%-ით შემცირდა, ხოლო მესამე მესამედში – 40%-ით გაიზარდა (მეორესთან შედარებით). თვის განმავლობაში სულ 56 ათასი ლიტრი ხილის წვენი აწარმოეს. რამდენი ლიტრის ტოლი იყო ხილის წვენის <u>ყოველდღიური</u> წარმოება ივნისის პირველ მესამედში? პასუხი დაასაბუთეთ. 3 ქულა: დასაბუთებულია, რომ ხილის წვენის ყოველდღიური წარმოება ივნისის პირველ მესამედში 2 000 ლიტრის ტოლი იყო. 2 ქულა: გამოყენებულია ამოხსნის ადეკვატური გზა, მაგრამ არ არის გაცემული სწორი პასუხი ამოცანაში დასმულ შეკითხვაზე. 1 ქულა: ამოცანის ამოხსნა დაწყებულია ადეკვატური გზით, გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი, მაგრამ სათანადოდ არ არის გაგრძელებული. 0 ქულა: • მოცემულია სწორი პასუხი, მაგრამ დასაბუთების გარეშე; • პასუხი არ არის სწორი; • პასუხი არ არის მოცემული.
32	მაქსიმალური ქულა: 3 მიკროავტობუსში, რომელშიც მაქსიმუმ 15 მგზავრი ეტევა, იმყოფებიან იაპონელი და ფრანგი ტურისტები. მათი საშუალო ასაკი 27 წელია. სულ რამდენი ტურისტია მიკროავტობუსში, თუ იაპონელი ტურისტების საშუალო ასაკია 48 წელი, ხოლო ფრანგებისა – 21? პასუხი დაასაბუთეთ. 3 ქულა: დასაბუთებულია, რომ მიკროავტობუსში სულ 9 ტურისტია. 2 ქულა:

	გამოყენებულია ამოხსნის ადეკვატური გზა, მაგრამ სწორი პასუხი არ არის გაცემული ამოცანაში დასმულ შეკითხვაზე. 1 ქულა: ამოცანის ამოხსნა დაწყებულია ადეკვატური გზით, გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი, მაგრამ სათანადოდ არ არის გაგრძელებული. 0 ქულა: • მოცემულია სწორი პასუხი, მაგრამ დასაბუთების გარეშე; • პასუხი არ არის სწორი; • პასუხი არ არის მოცემული
33	მაქსიმალური ქულა: 3 A პუნქტიდან B-ს მიმართულებით გამოვიდა მიკროავტობუსი, რომელიც თანაბარი სიჩქარით მოძრაობს და B-ში ჩასვლას 4 საათს ანდომებს. 30 წუთის შემდეგ B პუნქტიდან A-ს მიმართულებით იმავე გზით გამოვიდა ავტობუსი, რომელიც ასევე თანაბარი სიჩქარით მოძრაობს და A-ში ჩასვლას 5 საათს ანდომებს. მიკროავტობუსი და ავტობუსი ერთმანეთს C პუნქტში შეხვდნენ. რის ტოლია A პუნქტიდან C-მდე მანძილის შეფარდება C პუნქტიდან B-მდე მანძილთან? პასუხი დაასაბუთეთ. 3 ქულა: დასაბუთებულია, რომ A პუნქტიდან C-მდე მანძილის შეფარდება C პუნქტიდან A-მდე მანძილთან $\frac{11}{7}$-ის ტოლია. 2 ქულა: გამოყენებულია ამოხსნის ადეკვატური გზა, მაგრამ არ არის გაცემული სწორი პასუხი ამოცანაში დასმულ შეკითხვაზე. 1 ქულა: ამოცანის ამოხსნა დაწყებულია ადეკვატური გზით, გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი, მაგრამ სათანადოდ არ არის გაგრძელებული. 0 ქულა: • მოცემულია სწორი პასუხი, მაგრამ დასაბუთების გარეშე; • პასუხი არ არის სწორი; • პასუხი არ არის მოცემული.
34	მაქსიმალური ქულა: 3

მეექვსეკლასელ მოსწავლეებს შემდეგი სამუშაო შესთავაზეს:

- 1) გამოთვალეთ: I. $41,7 + 24,1 + 18,3$ II. $35,2 - 14,7 - 5,2$
- 2) შეასრულეთ ნაშთიანი გაყოფა: $2896 : 14$.
- 3) სალომემ მოცემული რიცხვი 4-ის ნაცვლად 6-ზე გაამრავლა, გამოთვლა სწორად შეასრულა და მიიღო რიცხვი 258. რა რიცხვს მიიღებდა სალომე, თუ მოცემულ რიცხვს 4-ზე გაამრავლებდა და გამოთვლასაც სწორად შეასრულებდა?
- 4) კუბი, რომლის წიბოს სიგრძეა 6 სმ, დაყვეს ტოლ კუბებად, რომელთაგან თითოეულის წიბოს სიგრძე 2 სმ-ის ტოლია. რა სიგრძის მწკრივს მივიღებთ, თუ ამ კუბებს ერთმანეთის მიყოლებით კედლის გასწვრივ ერთ მწკრივად დავაწყობთ?
- 5) ჩოგბურთელთა საკვალიფიკაციო ტურნირში ყოველი შეხვედრა ერთ-ერთი ჩოგბურთელის გამარჯვებით მთავრდება, წაგებული კი ტურნირს ეთიშება. რამდენი შეხვედრაა საჭირო 64 ჩოგბურთელიდან ფინალური ტურნირისთვის 16 ჩოგბურთელის შესარჩევად?

მოცემულია ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი:

- 1) I. $41,7 + 24,1 + 18,3 = 60 + 24,1 = 84,1$
II. $35,2 - 14,7 - 5,2 = 30 - 14,7 = 16,3$
- 2) $2896 : 14 = 2800 : 14 + 96 : 14 = 200 + 7$ (ნაშთი 12) = 207(ნაშთი 12)
- 3) $258 \cdot \frac{2}{3} = 86 \cdot 2 = 162$. სალომე მიიღებდა 162-ს.
- 4) მიიღება $6 : 2 = 3$ ფენა, ერთ ფენაში $6 : 2 = 3$ მწკრივი. სულ $3 \cdot 3 \cdot 6 = 48$ სმ სიგრძის მწკრივი.
- 5) 1 შეხვედრით ეთიშება 1 ჩოგბურთელი, საჭიროა $64 - 16 = 38$ შეხვედრა.
 - მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და ჩაწერეთ შესწორებული სახით .

სულ დაშვებულია 5 შეცდომა:

- 1) II. დაშვებულია შეცდომა გამოკლებისას.
უნდა იყოს: $30 - 14,7 = 15,3$.
- 2) დაშვებულია შეცდომა 96-ის 14-ზე გაყოფისას.
უნდა იყოს: $96 : 14 = 6$ (ნაშთი 12).
- 3) დაშვებულია შეცდომა 2-ზე გამრავლებისას.
უნდა იყოს: $86 \cdot 2 = 172$.
- 4) დაშვებულია შეცდომა გამრავლებისას.
უნდა იყოს: $3 \cdot 3 \cdot 6 = 54$
- 5) დაშვებულია შეცდომა გამოკლებისას.
უნდა იყოს: $64 - 16 = 48$.

აპლიკანტი თითოეული შეცდომის აღმოჩენისა და შესწორებისათვის მიიღებს სამ-სამ „+“-ს. აპლიკანტმა შეიძლება მიიღოს მაქსიმუმ 15 „+“. შეფასება ხდება დაგროვებული „+“-ების საერთო რაოდენობის მიხედვით: <table><tr><th>„+“-ების რაოდენობა</th><th>შეფასება</th></tr><tr><td>13-15</td><td>3 ქულა</td></tr><tr><td>9-12</td><td>2 ქულა</td></tr><tr><td>5-8</td><td>1 ქულა</td></tr><tr><td>0-4</td><td>0 ქულა</td></tr></table> შენიშვნა: თუ მოსწავლის სწორად შესრულებული ნაბიჯი ჩათვლილია არასწორად, „+“-ების რაოდენობა მცირდება ერთით.		„+“-ების რაოდენობა	შეფასება	13-15	3 ქულა	9-12	2 ქულა	5-8	1 ქულა	0-4	0 ქულა
„+“-ების რაოდენობა	შეფასება										
13-15	3 ქულა										
9-12	2 ქულა										
5-8	1 ქულა										
0-4	0 ქულა										

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

35	ბ
36	ბ
37	ბ
38	დ
39	ა
40	ბ
41	დ

ანალიტიკური წერა

42.

მაქსიმალური ქულა: 11
I. შინაარსის რელევანტურობა* ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს და უპასუხებს დასმულ ამოცანებს. 2 ქულა: - ნაშრომი უპასუხებს დავალების ყველა მოთხოვნას, არ შეეხება არარელევანტურ საკითხებს. 1 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა: - ნაშრომი მხოლოდ ნაწილობრივ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს; - ნაშრომი უპასუხებს დავალების მოთხოვნებს, თუმცა მოცემულია არარელევანტური ინფორმაცია.

0 ქულა:

- ნაშრომი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს;
- ნაშრომი შეეხება სხვა საკითხს;
- ნაშრომი წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.
- ნაშრომის მხოლოდ მცირე ნაწილი შეეხება მოცემულ თემას, მაგრამ არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.

*თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.

II. დასაბუთება *

ნაშრომში ავტორის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.

3 ქულა:

- მოცემულია დავალების ყველა მოთხოვნის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, მოყვანილია დამაჯერებელი, მრავალფეროვანი, ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები;

2 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მოცემულია დავალების ყველა მოთხოვნის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, არგუმენტები თუ მაგალითები მოყვანილია ყველა მოსაზრებისთვის;
- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, არგუმენტითა თუ მაგალითით გამყარებულია მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება;

1 ქულა:

- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესახებ მსჯელობის მცდელობა, თუმცა, არგუმენტები თუ მაგალითები ზედაპირული, ერთფეროვანი და არადამაჯერებელია;

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მსჯელობა არ არის ლოგიკური, თანმიმდევრული, მოსაზრებები არ არის გამყარებული მაგალითებითა და არგუმენტებით ან მაგალითები თუ არგუმენტები არაადეკვატურია;
- მსჯელობა არ არის მოცემული.

* მსჯელობისას ფაქტობრივი შეცდომის დაშვების შემთხვევაში აპლიკანტს მეორე - დასაბუთების - კომპონენტში დააკლდება 1 ქულა.

III. თხრობის ორგანიზება

ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.

2 ქულა:

- ტექსტი სტრუქტურულად გამართულია - ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს;

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი სტრუქტურული ნაწილი;
- ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთი;
- წარმოდგენილი დასკვნა არ გამომდინარეობს მსჯელობიდან;
- ნაშრომში აზრაცები არ არის ან არაადეკვატურადაა გამოყოფილი.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერის მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას (რამდენიმე წინადადება, პატარა აზრაცი ა. შ.);
- მოსაზრებები, ტექსტის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული;
- ნაწერში არ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ნაწილები - საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა.

IV. სტილი, ლექსიკა

აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.

2 ქულა:

- ნაშრომში გვხვდება ერთი-ორი უმნიშვნელო სტილური ხარვეზი, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაშრომში გვხვდება რამდენიმე სტილური ხარვეზი. გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს;

- ნაწერი ლექსიკურად მწირია, თუმცა, გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერი ლექსიკურად ღარიბია;
- დაშვებულია სტილური ხარვეზები;
- ნაშრომში გარკვეული მონაკვეთი სტილურად გაუმართავია;
- გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა / სტილი.

V. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია

ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

2 ქულა:

- დაშვებულია ერთი-ორი უმნიშვნელო ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომა, არ არის დაშვებული სინტაქსური შეცდომა, დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

1 ქულა:

- დაშვებულია რამდენიმე სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომა, ძირითადად დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

0 ქულა:

- დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები; ნაშრომში დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი არ გასწორდება, თუ:

- შეიცავს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება - სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.
- შესრულებულია ისეთი ხელწერით, როგორის წაკითხვაც შეუძლებელია.

ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით.

გაითვალისწინეთ!

- თუ სწორ პასუხთან ერთად აპლიკანტი არასწორ პასუხსაც მიუთითებს, შეფასდება 0 ქულით;

ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის ბუნებისმეტყველება

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - პროფესიული ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 65.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

➤ კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-21, 27-34, 39.1, 39.2, 40-46.

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

➤ შესაბამისობის დადგენა - დავალება № 22-24, 35-37.

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

➤ ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 25, 26, 38, 39.3, 39.4, 47.

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ფოტო, ცხრილი, გრაფიკი და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

საგნობრივი ცოდნა

1. რომელი ფაქტორები ახდენს გავლენას მცენარის განვითარებაზე?

I – სინათლე

II – ტემპერატურა

III – ტენიანობა

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.

2. მცენარის რომელ ორგანოში წარმოიქმნება მტვრის მარცვლები?

I – ყვავილში

II – ნაყოფში

III – თესლში

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) მხოლოდ I და II;

დ) მხოლოდ II და III.

3. მცენარის რომელი ორგანო იწოვს ნიადაგიდან წყალს?

I – რიზოიდები

II – ფესურა

III – ფესვი

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.

4. როგორ გარემოში ბინადრობენ ილუსტრაციაზე გამოსახული მცენარეები?



- ა) ტროპიკულ ტყეში;
- ბ) შერეულ ტყეში;
- გ) უდაბნოში;
- დ) ჭაობში.

5. რომელ სამეფოში გვხვდება პარაზიტი სახეობები?

I – მცენარეთა

II – ცხოველთა

III – სოკოების

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.

6. ჩამოთვლილი პროცესებიდან რომელი ახასიათებს მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმს?

I – მოძრაობა

II – გადიზიანებადობა

III – ზრდა

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) მხოლოდ III;

დ) მხოლოდ I და III.

7. რომელი ორგანიზმი ივითარებს სპორას არახელსაყრელი პირობებისგან თავდაცვისთვის?

ა) ხავსი;

ბ) გვიმრა;

გ) სოკო;

დ) ბაქტერია.

8. რომელ სტადიებს მოიცავს პეპლის სასიცოცხლო ციკლი?

- ა) კვერცხი, ზრდასრული ორგანიზმი;
- ბ) კვერცხი, მატლი, ზრდასრული ორგანიზმი;
- გ) კვერცხი, ჭუპრი, ზრდასრული ორგანიზმი;
- დ) კვერცხი, მატლი, ჭუპრი, ზრდასრული ორგანიზმი.

9. რა როლს ასრულებენ ფრინველები ტყის ეკოსისტემაში?

I – ხელს უწყობენ მცენარეთა თესლისა და ნაყოფის გავრცელებას;

II – არეგულირებენ მწერებისა და მავნე მღრღნელების რიცხოვნობას;

III – წარმოადგენენ მტაცებელთა საკვებს.



ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.

10. ილუსტრაციაზე რომელი ლათინური ასოებითაა აღნიშნული პროდუცენტები?



ა) A და B;

ბ) A და C;


გ) B და D;

დ) C და D.

11. ილუსტრაციაზე რომელი ლათინური ასოებითაა აღნიშნული უხერხემლო ცხოველები?



A



B



C


ა) მხოლოდ A და B;

ბ) მხოლოდ A და C;

გ) მხოლოდ B და C;


დ) A, B და C.

12. ილუსტრაციაზე ლათინური ასოთი აღნიშნული რომელი ცხოველი სუნთქავს წყალში გახსნილი ჟანგბადით?




- ა) A;
- ბ) B;
- გ) C;
- დ) D.

13. თავდაცვის მიზნით, უწყინარი, უშხამო გველი (B) ზოგიერთ შემთხვევაში გარეგნულად ემსგავსება შხამიან გველს (A). განსაზღვრეთ ამ ტიპის შეგუებულობის ფორმა:



- ა) მიმიკრია;
- ბ) გამაფრთხილებელი შეფერილობა;
- გ) დამანაწევრებელი შეფერილობა;
- დ) მფარველობითი შეფერილობა.

14. ილუსტრაციაზე რომელი ციფრით აღნიშნული ძვალი უკავშირდება მოძრავად, ქალას სხვა ძვლებს?




ა) 1

ბ) 2

გ) 3

დ) 4

15. ილუსტრაციაზე გამოსახული თერმომეტრების ჩვენებებია:



ა) I-ის ჩვენებაა 22°C , II-ის ჩვენებაა 22°C ;

ბ) I-ის ჩვენებაა 22°C , II-ის ჩვენებაა 24°C ;

გ) I-ის ჩვენებაა 24°C , II-ის ჩვენებაა 24°C ;

დ) I-ის ჩვენებაა 24°C , II-ის ჩვენებაა 28°C .


16. რამდენი პოლუსი გვექნება, თუ ზოლოვან მაგნიტს გავჭრით სამ ნაწილად?

S N

--	--	--


- ა) არც ერთი პოლუსი აღარ გვექნება;
- ბ) ერთი სამხრეთი და ერთი ჩრდილოეთი;
- გ) 2 სამხრეთი და 2 ჩრდილოეთი;
- დ) 3 სამხრეთი და 3 ჩრდილოეთი.

17. დიაგრამაზე გამოსახულია თანაბრად მოძრავი ოთხი სხეულის მოძრაობის დროები (t) და გავლილი მანძილები (S). რომელ ორ სხეულს აქვს ტოლი სიჩქარეები?



- ა) 1-სა და 2-ს;
- ბ) 1-სა და 3-ს;
- გ) 2-სა და 3-ს;
- დ) 1-სა და 4-ს.

18. რომელი ელემენტი რას აღნიშნავს მოცემულ სქემაზე?




ა) 1 - ნათურა, 2 - ზარი, 3 - დენის წყარო;

ბ) 1 - ზარი, 2 - ნათურა, 3 - დენის წყარო;

გ) 1 - ნათურა, 2 - დილაკი, 3 - დენის წყარო;


დ) 1 - ნათურა, 2 - დილაკი, 3 - რეზისტორი.

19. ჭიქაში ერთმანეთს შეურიეს ორი, A და B სითხეები. გარკვეული დროის შემდეგ ნარევი გაიყო A (ზედა) და B (ქვედა) ფენებად. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი შეიძლება იყოს A და B სითხეები?



- ა) A – სამედიცინო სპირტი, B – წყალი;
- ბ) A – წყალი, B – სამედიცინო სპირტი;
- გ) A – მზესუმზირის ზეთი, B – წყალი;
- დ) A – წყალი, B – მზესუმზირის ზეთი.

20. მოლეკულებს ხშირად გამოსახავენ მოდელების სახით, რომლებშიც სხვადასხვა ატომს განსხვავებული ზომისა და ფერის ბურთულა შეესაბამება. რამდენი სხვადასხვა ნივთიერების მოლეკულაა წარმოდგენილი მოცემულ ნახაზზე?




ა) 2

ბ) 4

გ) 6

დ) 7

21. ფიზიკური მოვლენის დროს ნივთიერების შედგენილობა არ იცვლება, ხოლო ქიმიური მოვლენის დროს - იცვლება. რომელ მოვლენას წარმოადგენს სურათზე რომაული ციფრებით აღნიშნული თითოეული პროცესი?



ა) I და IV – ქიმიურია, II და III – ფიზიკური;

ბ) I და IV – ფიზიკურია, II და III – ქიმიური;

გ) ოთხივე ქიმიურია;

დ) ოთხივე ფიზიკურია.

22. (1 ქ.) მოცემულ მტკიცებულებათაგან რომელია/რომლებია მართებული? ცხრილის შესაბამის უჯრაში/უჯრებში დასვით ნიშანი X.

I. ჟანგბადი წარმოიქმნება ფოტოსინთეზის შედეგად.	II. ჟანგბადი წარმოიქმნება სუნთქვის პროცესში.	III. ჟანგბადი ხელს უწყობს წვას.	IV. ჟანგბადი ამღვრევს კირიან წყალს.

23. (1 ქ.) ჩამონათვალში ციფრებით აღნიშნულია სხვადასხვა სტრუქტურა. განსაზღვრეთ, რომელი მათგანი მიეკუთვნება სისხლის მიმოქცევის სისტემას და პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში შესაბამისი ციფრის ქვეშ მოცემულ უჯრაში/უჯრებში დასვით ნიშანი X.

- 1. არტერიები;
- 2. ტრაქეა;
- 3. კაპილარები;
- 4. გული;
- 5. ალვეოლები;
- 6. ვენები.


1	2	3	4	5	6

24. (1 ქ.) ჩამონათვალში ციფრებით აღნიშნულია სხვადასხვა ნიშან-თვისება. განსაზღვრეთ, რომელი მათგანია დამახასიათებელი ფრინველებისთვის და პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში შესაბამისი ციფრის ქვეშ მოცემულ უჯრაში/უჯრებში დასვით ნიშანი X.

- 1. კვერცხით გამრავლება;
- 2. ცოცხალმშობიარობა;
- 3. შთამომავლობაზე ზრუნვა;
- 4. კანით სუნთქვა;
- 5. თბილსისხლიანობა.

1	2	3	4	5


25. (3 ქ.) იხელმძღვანელეთ ილუსტრაციაზე გამოსახული ეკოლოგიური პირამიდით და განსაზღვრეთ:




25.1. (1 ქ.) რომელი ორგანიზმია მეორე რიგის კონსუმენტი?

25.2. (2 ქ.) ცალ-ცალკე განსაზღვრეთ, როგორ შეიცვლება როგორც კალიების, ასევე ბაყაყების რაოდენობა, თუ ყანჩას რიცხოვნობა გაიზრდება.

26. (3 ქ.) ილუსტრაციაზე მოცემულია ფოთოლი. ჩამოთვალეთ, რომელ სამ პროცესში მონაწილეობს A ასოთი გამოსახული სტრუქტურა.



27. რომელ ილუსტრაციაზეა გამოსახული ირმის ნახტომის გალაქტიკა?



28. რომელი თანამედროვე კონტინენტები წარმოიქმნა გონდვანას დაშლის შედეგად?

- ა) ევროპა, აზია და ჩრდილოეთი ამერიკა;
- ბ) აზია, ევროპა და აფრიკა;
- გ) სამხრეთი ამერიკა, ჩრდილოეთი ამერიკა, აფრიკა და ავსტრალია;
- დ) სამხრეთი ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია და ანტარქტიდა.

29. ჩამოთვლილთაგან რომელი არ ახდენს გავლენას დედამიწაზე წელიწადის დროების ცვალებადობაზე?

I - დედამიწის ბრუნვა მზის გარშემო ელიფსურ ორბიტაზე;

II - დედამიწის ბრუნვა წარმოსახვითი ღერძის გარშემო;

III - დედამიწის დაშორება მზისგან;

IV - დედამიწის პოლარულ რეგიონებში პოლარული დღისა და ღამის არსებობა;

V - დედამიწის წარმოსახვითი ღერძის დახრილობა ეკლიპტიკის მიმართ.

ა) I, II და III;

ბ) I, III და V;


გ) II, III და IV;

დ) II, III და V.





30. რა მიმართულებით მოძრაობენ სკოლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სპორტული მოედნიდან სკოლისკენ მიმავალი ბავშვები?

- ა) სამხრეთ-დასავლეთის;
- ბ) ჩრდილო-აღმოსავლეთის;
- გ) ჩრდილო-დასავლეთის;
- დ) სამხრეთ-აღმოსავლეთის.

31. რელიეფის რომელი ფორმაა წარმოქმნილი დედამიწის შინაგანი ძალების მოქმედებით?



32. რომელი ილუსტრაცია შეესაბამება ზაფხულის სეზონს სამხრეთ ნახევარსფეროში?



33. რომელ მინერალს აქვს სიმაგრის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი?

- ა) ალმასს;
- ბ) ტალკს;
- გ) კვარცს;
- დ) ტოპაზს.

34. რომელი სტიქიური მოვლენის პროგნოზირებას ვერ მოახდენს მიწისძვრა?

ა) ხანძრის;

ბ) ზვავის;

გ) ცუნამის;

დ) ტაიფუნის.

35. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოვრება არ არის შესაძლებელი):

ფოტო



ა)



ბ)



გ)



დ)

კლიმატური სარტყელი


1	2	3	4	5	6
ზომიერი	არქტიკული	ტროპიკული	ეკვატორული	სუბანტარქტიკული	სუბტროპიკული

გადასვლა: [პირველ რუკაზე](#)
[მეორე რუკაზე](#)

38




გადასვლა: [დავალეზაზე](#)
[მეორე რუკაზე](#)



გადასვლა: [დავალებაზე](#)
[პირველ რუკაზე](#)

36. დაადგინეთ შესაბამისობა სქემაზე მოცემულ კოსმოსურ სხეულებსა და მათ სახელწოდებებს შორის (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოჩენა არ არის შესაძლებელი):

ა	კომეტა
ბ	მეტეორი
გ	მეტეორიტი
დ	ასტერიოიდი



37. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოვრება შესაძლებელია):

	I ჩამონათვალი		II ჩამონათვალი
ა	ბაზალტი	1	დანალექი ქანი
ბ	თიხა	2	მეტამორფული ქანი
გ	ქვანახშირი	3	მაგმური ქანი
დ	კვარციტი		
ე	გრანიტი		
ვ	მარმარილო		
ზ	თაბაშირი		

38. (2 ქ.) გაანალიზეთ ილუსტრაცია და უპასუხეთ კითხვებს:



38.1. (1ქ.) ახსენით, რომელ ნახევარსფეროში იმყოფება დამკვირვებელი.

38.2. (1ქ.) რა მიმართულებით მდებარეობს სახლი დამკვირვებლისგან?

39. (4 ქ.) ილუსტრაციებზე გამოსახულია სტიქიური უბედურების ფოტოები. განადგურდა რამდენიმე მილიონი ჰექტარი ტყის ფართობი, დაიღუპა მილიარდამდე ცხოველი. გააანალიზეთ ფოტოები და უპასუხეთ კითხვებს?



ფოტოები გადაღებულია 2020 წლის 2 იანვარს.

39.1. (1 ქ.) რა იყო ამ სტიქიის გამომწვევი მთავარი მიზეზი?

ა) გვალვა; ბ) ცუნამი; გ) ვულკანის ამოფქვევა; დ) ნავთობსაცავის აფეთქება.

39.2. (1 ქ.) რამ შეუწყო ხელი ამ სტიქიის ასეთი ფართო მასშტაბით გავრცელებას?

ა) ბოლო წლებში კონტროლირებად ხანძრებზე უარის თქმამ; ბ) სახანძრო უშიშროების სისტემების არარსებობამ; გ) ჰელიოელექტროსადგურების აქტიურმა გამოყენებამ; დ) ბოლო ათწლეულში ტყეების ინტენსიურმა გაჩეხამ.

39.3. (1 ქ.) რომელ კონტინენტზეა გადაღებული ეს ფოტოები?

39.4. (1 ქ.) რომელი მოვლენა წარმოადგენს აღნიშნულ სტიქიასთან ბრძოლის მთავარ ხელშემწყობ ბუნებრივ ფაქტორს?

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ, მასზე პასუხის გასაცემად, შესაძლებელია, დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

ტექნოლოგიურ ეპოქაში ხელით წერა დიდწილად ჩაანაცვლა კომპიუტერულ მოწყობილობებზე ბეჭდვამ. მეცნიერები დაინტერესდნენ, ახდენს თუ არა აღნიშნული ცვლილება გავლენას ბავშვის განვითარებაზე. ივარაუდეს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელით წერის სიხშირის შემცირება დაკავშირებულია ხელით ზუსტი მოძრაობების შესრულების უნარის გაუარესებასთან. გერმანიაში ჩატარებული ერთ-ერთი ბოლოდროინდელი კვლევის მიხედვით, უკანასკნელ წლებში გაუარესდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ხელით წერისთვის აუცილებელი ფაქიზი მოტორული უნარების განვითარების დონე.

საინტერესოა, რა გავლენას ახდენს აღნიშნული ცვლილება საწყის ეტაპზე კითხვის უნარის ათვისებაზე? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უდიდეს მნიშვნელობას იძენს დღეს, რადგან მთელ მსოფლიოში შესამჩნევია საბავშვო ბაღებსა და დაწყებით კლასებში კომპიუტერული მოწყობილობების შეტანის ტენდენცია. ზოგიერთ ქვეყანაში დაწყებით კლასებში უკვე მთლიანად ჩაანაცვლა ბეჭდვამ ხელით წერა.

ხელით წერისა თუ ბეჭდვის უპირატესობის დასასაბუთებლად ორი თეორიული მიდგომა შეგვიძლია განვიხილოთ. პირველი მიდგომის მიხედვით, მოტორული პროგრამა, რომელიც დაკავშირებულია ბეჭდვასთან, გაცილებით მარტივია, ვიდრე ხელით წერის შემთხვევაში. მცირეწლოვანი ბავშვებიც კი, რომელთაც ჯერ ანბანის ცნობაც არ იციან, ინტუიციურად ახერხებენ კომპიუტერულ მოწყობილობებზე ბეჭდვისთვის საჭირო მოძრაობების შესრულებას. ბეჭდვის დროს შესასრულებელი მოძრაობების სიმარტივეა სწორედ მცირეწლოვან ბავშვებში კომპიუტერზე წერის უნარის აქსელერაციის სასარგებლო არგუმენტი. ასევე, ბეჭდვის გზით წერის ათვისება გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვს ასაკთან შეუსაბამოდ აქვს განვითარებული მოტორული უნარები. საინტერესოა ერთი კვლევის შედეგი, რომლის მიხედვითაც, 4 წლის ასაკის ბავშვებში დადგინდა დადებითი კავშირი ასოების ცნობის უნარსა და კომპიუტერის გამოყენების სიხშირეს შორის.

შეკითხვებზე გადასვლა: [40](#) [41](#) [42](#) [43](#) [44](#) [45](#) [46](#)

ალტერნატიული თეორიული მიდგომის მიხედვით, ბეჭდვისგან განსხვავებით, ხელით წერა მოითხოვს თითოეული ასოს მოყვანილობის ზუსტ რეპროდუქციას, რომლის შესრულებისთვის აუცილებელი პროგრამა მოიცავს შეხების, მოტორული და ვიზუალური აღქმის შედეგად მიღებულ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მეხსიერებაში ტოვებს კვალს, რომელიც ხელახალი ცდის შემთხვევაში აქტიურდება და ხელს უწყობს ასოს მოყვანილობის გახსენებას. ნეიროფსიქოლოგიური კვლევებით დადგენილია, რომ ნაცნობი ვიზუალური სიმბოლოების ამოკითხვისას თავის ტვინში აქტიურდება არა მარტო ვიზუალურ აღქმაზე, არამედ შეხებით აღქმასა და მოტორულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი უბნები.

გერმანელმა მკვლევრებმა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ჩაატარეს შემდეგი ექსპერიმენტი: ბავშვების ორ ჯგუფს რამდენიმე კვირის განმავლობაში ასწავლიდნენ ასოებს, ერთ ჯგუფს ხელით წერის მეთოდის გამოყენებით, მეორე ჯგუფს კი – იმავე ასოებს ბეჭდვის დახმარებით. სწავლების შემდეგ შეაფასეს ორივე ჯგუფის ბავშვების რამდენიმე უნარი: 1. ასოების ცნობა (შეკითხვაზე მაჩვენე, მაგალითად, ასო ბ, ბავშვს უნდა მიეთითებინა სწორი ასო); 2. ასოების წაკითხვა; 3. სიტყვების წაკითხვა; 4. ასოების წერა; 5. სიტყვების წერა. ბავშვების ჯგუფმა, რომელმაც ხელით წერის მეთოდით ისწავლა ასოები, ყველა უნარის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უკეთესი შედეგები აჩვენა. ორ ჯგუფს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა მხოლოდ ასოების ცნობის უნარის მიხედვით.

შეკითხვებზე გადასვლა: [40](#) [41](#) [42](#) [43](#) [44](#) [45](#) [46](#)

40. რა მიმართებაა I აზნაცის მესამე და მეოთხე წინადადებას შორის?

- ა) მეოთხე წინადადებაში მოცემულია ვარაუდი, რომლის ილუსტრაცია არის წარმოდგენილი მესამე წინადადებაში;
- ბ) მესამე წინადადებაში მოცემულია ვარაუდი, ხოლო მეოთხე წინადადებაში წარმოდგენილია ფაქტი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ამ ვარაუდს;
- გ) მესამე წინადადებაში წარმოდგენილია მოსაზრება, ხოლო მეოთხე წინადადებაში მოცემულია ფაქტი, რომელიც განამტკიცებს ამ მოსაზრებას;
- დ) მეოთხე წინადადებაში მოცემულია კვლევის შედეგი, რომლის განმარტობებელი ფაქტორი წარმოდგენილია მესამე წინადადებაში.

დაბრუნება ტექსტის I გვერდზე

დაბრუნება ტექსტის II გვერდზე

41. ტექნოლოგიურ ეპოქაში ბეჭდვის მეთოდით წერის სწავლა გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე. ამ გავლენის შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან

- ა) ხელით წერა განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს;
- ბ) ხელით წერის მთლიანად ბეჭდვით ჩანაცვლების საფრთხე არსებობს;
- გ) ბეჭდვის უპირატესობები კვლევებით უკვე ცალსახად დადასტურებულია;
- დ) მცირეწლოვანი ბავშვებისთვის ტექნოლოგიებთან ურთიერთობა უფრო მარტივია.

დაბრუნება ტექსტის I გვერდზე

დაბრუნება ტექსტის II გვერდზე

42. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოდგება ბექდვით წერის სწავლის სასარგებლო არგუმენტად?

- ა) უკანასკნელ წლებში გაუარესდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ხელით წერისთვის აუცილებელი ფაქიზი მოტორული უნარების განვითარების დონე;
- ბ) 4 წლის ასაკის ბავშვებში დადგინდა დადებითი კავშირი ასოების ცნობის უნარსა და კომპიუტერის გამოყენების სიხშირეს შორის;
- გ) მთელ მსოფლიოში შესამჩნევია საბავშვო ბაღებსა და დაწყებით კლასებში კომპიუტერული მოწყობილობების შეტანის ტენდენცია;
- დ) ნაცნობი ვიზუალური სიმბოლოების ამოკითხვისას თავის ტვინში აქტიურდება არა მარტო ვიზუალურ აღქმაზე, არამედ შეხებით აღქმასა და მოტორულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი უბნები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

43. რა შემთხვევაშია გამართლებული კითხვის სწავლის საწყის ეტაპზე წერის ბეჭდვის მეთოდით სწავლება?

- I. თუკი ბავშვმა ჯერ კიდევ არ იცის ასოების ცნობა;
- II. თუკი ბავშვისთვის წერის სწავლება ადრეულ ასაკში გვსურს;
- III. თუკი ბავშვს მოტორული უნარები ასაკთან შეუსაბამოდ აქვს განვითარებული.

- ა) მხოლოდ I შემთხვევაში;
- ბ) I და II შემთხვევებში;
- გ) მხოლოდ III შემთხვევაში;
- დ) II და III შემთხვევებში.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

44. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია ზუსტად ახსნილი მექანიზმი, რომელიც საფუძვლად უდევს ხელით წერის დადებით გავლენას კითხვის უნარზე?

- ა) ხელით წერისას ასოს მოყვანილობის რეპროდუქციის შედეგად ხდება მხედველობით, შეხებით და მოძრაობით მიღებული ინფორმაციის დამახსოვრება. ეს ინფორმაცია იმავე ასოს ამოკითხვისას აქტიურდება და ეხმარება ბავშვს ასოს ამოცნობაში;
- ბ) ბეჭდვით წერისგან განსხვავებით, ხელით წერისას შესასრულებელი მოძრაობის დამახსოვრება უფრო რთულია. თუმცა, ასოს ხელით ხელმეორედ ჩაწერისას ამ მოძრაობის გახსენება უფრო ადვილია, ვიდრე ბეჭდვისას;
- გ) ასოების ბეჭდვისას თავის ტვინში აქტიურდება როგორც ვიზუალურ აღქმაზე, ასევე მოტორულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი უბნები. ეს პროცესი კი აადვილებს ასოების ამოკითხვას;
- დ) ასოების ბეჭდვისას შესასრულებელი მოძრაობა იმდენად მარტივია, რომ მცირეწლოვანი ბავშვიც კი ინტუიციურად ახერხებს ამ მოძრაობის შესრულებას. შესაბამისად, ეს პროცესი ასოების ცნობის უნარს არ ავითარებს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

45. V აზნაგში აღწერილი ექსპერიმენტის შედეგის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ კითხვის სწავლის საწყის ეტაპზე უმჯობესია ბავშვებს ასოები ვასწავლოთ:

- ა) ბეჭდვის მეთოდით;
- ბ) ხელით წერის მეთოდით;
- გ) შერეული – როგორც ხელით წერის, ასევე ბეჭდვის მეთოდით;
- დ) ჯერ მხოლოდ ბეჭდვის, ხოლო მოგვიანებით ხელით წერის მეთოდით.

დაბრუნება ტექსტის I გვერდზე

დაბრუნება ტექსტის II გვერდზე

46. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია წარმოდგენილი ტექსტის მიხედვით გამოტანილი მთავარი დასკვნა?

- ა) მხოლოდ ბეჭდვის მეთოდით წერის სწავლების მომხრე არგუმენტები ეფუძნება კვლევებს;
- ბ) მხოლოდ ხელით წერის მეთოდით წერის სწავლების მომხრე არგუმენტებია დამაჯერებელი;
- გ) ბეჭდვის მეთოდით წერის სწავლების მომხრე არგუმენტები ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს;
- დ) შეგვიძლია მოვიყვანოთ როგორც ბეჭდვით, ასევე ხელით წერის მეთოდით წერის სწავლების უპირატესობის მომხრე და საწინააღმდეგო არგუმენტები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

47. ანალიტიკური წერა

გაეცანით 2 სიტუაციას საგაკვეთილო პროცესიდან:

მასწავლებელი: შეცდომაა, უკვე მეორედ მიპასუხე არასწორად, დაჯექი.

მოსწავლე: მას, ეს საკითხი გუშინ ახსენით და, ეტყობა, რაღაც ვერ გავიგე.

მასწავლებელი: გაკვეთილზე ყურადღებით რომ მისმენდე, ამდენ შეცდომას არ დაუშვებდი!

მასწავლებელი: დააკვირდი შენს ნაწერს, რამდენი წითელი ხაზი მაქვს გასმული, თითქმის არც ერთი ასო არ დაგიწერია სწორად.

მოსწავლე: მას, ის სამი ცალი ხომ მიწერია კარგად?

მასწავლებელი: კი, მაგრამ რამდენი ასო გიწერია არასწორად?! მეტი დრო უნდა დაუთმო ასოების გამოწერას!

ამონარიდი მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის წარმოების წესიდან:

„მასწავლებლის მიერ ჟურნალში დაშვებული შეცდომა უნდა გასწორდეს შესაბამისი გვერდის ბოლოს შეცდომის დაშვების თაობაზე მინიშნების გაკეთებით, რასაც შეცდომის დამშვები პირი შენიშვნების გვერდზე სწორი მონაცემების ასახვით ადასტურებს ხელმოწერითა და თარიღის მითითებით;“

გაიაზრეთ წარმოდგენილი ნიმუშები და იმსჯელეთ:

- რა პრობლემა იკვეთება მოცემულ საილუსტრაციო მასალაში?
- რა გამოწვევების წინაშე გვაყენებს ეს პრობლემა სწავლა-სწავლების პროცესში?
- რა შეიძლება დავსახოთ პრობლემის გადაჭრის გზად? განაზოგადეთ სათქმელი.

მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.

(მაქსიმალური ქულა 11)

დავადლება №	ბუნებისმეტყველება (I-VI) შეფასების სქემა და სწორი პასუხის ნიმუშები მაქსიმალური ქულა - 65				ქულა								
1	დ				1								
2	ა				1								
3	დ				1								
4	ბ				1								
5	დ				1								
6	ბ				1								
7	დ				1								
8	დ				1								
9	დ				1								
10	ბ				1								
11	ა				1								
12	ბ				1								
13	ა				1								
14	ბ				1								
15	დ				1								
16	დ				1								
17	ბ				1								
18	ა				1								
19	ბ				1								
20	ბ				1								
21	დ				1								
22	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორად მონიშნული უჯრები ან არასრულად შევსებული ცხრილი ფასდება 0 ქულით; • მხოლოდ 2 სწორად მონიშნული უჯრა ფასდება 1 ქულით. <u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> <table><tr><td>ჟანგბადი წარმოიქმნება ფოტოსინთეზის შედეგად.</td><td>ჟანგბადი წარმოიქმნება სუნთქვის პროცესში.</td><td>ჟანგბადი ხელს უწყობს წვას.</td><td>ჟანგბადი ამღვრევს კირიან წყალს.</td></tr><tr><td>X</td><td></td><td>X</td><td></td></tr></table>				ჟანგბადი წარმოიქმნება ფოტოსინთეზის შედეგად.	ჟანგბადი წარმოიქმნება სუნთქვის პროცესში.	ჟანგბადი ხელს უწყობს წვას.	ჟანგბადი ამღვრევს კირიან წყალს.	X		X		1
ჟანგბადი წარმოიქმნება ფოტოსინთეზის შედეგად.	ჟანგბადი წარმოიქმნება სუნთქვის პროცესში.	ჟანგბადი ხელს უწყობს წვას.	ჟანგბადი ამღვრევს კირიან წყალს.										
X		X											

დავალება №	ბუნებისმეტყველება (I-VI) შეფასების სქემა და სწორი პასუხის ნიმუშები მაქსიმალური ქულა - 65	ქულა												
23	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორად მონიშნული უჯრები არასრულად შევსებული ცხრილი ფასდება 0 ქულით; • მხოლოდ ოთხი სწორად მონიშნული უჯრა ფასდება 1 ქულით; <u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> <table><tr><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td><td>6</td></tr><tr><td>X</td><td></td><td>X</td><td>X</td><td></td><td>X</td></tr></table>	1	2	3	4	5	6	X		X	X		X	1
1	2	3	4	5	6									
X		X	X		X									
24	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორად მონიშნული უჯრები არასრულად შევსებული ცხრილი ფასდება 0 ქულით; • მხოლოდ ოთხი სწორად მონიშნული უჯრა ფასდება 1 ქულით; <u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> <table><tr><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td></tr><tr><td>X</td><td></td><td>X</td><td></td><td>X</td></tr></table>	1	2	3	4	5	X		X		X	1		
1	2	3	4	5										
X		X		X										
25.1	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული ორგანიზმი ფასდება 1 ქულით; <u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> ✓ მეორე რიგის კონსუმენტი ბაყაყი.	1												
25.2	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • თითოეული ორგანიზმისთვის სწორად მითითებული რაოდენობის ცვლილება ფასდება 1 ქულით; დავალების ჯამური ქულაა - 2. <u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> ✓ კალიების რაოდენობა გაიზარდება (1 ქ.); ✓ ბაყაყების რაოდენობა შემცირდება (1 ქ.).	2												
26	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული თითოეული პროცესი ფასდება 1 ქულით; დავალების ჯამური ქულაა - 3. <u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> ✓ სუნთქვაში (1 ქ.); ✓ ფოტოსინთეზში (1 ქ.); ✓ ტრანსპირაციაში (1 ქ.).	3												
27	ბ	1												

დავალება №	ბუნებისმეტყველება (I-VI) შეფასების სქემა და სწორი პასუხის ნიმუშები მაქსიმალური ქულა - 65	ქულა														
28	დ	1														
29	ბ	1														
30	ბ	1														
31	ბ	1														
32	ბ	1														
33	ა	1														
34	დ	1														
35	<u>შეფასების სქემა 35-37:</u> • პასუხი, რომელიც შეიცავს თუნდაც ერთ შეცდომას, ფასდება - 0 ქულით; • პასუხი, რომელიც არ შეიცავს შეცდომას, ფასდება - 1 ქულით. <table><tr><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td></tr><tr><td>5</td><td>1</td><td>2</td><td>4</td></tr></table>	ა	ბ	გ	დ	5	1	2	4	1						
ა	ბ	გ	დ													
5	1	2	4													
36	<table><tr><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td></tr><tr><td>4</td><td>2</td><td>1</td><td>3</td></tr></table>	ა	ბ	გ	დ	4	2	1	3	1						
ა	ბ	გ	დ													
4	2	1	3													
37	<table><tr><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td><td>ვ</td><td>ზ</td></tr><tr><td>3</td><td>1</td><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>2</td><td>1</td></tr></table>	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	3	1	1	2	3	2	1	1
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ										
3	1	1	2	3	2	1										
38.1	<u>შეფასების სქემა:</u> • არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • მართებული ახსნა ფასდება 1 ქულით. <u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> ✓ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, რადგან ცაზე მოჩანს დიდი და პატარა დათვის თანავარსკვლავედები, რომელთა დანახვაც მხოლოდ ჩრდილოეთ ნახევარსფეროდანაა შესაძლებელი.	1														

დავალება №	ბუნებისმეტყველება (I-VI) შეფასების სქემა და სწორი პასუხის ნიმუშები მაქსიმალური ქულა - 65	ქულა
38.2	<u>შეფასების სქემა:</u> - არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; - სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> ✓ ჩრდილო-დასავლეთით.	1
39.1	ა	1
39.2	ა	1
39.3	<u>შეფასების სქემა:</u> - არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; - სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> ✓ ავსტრალიის.	1
39.4	<u>შეფასების სქემა:</u> - არასწორი პასუხი, არასრული პასუხი, პასუხი რომელიც არ აკმაყოფილებს კითხვის პირობას, ან პასუხი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; - სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <u>სწორი პასუხის ნიმუში:</u> ✓ ხანძართან ბრძოლის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია წვიმა.	1
40	ბ	1
41	ბ	1
42	ბ	1
43	დ	1
44	ა	1
45	ბ	1
46	დ	1
47	მაქსიმალური ქულა:	11

ანალიტიკური წერა

I. შინაარსის რელევანტურობა*

ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს და უპასუხებს დასმულ ამოცანებს.

2 ქულა:

- ნაშრომი უპასუხებს დავალების ყველა მოთხოვნას, არ შეეხება არარელევანტურ საკითხებს.

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაშრომი მხოლოდ ნაწილობრივ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს;
- ნაშრომი უპასუხებს დავალების მოთხოვნებს, თუმცა მოცემულია არარელევანტური ინფორმაცია.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაშრომი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს;
- ნაშრომი შეეხება სხვა საკითხს;
- ნაშრომი წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.
- ნაშრომის მხოლოდ მცირე ნაწილი შეეხება მოცემულ თემას, მაგრამ არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.

*თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.

II. დასაბუთება *

ნაშრომში ავტორის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.

3 ქულა:

- მოცემულია დავალების ყველა მოთხოვნის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, მოყვანილია დამაჯერებელი, მრავალფეროვანი, ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები;

2 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მოცემულია დავალების ყველა მოთხოვნის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, არგუმენტები თუ მაგალითები მოყვანილია ყველა მოსაზრებისთვის;
- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, არგუმენტი თუ მაგალითით გამყარებულია მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება;

1 ქულა:

- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესახებ მსჯელობის მცდელობა, თუმცა, არგუმენტები თუ მაგალითები ზედაპირული, ერთფეროვანი და არადამაჯერებელია;

0 ქულა:

- მსჯელობა არ არის ლოგიკური, თანმიმდევრული, მოსაზრებები არ არის გამყარებული მაგალითებითა და არგუმენტებით ან მაგალითები თუ არგუმენტები არაადეკვატურია;
- მსჯელობა არ არის მოცემული.

** მსჯელობისას ფაქტობრივი შეცდომის დაშვების შემთხვევაში აპლიკანტს მეორე - დასაბუთების - კომპონენტში დააკლდება 1 ქულა.*

III. თხრობის ორგანიზება

ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.

2 ქულა:

- ტექსტი სტრუქტურულად გამართულია - ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს;

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი სტრუქტურული ნაწილი;
- ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთი;
- წარმოდგენილი დასკვნა არ გამომდინარეობს მსჯელობიდან;
- ნაშრომში აზრაცები არ არის ან არაადეკვატურადაა გამოყოფილი.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერის მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას (რამდენიმე წინადადება, პატარა აზრები ა. შ.);
- მოსაზრებები, ტექსტის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული;
- ნაწერში არ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ნაწილები - საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა.

IV. სტილი, ლექსიკა

აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.

2 ქულა:

- ნაშრომში გვხვდება ერთი-ორი უმნიშვნელო სტილური ხარვეზი, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია

საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაშრომში გვხვდება რამდენიმე სტილური ხარვეზი. გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს.
- ნაწერი ლექსიკურად მწირია, თუმცა, გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერი ლექსიკურად ღარიბია;
- დაშვებულია სტილური ხარვეზები;
- ნაშრომში გარკვეული მონაკვეთი სტილურად გაუმართავია;
- გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა / სტილი.

V. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია

ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

2 ქულა:

- დაშვებულია ერთი-ორი უმნიშვნელო ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომა, არ არის დაშვებული სინტაქსური შეცდომა, დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

1 ქულა:

- დაშვებულია რამდენიმე სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომა, ძირითადად დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

0 ქულა:

- დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები; ნაშრომში დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი არ გასწორდება, თუ:

- შეიცავს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება - სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.
- შესრულებულია ისეთი ხელწერით, როგორის წაკითხვაც შეუძლებელია.

ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით.